საქართველოს რესპუბლიკა

რა, 13 თებერვალი, 2005 წელი. №35 (5068) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დღის განწყობილება

გზა ტაძრისაკენ



ლევან ლომაძის ფოტო.

ალაკტიონი

თოვლი

მლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ღწულებივით ხიდიდან ფენა,
ეხარე გრძნობა ცივი სისოვლის
სიყვარულის ასე მოთმენა.
რფასო! სული მევსება თოვლით:
ვები რბიან და მე ვბერდები!

ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
თოვს! ასეთი დღის სარებამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

კვირის თვალსაწიერი

როცა წინ არაერთი მართლა ომი გვაქვს მოსაგები

ურება მარტო არ მოდისო, ნათ-
მია.
რთლაც!
თებერვალს გორში, პოლიციის სამ-
თველოს შენობასთან მომხდარი
ბედია 3 თებერვალს გაწყვილდა
ჯერად საქართველოს პრემიერ-
სტრი ზურაბ ჟვანია დავკარგეთ.
სურდული სიკვდილით დავკარ-
რომელიც ბევრ კითხვას ბადებს.
თებერვლის შემთხვევამ თითქოს
ა პლანზე გადასწია გორში მომ-
რი აფეთქება, რომელმაც სამი ადა-
ი იმსხვერპლა (დაჭრილებზე აღა-
ვამბობ) და რომელიც სრულად
ლი ხილია“ პრეზიდენტ ედუარდ
რდნაძეზე განხორციელებული და
ლამის დავიწყებული ტერაქტების შემდეგ. ჩვენ აქამდე შორიდან, მხოლოდ გაზეთებითა და ტელევიზიით ვადევნებდით თვალს მსოფლიოში განუწყვეტლივ, ხან – აქ, ხან – იქ (რუსეთში, ახლო აღმოსავლეთში, ერაყში...) მოგრუხუნე აფეთქებებს, რომელთა კვალდაკვალ დაფლეთილი სხეულები და ნანგრევები რჩება.

გორის ტერაქტი (მას უკვე მყარად მიეცა ტერაქტის კატეგორია) მხოლოდ სისხლიანი ნაკვალევით როდია შემაშფოთებელი. საქმე ის არის, რომ აშკარად იკვეთება: საქართველოში (და მის გარეთ) არიან ძალები, რომელთაც ძალუძთ ასეთი „ანგარიშსწორება“ მოგვიწყონ. გორის შემდეგ შეიძლება დადგეს თბილისის, ქუთაისის ან ბათუმის ჯერი. ტერორისტული აფეთქებები შეიძლება იქცეს (მრავალი ქვეყნის პრაქტიკის შესაბამისად) ბრძოლის ტაქტიკად საქართველოში, შეიძლება ჩრდილოეთ კავკასიის სისხლიანმა არენამ სამხრეთ კავკასიაში გადმოინაცვლოს.

სანამ გორის ტერაქტი არ გაიხსნება, მანამდე საქართველოში არც ჭორი დაილევა და არც პირდაპირ „სიუხვის რქით“ დაბერტყილი ეჭვები გაიფანტება.

ისევე როგორც, სანამ პასუხი არ გაეცემა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ რამდენიმე კითხვას, მანამდე ყოველთვის იფუთფუთებს უნასივით გასრიალებული მითქმა-მოთქმა.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა

რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 10-11 თებერვალს ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართა. მხარეებმა განიხილეს ბათუმსა და ახალქალაქში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის და ერთობლივი ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრის ჩამოყალიბებისა და ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმების საკითხები.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თბილისში გამართული მოლაპარაკებები, როგორც სამხედრო ბაზების გაყვანასთან, ასევე ჩარჩო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, უშედეგოდ დასრულდა.

პაატა ბურჭულაძემ ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა

თბილისის სამხატვრო აკადემიაში გუშინ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებმა ცნობილი ქართველი ბანის პაატა ბურჭულაძის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა მოაწყვეს.

როგორც ინტერ-პრესს პაატა ბურჭულაძის პრეს-მდივანმა თეონა ჯორბენაძემ განუცხადა, მომღერალი იუბილეს ნიუ-იორკში ხვდება, სადაც მას „მეტროპოლიტენ ოპერასთან“ სამთვიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

მისი თქმით, იუბილესთან დაკავშირებით ნიუ-იორკში სპეციალური მიღება გაიმართება.

გვექნება ქართულენოვანი ვინდოუსი

პერსონალური კომპიუტერების ქართველ მომხმარებლებს მალე ქართულენოვანი ვინდოუსით სარგებლობის საშუალება ექნებათ. საქართველოთი კორპორაცია „მაიკროსოფტი“ დაინტერესდა.

14 თებერვალს ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად თბილისს კორპორაცია „მაიკროსოფტის“ დსთ-ის ქვეყნების ოფისის ხელმძღვანელი სერგიუშ ვიზა ეწვევა. მის ვიზიტს საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანია „იუ-ჯი-თი“ უზრუნველყოფს.

სერგიუშ ვიზას ვიზიტი ძირითადად გაცნობითი ხასიათის არის. იგი კონსულტაციებს განათლების სამინისტროში გამართავს, სადაც ქართული განათლების სისტემის რეფორმისადმი „მაიკროსოფტის“ მხარდაჭერის შესახებ ისაუბრებს.

ანტიკორუფციული ღონისძიებები კვლავ წინა პლანზეა

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები საქართველოში ანტიკორუფციული ღონისძიებების სამოქალაქო მონიტორინგისთვის 300 ათას დოლარს გამოყოფენ. საგრანტო კონკურსი მომავალ კვირას ოფიციალურად გამოცხადდება, მანამდე კი ფონდმა „ევრაზიამ“ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ კონფერენცია გამართა.

კონფერენციის მუშაობაში საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა მიიღეს მონაწილეობა.

როგორც ფონდ „ევრაზიის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, კონფერენციის მიზანს, ანტიკორუფციული ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, სამოქალაქო საზოგადოების მიერ შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს.

ინტერ-პრესი.

ნომერში წაიკითხავთ:

ჯალათი და მსხვერპლი...

ძეგლი, როგორც ამა თუ იმ პიროვნების ან მოვლენის შესახებ ხსოვნის მარადიულობის ნიშანი, განსაკუთრებული, მრავალმხრივი დატვირთვის (პოლიტიკურისაც!) მქონეა და, ამდენად, ყოველთვის დიდი განსჯისა და დაფიქრების საგანი უნდა იყოს.

მე-3-4 გვ.

„პირველი ფრთებიდან“ - პეტრე დიდამდე...

სარწმუნოა წიგნში მოტანილი რომანოვთა და ბაგრატიონების პორტრეტების სიუხვე, საიდანაც ცხადად ჩანს პეტრე დიდის თვალსაჩინო მსგავსება ძირძველ ბაგრატიონებთან.

მე-4 გვ.



ინტელექტუალური მანეკენი - პოდიუმის ქალღმერთი

ჰელენ კრისტენსენი ის ერთადერთი ულამაზესი ტოპმოდელია, რომელმაც ყველას გასაოცრად, საკუთარი სურვილით დატოვა მაღალი მოდის სამყარო და წარმატებულ კარიერაზე უარი განაცხადა.

მე-8 გვ.

ექო

ცივ მდინარეში თავით გადაშვებული პატრული და აგურივით კარგად გამომწვარი რეზერვისტები

პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლამ არა მარტო საზოგადოებაში, არამედ თვით პარლამენტშიც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგს მიაჩნია, რომ ეს იყო „შოუ ჩავარდნებით“, ზოგის განმარტებით კი მოხსენება „ცოცხალი, ამომწურავი“ და სხვა გამოსვლებისგან ორიგინალობით, სიახლისადმი სწრაფვით გამოირჩეოდა.

ნაციონალური მოძრაობის წევრმა, პარლამენტარმა ნაზი არონიამ სწორედ ამით დაიწყო: „მრავალი ჩვენი კოლეგა და მთლიანად საზოგადოებაც, პრეზიდენტების სქოლასტიკურ გამოსვლებს შეეჩვივნენ, — მითხრა მან. — ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის ამ მოხსენებამ ეს სტერეოტიპი დაამსხვრია და იგი სრულიად განსხვავებული ხედვით წარსდგა ჩვენს წინაშე. ერთი წლის შემაჯამებელი მოხსენება განკუთვნილი იყო არა მხოლოდ პარლამენტისთვის, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობისთვის. ყველამ უნდა იცოდეს, — რას მივაღწიეთ, რა მოგვწონს და საით მივდივართ“.

ნაზი არონიას თქმით, პრეზიდენტს თითქმის არც ერთი საკითხი არ გამორჩენია, არც ეკონომიკა, არც პრივატიზაცია, შეეხო სასამართლო და განათლების სისტემების რეფორმებს... პრეზიდენტმა იდეოლოგიაც არ დაივიწყა, თქვა, რომ „ქვეყანას... თავისი იდეოლოგია აუცილებლად სჭირდება“.

გასაკვირია, — ამბობს ნაზი არონია, — რომ პრეზიდენტის გამოსვლის განსხვავებული ფორმა ბევრმა იუცხოვა. „ეს არ იყო ჩვეულებრივი, მონოტონური მოხსენება, არამედ — ცოცხალი და ემოციური“.

ნაციონალ პარლამენტარს მოსწონს, რომ სხდომას ესწრებოდნენ სტუმრები, რომელთაც დღეს გმირები ჰქვიათ. მისი თქმით, ნინო ანანიაშვილი გმირია, რადგან მსოფლიოში „ზეაღმატებული და ზეწარმატებული ბალერინა ჩამოვიდა მშობლიურ ქვეყანაში, მისთვის სრულიად შეუფერებელ პირობებში დაიწყო მუშაობა, როცა ხელოვანი თმობს სასათბურე პირობებს და სიცივესა და ყინვაში მოდის, რატომ არ უნდა ჩავუთვალოთ მას ეს ნაბიჯი გმირობად? ეს ხომ მან მშობლიური ქვეყნისა და თეატრის სიყვარულით გააკეთა. განა სხვა არგუმენტი მას აქ ჩამოსასვლელად ჰქონდა? რატომ არ უნდა დავუკრათ მას ტაში, როგორც პატრიოტს? ისევე როგორც „გედების ტბაზე“ მივალ და ტაშს დავუკრავ, პარლამენტის სხდომაზეც ავდექი და ნინო ანანიაშვილს ტაში დავუკარი“...

ნაზი არონიას თქმით, ტაშს იმსახურებს პატრულიც, რომელიც „თავით გადაეშვა ცივ მდინარეში“. თავდადება და საქმის ერთგულება უთუოდ დასაფასებელია. ეს თვისებები უნდა განვავითაროთ ადამიანის სულსა და შეგნებაში, „საზოგადოებას დავანახოთ, რომ პატრულია სამაგალითო და მისაბაძი, აგრეთვე – რეზერვისტები. ისინი არიან სალი, კარგად გამომწვარი და მტკიცე აგურები, რომლისგანაც ახალი ქართული საზოგადოება უნდა აშენდეს. დღეს ასეთი შეგნებისა და აზროვნების ხალხი გვჭირდება, რატომ არ უნდა გვეჩვენებინა ისინი?“

იხ. მე-2 გვ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო უნდა დაუახლოვდეს ევროპას, მაგრამ ასევე მტკიცე ურთიერთობა უნდა დაამყაროს რუსეთთან

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის ონლაინ-საუბარი

კიქოტი: სადღეისოდ, რა არის ცნობილი თქვენი პრემიერ-მინისტრის დაღუპვის შესახებ? მართლა შეიძლება ვილაპარაკოთ მისი გაზით მოწამვლის თაობაზე?

სალომე ზურაბიშვილი: მართლაც, მთელი შეგროვებული მტკიცებულებანი მოწმობს იმას, რომ საქმე ეხება გაზით მოწამვლას. საქართველოში ეს ძალზე გავრცელებული უბედური შემთხვევაა. მაგრამ ამის მიუხედავად, არ წყდება რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ წამოწყებული კამპანია, რომლებიც გამოთქვამენ პოლიტიკური მკვლელობის ვერსიას. რუსული პრესის მიერ გავრცელებული ეს ხმები, რა თქმა უნდა, მიზნად ისახავენ საქართველოში გარკვეული პოლიტიკური არასტაბილურობის პროვოცირებას. საქართველოს პრეზიდენტმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციაში ყველაფერი უცვლელად დარჩება. მან უკვე დაასახელა ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრის ვინაობა. ამ პოსტს დაიკავებს ყოფილი ფინანსთა მინისტრი და აწ განსვენებული პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური თანამოაზრე. ამრიგად, ასევე უზრუნველყოფილია ქვეყანაში წინანდელი საშინაო პოლიტიკის გაგრძელება.

დათო: პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებამ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე?

სალომე ზურაბიშვილი: რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვების შემდეგ მას ჰქონდა სამი ძირითადი მიმართულება. ერთის მხრივ, ეს არის დაახლოება ევროკავშირთან, ნატოსთან, პარტნიორობა შეერთებულ შტატებთან და ნორმალური ურთიერთობის დამყარება რუსეთთან. ამ მიმართულებებს ალტერნატივა არ აქვს. ეს მიმართულებები ახლა კვლავ რჩება საქართველოს ახალი მთავრობის ორიენტირებად. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გამიზნული სერიოზული ღონისძიებები, სახელმწიფო რეფორმა, პრივატიზაციის პროცესი, რომლის ბოლო ეტაპი, ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო და რომელშიც მომავალმა პრემიერ-მინისტრმა ძირითადი როლი შეასრულა, რა თქმა უნდა, დარჩება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტთა შორის. ისევე, როგორც წინათ, ახლაც ყველაზე რთული ამოცანაა ურთიერთობის ნორმალიზაცია რუსეთთან, რაც არ არის დამოკიდებული საქართველოს მთავრობის სათავეში ამა თუ იმ პირის შეცვლაზე. საკითხი ასე დგას: აპირებს თუ არა მოსკოვი, განსაკუთრებით უკრაინის კრიზისის შემდეგ, შეურიგდეს რეალობას, აიღოს ხელი იმპერიულ ამბიციებზე და დათანხმდეს თავის ახალ მეზობლებთან ნორმალური მიმნდობი ურთიერთობის, მომავალში კი, შესაძლოა, მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

დელფინი: განა საქართველოსთვის სადღეისოდ უმთავრესი ამოცანა არ არის რუსეთთან შერიგება მანამ, სანამ ევროპაზე დაიწყებდეს ფიქრს?

სალომე ზურაბიშვილი: რა თქმა უნდა. მე არ მიმაჩნია, რომ ეს ორი ამოცანა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს. როგორც უკვე ვთქვი, საქმე ეხება ქართული პოლიტიკის, ორ პირველ რიგისეულ მიმართულებას, და აქ გამორიცხულია არჩევანი, ან ის, რომ ერთ-ერთ მათგანს მივანიჭოთ უპირატესობა. საქართველო უნდა დაუახლოვდეს ევროპას, რადგან ჩვენი ქვეყნის ხალხი მიიჩნევს თავს ევროპელად და ღრმად სწამს, რომ მიეკუთვნება ევროპულ კულტურას. მაგრამ საქართველომ ასევე უნდა იცხოვროს რუსეთის გვერდით, და, შესაბამისად, საჭიროა რუსეთთან მტკიცე ურთიერთობის დამყარება. თუმცა, არ არის საკმარისი მხოლოდ ის, რომ ამას ესწრაფვოდეს მარტო საქართველო. საჭიროა, რომ რუსეთმაც გააკეთოს XXI საუკუნის არჩევანი, ანუ უარი თქვას ბატონობისა და ზემოქმედების ბერკეტებზე, სამხედრო ბაზებზე, აგრეთვე, შეწყვიტოს მადესტაბილიზირებელი მოქმედება და მზად იყოს ნამდვილი მოლაპარაკების დაწყებისთვის. საქართველოს მხარეს არაერთგზის განუცხადებია, რომ მზად არის ასეთი დიალოგისთვის, მაგრამ ამას რუსეთის მხრიდან პასუხი დღემდე არ მოჰყოლია. თანაც, რუსეთის როლი საქართველოს ტერიტორიებზე — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ შეჩერებულ კონფლიქტებში, სადღეისოდ, სულაც არ არის კონსტრუქციული და მთლიანად ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ურყევ პრინციპს. არადა, სწორედ ეს პრინციპია მთავარი და ფუძემდებლური ორი სახელმწიფოს კეთილმეზობლური ურთიერთობისთვის.

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

ფიდელ კასტრომ ვაშინგტონი ვენესუელის პრეზიდენტის მკვლელობის ცდაში დაადანაშაულა. პოლიტიკა, რომელსაც უგო ჩავესი წარმართავს, არ მოსწონს ვაშინგტონს, რომელიც ყველა შესაძლო საშუალებით ცდილობს გზიდან მოიცილოს ვენესუელის ლიდერი — განაცხადა კუბის დიქტატორმა კასტრომ, მსოფლიოს 42 ქვეყნის ეკონომისტთა საერთაშორისო შეხვედრის შემაჯამებელ სხდომაზე.



დონალდ რამსფელდმა აღიარა, რომ ნატოს წევრი ქვეყნების ურთიერთობებში პრობლემები არსებობს. ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის შიგნით უკვე რამდენიმე წელია დაძაბული ვითარებაა, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდით გადაგვეჭრა ყველაზე სერიოზული პრობლემები, რადგანაც ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებს: საერთო ღირებულებანი, ერთობლივი ისტორია და დემოკრატიის საერთო პრინციპები — განაცხადა პენტაგონის შეფმა.



◎ ვინ მოდის?

საქართველო უნდა დაუახლოვდეს ევროპას, მაგრამ ასევე მტკიცე ურთიერთობა უნდა დაამყაროს რუსეთთან

(პირველი გვერდიდან)

სესილი: თქვენ ეთანხმებით ბატონ შირაქს, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთი დემოკრატიულ სახელმწიფოთა პირველ რიგებში დგასო?

სალომე ზურაბიშვილი: ჩემი აზრით, ეს დღევანდელ რუსეთში შექმნილი ვითარების ძალზე ოპტიმისტური განსაზღვრაა. ყოველ შემთხვევაში, როგორც ეს საქართველოდან ჩანს, რუსული დემოკრატია რაღაც დაუსრულებელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამჟამად იგი განიცდის ძალზე რთულ გარდამავალ პერიოდს, თუ განვიხილავთ პრესასთან, სასამართლო სისტემასთან ან პარლამენტში პოლიტიკური პარტიებით წარმომადგენლობასთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციას. მართლაც, რუსეთის მოსაზღვრე ყველა რეგიონის სტაბილური მომავლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ტენდენცია სხვა მიმართულებით განვითარდეს. რომ რუსეთშიც, ისევე როგორც უკრაინაში, რეფორმატორულმა დემოკრატიულმა მოძრაობებმა იპოვონ თავისი ადგილი. ევროპის ინტერესები და ევროპაში სტაბილურობის არსებობის სურვილი რუსეთზეც ვრცელდება, რომელმაც უნდა დაიცვას თამაშის ის წესები, მთელი დანარჩენი კონტინენტის დემოკრატიული სახელმწიფოები რომ იცავენ. უამისოდ რუსეთი კიდევ უფრო ღრმა იზოლაციაში მოექცევა და ამ ქვეყანაში დაისახება თავისი საშინაო პრობლემების მოგვარების მიზნით ავანტიურისტულ გადაწყვეტილებათა ძებნის მუდმივი ტენდენცია. სწორედ ეს იყო რუსეთის ტრაგედია წარსულში და ამან შეუშალა ხელი მის ნორმალურ განვითარებას.

ლუდმილა: როგორია თქვენი აზრი იმის თაობაზე, რომ რუსეთი სულ უფრო მეტი უნდობლობით ეკიდება ევროპულ ორგანიზაციებს (ეუთო, ევროპის საბჭო) და, როგორ ფიქრობთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას საქართველოსთვის?

სალომე ზურაბიშვილი: ეს იმის მიზეზია, რომ რუსეთი გარკვეულწილად შებორკილად გრძნობს თავს, ასეთი უნდობლობა კი რუსეთის იზოლაციას კიდევ უფრო გააძლიერებს. იმის ნაცვლად, რომ ამ ორგანიზაციებთან დაემყარებინა თანამშრომლობისა და ნდობის ურთიერთობა, რაც, თავისთავად გაზრდიდა რუსეთისადმი ნდობას, იგი, პირიქით, ცდილობს ეჭვქვეშ დააყენოს მათი როლი და ლეგიტიმურობა. საქართველოში მიაჩნიათ, რომ ასეთი ტენდენცია ძალზე საგანგაშოა, რადგან იგი მოწმობს იმას, რომ საერთაშორისო ფარგლებში, ვთქვათ, ეუთოს ან გაეროს ფარგლებში, საზღვართან ან კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლემის მოწესრიგების ნაცვლად, რუსეთი, როგორც ჩანს, უპირატესობას ანიჭებს მკაცრად ორმხრივ ჩარჩოებს, რომლის პირობებშიც საქართველომ შეიძლება იგრძნოს მხოლოდ საკუთარი არასრულფასოვნება, რაც არანაირად არ უწყობს ხელს ნდობის ატმოსფეროს შექმნას, რაც ესოდენ, აუცილებელია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის.

ბ-ნი ზბაღოხი: როგორია თქვენი დამოკიდებულება უკრაინაში იუშჩენკოს არჩევის მიმართ? თუ მიგაჩნიათ, რომ ეს არჩევანი უსახავს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს დასავლეთისკენ შებრუნების იმედს?

სალომე ზურაბიშვილი: დიახ, რა თქმა უნდა. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტი დიდი ხანია უჭერდა მხარს უკრაინის პრეზიდენტის არჩევას. ისინი ერთმანეთს კარგად იცნობენ და მეგობრებიც არიან. პროცესის დაწყებისთანავე საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნდა, რომ ეს იყო ძალზე დიდი შანსი როგორც უკრაინისთვის, მთელი პოსტსაბჭოური სივრცისთვის, ისე ევროპისთვისაც. იგი ფიქრობს, რომ უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და ამ ქვეყანაში დემოკრატიული რევოლუცია ის მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, რომელიც აიძულებს რუსეთს გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება როგორც გარე სამყაროს, ისე საკუთარი თავის მიმართ. ის, რასაც რუსეთის მმართველ წრეებში მიიჩნევენ იმპერიის ნაწილის დაკარგვად, შესაძლოა, გახდეს ძირითადი ელემენტი შეგნების ჭეშმარიტი რევოლუციისთვის, რომელიც ოდესღაც მოხდება რუსეთში, და ხელს შეუწყობს ჭეშმარიტი რუსული დემოკრატიის ჩასახვას. მოძრაობა უკვე დაიწყო, ახლა მხოლოდ დასადგენია ის, თუ რა დრო იქნება საჭირო ასეთი რევოლუციისთვის.

ანტონი: რატომ არ შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებლობის უფლება აფხაზეთს, ჩეჩნეთს, ოსეთს ან დნესტრისპირეთს? განა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება არ არის წმიდათაწმიდა და დემოკრატიული უფლება?

სალომე ზურაბიშვილი: რა თქმა უნდა. ხალხების თვითგამორკვევა კვლავ რჩება წმიდათაწმიდა უფლებად. საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას ეხება საქმე და კარგად უნდა გვქონდეს შეგნებული ისიც, რომ კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზეთში ცხოვრობდა 300 ათასი ქართველი და 70 ათასი აფხაზი, ხოლო კონფლიქტის შემდეგ 300 ათასი ქართველი აიყარა აფხაზეთის ტერიტორიიდან, 70 ათასი აფხაზიდან კი იქ მხოლოდ დარჩა 45 ათასი აფხაზი და 50 ათასი სომეხი და რუსი, რომლებიც დამკვიდრდნენ ამ ტერიტორიაზე. მაშასადამე, თუ დავსვამთ აფხაზეთში თვითგამორკვევის საკითხს, ეს ნიშნავს იმას, რომ გავარკვიოთ, თუ ვის სასარგებლოდ უნდა მოხდეს ეს – მშობლიური კერებიდან განდევნილი 300 ათასი ქართველის, 45 ათასი აფხაზის თუ სხვათა სასარგებლოდ? ამ კითხვის პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ყველას მისცემდა ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრების, კულტურული, ენობრივი, ეთნიკური უფლებების დაცვის შესაძლებლობას. მაგრამ ეს უნდა მოხდეს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს აფხაზეთში მცხოვრებ არც ერთ ხალხს. ჩრდილოეთ ოსეთი სულ სხვა შემთხვევაა, რადგან კონფლიქტს იქ ასეთი გაქანება არ ჰქონია. სადღეისოდ რეგიონში გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქართველი და ოსი ეროვნების ადამიანები. მაშასადამე, თვითგამორკვევის იდეასაც იქ რაიმე განსაკუთრებული აზრი არ უნდა ჰქონოდა, რადგან ეს მოხდებოდა მოსახლეობის მეორე ნაწილის ხარჯზე. იქ ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტილებაა ავტონომიის სტატუსი, რომელიც თანაბარ უფლებებს უზრუნველყოფს სამხრეთ ოსეთის ყველა მოქალაქისთვის – ქართველი იქნება ის თუ ოსი. სწორედ ასეთი ფართო ავტონომიის სტატუსი შესთავაზა ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა ოსეთის მხარეს შერიგების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯის სახით, და იგი ახლა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოვიტანოთ დაინტერესებული მოსახლეობის სამსჯავროზე.

რაც შეეხება ჩეჩნეთს, ამ საკითხსაც მიესადაგება იგივე ფორმულირება. გაუთავებელი კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკურ სიბრტყეში. ეს უნდა იყოს მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ უნდა გამონახოს ჩეჩნეთის მოსახლეობასთან მოლაპარაკების გზით, რათა შეარჩიოს ისეთი სტატუსი, რომელიც უზრუნველყოფდა ყველას უფლებების დაცვას.

ოლგა: საქართველოს ტერიტორიიდან კვლავ გადადიან ტერორისტები ჩეჩნეთში?

სალომე ზურაბიშვილი: ამჟამად საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთს კვლავ აკონტროლებენ ეუთოს მისიის წარმომადგენლები, რომლებიც იქ უკვე რამდენიმე წელია იმყოფებიან. როგორც ყველა საერთაშორისო მეთვალყურე აღნიშნავს, ამ მისიამ ჩინებულად გაართვა თავი დაკისრებულ როლს, რომელიც კვლავაც ეფექტიანი და აუცილებელია. რუსეთის მხარემ, ყოვლად გაუგებარი მოსაზრებების გამო დაადო ვეტო ამ მისიის განახლებას და რატომღაც ამჯობინა, რომ ამ საზღვარზე არ იყვნენ საერთაშორისო მეთვალყურეები. ამის პარალელურად მან კვლავ გამოთქვა ბრალდებები საქართველოს წინააღმდეგ ეგრეთ წოდებული ტერორისტების გადაადგილების შესახებ. იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა ასეთი ბრალდებები, აგრეთვე, ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელების საბაბით ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის შემოჭრის მცდელობა, საქართველომ ითხოვა საზღვარზე სხვა საერთაშორისო მისიის გამოგზავნა. ამ საკითხს ახლა განიხილავენ ევროკავშირში, რომელიც შეისწავლის ადგილზე შექმნილი ვითარების შეფასებისთვის მისიის გამოგზავნის შესაძლებლობას.

ანტონი: თქვენი აზრით, როდის და რა გზით მოხდება აფხაზეთის პრობლემის მოგვარება?

სალომე ზურაბიშვილი: გამიჭირდება იმის თქმა, თუ როდის მოხდება ეს, რადგან მოვლენები ამ რეგიონში ხან ძალზე სწრაფად ვითარდება, ხანაც კი – ძალზე ნელი ტემპით. მაგრამ ერთი რამ ცხადია: იმ შეცდომებმა, რომლებიც რუსეთმა დაუშვა ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის საკითხში, აგრეთვე აფხაზეთში მიმდინარე საშინაო პროცესებში მისმა უხეშმა ჩარევამ, აფხაზეთის მოსახლეობისა და მისი ლიდერების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. რუსეთის მიერ დაშვებულმა ამ პოლიტიკურმა შეცდომებმა უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობები შექმნა ქართველებსა და აფხაზებს შორის მოლაპარაკების განახლებისთვის და დასახა განახლებულ საქართველოში აფხაზეთის სტატუსის განხილვის პერსპექტივები. ამ საკითხზე მსჯელობა, ისევე როგორც მოლაპარაკება სამხრეთ ოსეთის თაობაზე, აუცილებელი იქნება იმისთვის, რომ განვაგრძოთ წინსვლა საერთაშორისო გაერთიანების ფარგლებში. და სინამდვილეში, ამ კონფლიქტების მოგვარება და, აქედან გამომდინარე, სტაბილურობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება რეგიონში, რომელიც ახლა უშუალოდ ევროკავშირის სიახლოვეს აღმოჩნდა.

დელფინი: კონკრეტულად რას ელის საქართველო ევროკავშირისგან?

სალომე ზურაბიშვილი: ბევრს ელის. საქართველო აპირებს მოამზადოს თემები და ისინი გაერთიანდებიან სამოქმედო გეგმაში, რომელიც საქართველომ უნდა წარუდგინოს ევროკავშირს ახალი მეზობლობის პოლიტიკის ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მიაჩნია, რომ ევროკავშირი უფრო აქტიურად უნდა ჩაებას იმ საკითხებშიც, რომელიც ეხება რეგიონში უშიშროებასა და საზღვრების სტაბილურობას. და საზღვრების ერთობლივი მართვა, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს, რუსეთსა და ევროკავშირს, ხელს შეუწყობს დღის წესრიგიდან მრავალი პრობლემის მოხსნას, ვგულისხმობ ტერორიზმთან, კონფლიქტებთან, ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. გარდა ამისა, საქართველოს ასევე იმედი აქვს, რომ ევროკავშირთან ხელშეკრულების საფუძველზე შეძლებს მიგრაციასთან, ვიზების მიღებასთან, და, საერთოდ, ადამიანების გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას. ეს ასევე არის მეზობლობის პოლიტიკის ერთ-ერთი პრინციპული ელემენტი. და ბოლოს, საქართველოს იმედი აქვს, რომ ევროკავშირი უფრო აქტიურ როლს შეასრულებს ენერგოშემცველების ტრანსპორტირება-ტრანზიტის პოლიტიკაში, რომელიც საფუძვლად უდევს მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოს მიზანია, დროთა განმავლობაში ევროკავშირში გაწევრიანება. როგორც უკვე ვთქვი, ქართველები თავს მიიჩნევენ არა მარტო ევროპელებად, არამედ, გარკვეულწილად პირველ ევროპელებადაც. რეფორმების სწრაფი განხორციელება აიხსნება იმით, რომ, როგორც საქართველოში მიაჩნიათ, ამისთვის გამოყოფილი ათ წელიწადზე მეტი ხნის ვადა უნდა შემცირდეს. საქართველოში ასევე იმედოვნებენ, რომ უკრაინის ფაქტორი მკვეთრად დააჩქარებს მის დაახლოებას ევროპასთან. ვფიქრობ, რომ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებისთვის ათ წელიწადზე მეტი დრო არ უნდა დასჭირდეს.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

Le Monde.fr

◎ კვირის თვალსაწიერი

როცა წინ არაერთი მართლ ომი გვაქვს მოსაგები

(პირველი გვერდიდან)

ამ კითხვათა შორის კი უმთავრესი და არსებითი ეს არის: რა უნდოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს შუაღამისას უცხო და საეჭვო (თავისი კუთვნილებით უცხო და საეჭვო) ბინაში პიროვნებასთან ერთად, რომელიც, თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, მრავალგზის ნათქვამის მიუხედავად, პრემიერის არავითარი მეგობარი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამ მთავარმა კითხვამ განსაკუთრებული სალაპარაკო რუსულ პრესას და რუს პოლიტიკოსებს მისცა.

განსაკუთრებით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერის, ყბადაღებულ ჟირინოვსკის ორაკულობას მიეცა გზა ფართო.

ზურაბ ჟვანიას სიკვდილი უბედური შემთხვევა კი არა, პოლიტიკური მკვლელობაა, საქართველოს პატრიოტთა მიერ ორგანიზებულიო (?!).

ეს მიხეილ სააკაშვილის გაფრთხილებაა, რათა იცოდეს, რომ რიგში შემდეგი ის არის. მას ეუბნებიან, ან თქვენ შეცვლით კურსს, ან შეკვეთილი მკვლელობები და არეულობები გაგრძელდებაო.

მთავარი შემდეგ მოდის: ერთი წლის წინათ მე გავაფრთხილე სააკაშვილი, რომ მისი „ვარდების რევოლუცია“ რესპუბლიკას დესტაბილიზაციამდე მიიყვანს, ერთმანეთს მიჰყვება სახელმწიფო გადატრიალებათა ჯაჭვი და ხელისუფლების წევრთა სიკვდილი. ჩემი პროგნოზი მთლიანად გამართლდა. ასე დაემართა ყველა ლათინურამერიკულ ქვეყანას. 20-30 წელია საჭირო, რათა, ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდეს სხვა ხელისუფლება, უფრო მშვიდი და საიმედო. უახლეს წლებში კი საქართველოში არავითარი სტაბილიზაცია არ იქნება. თუ მშვიდი ცხოვრება სურთ, ჩამოვიდნენ კრემლში, ბოდიში მოიხადონ და ითხოვონ საქართველოს მიღება რუსეთის შემადგენლობაში კრასნოდარის მხარის თბილისის რაიონის ხარისხში.

აი, ასე ზვავდ წინასწარმეტყველებს ვლადიმერ ვოლფის ძე, ჩვეულებისამებრ უდარდელად ნუ ავიქნევთ ხელს, აქაოდა ეს კაცი „დაცენტრილი“ და მოლაყბეაო. ჯერ ერთი, „დაცენტრილი“ სულაც არ არის, როცა საჭიროა, ჭკვიანურადაც მშვენიერად ლაპარაკობს, რაც შეეხება „ლაყბობას“: იგი ლაყბობს იმას, რის მოსმენაც სურთ გარკვეული პოლიტიკური და სოციალური ფენის ადამიანებს. ნუ დაგვავიწყდება: მხოლოდ რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც ეს კაცი ხელმძღვანელობს, 7-8 მილიონი კაცი უჭერს მხარს...

სამაგიეროდ რუსეთის უფრო სერიოზული პოლიტიკური ძალები ფილოსოფიურად განსჯიან: პიროვნების როლი ისტორიაში მნიშვნელოვანია, მაგრამ ახლა ისე ჩანს, რომ უკვე არა პიროვნებები ქმნიან ისტორიას, არამედ ისტორია ქმნის პიროვნებებს. ამიტომ თავს ნუ ავიტკიებთ იმაზე ფიქრით, ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შემდეგ როგორ შეიცვლება საქართველოსთან ჩვენი ურთიერთობა. ის იყო საყვარელი კაცი, კარგად ლაპარაკობდა რუსულად, ჩვენი ქვეყნის მიმართ სიმპათიით იყო განმსჭვალული, მაგრამ რუსეთის თავგადაკლული მეგობარი არ ყოფილა. საქართველოს დღევანდელი ლიდერები ყველანი ასეთები არიან – კარგად აღზრდილები, კეთილგანწყობილნი, რუსული ენა ჩვენზე უკეთ იციან, მაგრამ ისინი თავისთვის არიან, ჩვენ – ჩვენთვის. რუსეთს სწყინს, რომ საქართველო მას ამერიკის ზურგს უკან ემალება, საპასუხოდ ბრაზობს და ჩუმ-ჩუმად სისაძაგლეებს სჩადის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. როგორც ჩანს, ეს კიდევ დიდხანს გაგრძელდება. რუსებმა და ქართველებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნონ, რომ მათ გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე განსხვავება, რომ ჩვენ ბევრად უფრო ახლოს ვართ ერთმანეთთან, ვიდრე ამერიკააო.

სამწუხაროდ, ასეთი საღი აზრები რუსეთში დღეს ბევრად ნაკლებ პოლიტიკოსს მოსდის თავში (ყოველ შემთხვევაში მათგან, ვინც მასმედიით გამოთქვამს ამ აზრებს), ვიდრე ვლადიმერ ვოლფის ძის მსგავსი მგლური მოწოდება.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ახალი ძალით ატეხილი მტრული თუ მოყვრული ნიაღვრების (როგორც გარეთ, ისე შინ!) ფონზე წარიმართა მთელი გასული კვირა, რომელსაც პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველი სხდომა აძლევდა ტონს და რომელიც სავარაუდო მინორულ-სამგლოვიარო განწყობის ნაცვლად, საკმაოდ მაჟორულ-საზეიმო ვითარებაში წარიმართა. ამ ამაღლებულ ტონს კი დასაბამი მისცა პირველ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლამ, რომელმაც განვლილი ერთი წელი შეაჯამა.

ეს არ იყო საპრეზიდენტო „საანგარიშო“ გამოსვლა ამ ცნების ტრადიციული გაგებით. უფრო თეზისური მიმოხილვა იყო გუშინდელისა, უფრო ოფიცრის მიმართვა იყო ბრძოლის წინ ჯარისკაცებისადმი. პრეზიდენტმა ილაპარაკა სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ფაქტობრივად პასუხი გასცა მოსახლეობის მრავალრიცხოვან შე
მაგრამ ამას სხვა სახე, სხვა
ჰქონდა, ვიდრე აქამდე ყურსმ
ლი „საანგარიშო მოხსენებები“
(ოღონდ, ესეც არის: ვინ დაა
როგორი უნდა იყოს პრეზიდენტ
ანგარიშო მოხსენება“?).

ასეა თუ ისე, პრეზიდენტის სი
(გამოსვლას, მოხსენებას) არა
ვაროვანი გამოხმაურება მოჰყ

სხდომაზევე შეება მას „მემა
ნე ოპოზიციის“ ლიდერი დავით
რელიძე და ბევრი მართებული
ვნაც გამოთქვა. მაგრამ, მან, ჩ
რით, დასაწყისშივე დაუშვა შე
როცა მიხეილ სააკაშვილის გამო
ამერიკის პრეზიდენტების პარლ
ტში გამოსვლა-მოუების „უნიჭო
ვა“ უწოდა და აიმხედრა უმრავლ
(ამ სიტყვებმა პარლამენტს გარ
ბევრი გააღიზიანა). დავით გამყრე
კრიტიკამ პრეზიდენტიც ცოტა არ
წონასწორობიდან გამოიყვანა
ორედ გამოსვლისას მის ლექსიკა
თი პილპილი შემატა, რასაც სხვ
თხვევაში, ალბათ, არამც და არა
იხმარდა და რის თქმაც არამც და
არ ეგებოდა.

საბოლოოდ ოპოზიცია (საპარლ
ტო თუ პარლამენტსგარე) ძირით
პრეზიდენტის სწორედ ამ „ლექს
შეუსაბამობას“ გამოეკიდა (სხვ
კითხებთან ერთად): „პრეზიდენტმა
ლებლად უნდა შეიცვალოს ლექს
„პრეზიდენტი შეუწყნარებელია კ
კის მიმართ“, „მას კრიტიკაზე
ხი არ აქვს და ილანძღება“, „
საველური სიბრძნე ღაღადებს: რა
კლავს დრაკონს და შემდეგ თვი
ხდება დრაკონი“ და ა. შ. თუმც
რავლესობამ (მაგალითად ქალბა
მაია ნადირაძემ) იმ დღეს პარლ
ტის სხდომაზე „ომის მოგებას“
ვა ხაზი.

„ომის მოგებისა“ რა მოგახს
მაგრამ ერთი რამ უტყუარია: წინ
ერთი მართლა ომი გვაქვს მოსა
რომლებსაც ხელისუფლებაც და
ზიციაც დაცალცალკევებულად კი
ერთად უნდა შეებას.

ამ ერთობისკენ კი ნაბიჯები
ჯერობით არ იდგმება.

იგი, უპირველეს ყოვლისა, ხელ
ლებამ უნდა გადადგას, რადგან ხ
სუფლება მხოლოდ თავისი მომ
ბის კი არა, ყველას ხელისუფლ

პარლამენტის სხდომაზე გაჟღე
ლი მაქსიმა –თ „ვინც ჩვენ გვ
მხარს, ჩვენც იმას დავუჭერთ მხა
ქვეყნის ხელისუფლების სამოქმედო
მად და პროგრამად არ გამოდ

ალეკო ასლანიშვ

◎ ექო

ცივ მდინარეში თავით გადაშვებული პატრული და აგურივით კარგად გამომწვარი რეზერვისტები

(პირველი გვერდიდან)

ამ მხრივ, პარლამენტარს მოსწონს პრეზიდენტის მოხსენება. „დანარჩენს, – ამბობს იგი, – რაც გავაკეთეთ, ავსაც და კარგსაც, ისედაც ხედავს ქვეყანა და საზოგადოება. რაც ვერ გავაკეთეთ, არც ამას ვმალავთ და ვამბობთ...“

ნაციონალი კოლეგისგან განსხვავებით, „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე გაკვირვებულია საგაზაფხულო სესიის გახსნითი სხდომით, რადგან მას გადაჭარბებული საზეიმო ელფერი დაჰკრავდა. „ქვეყანაში მომხდარი მოვლენებიდან გამომდინარე, მეგონა, რომ ცოტათი მაინც ტრაგიკული და სამგლოვიარო განცდის შეგრძნებაც იქნებოდა, მაგრამ მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის მხოლოდ საზეიმო განცდა“...

ფიქრია ჩიხრაძის თქმით, სხდომაზე დავით გამყრელიძის გამოსვლა, ფაქტობრივად, ფრაქციის პოზიცია იყო. იგი ეთანხმება ფრაქციის თავმჯდომარის აზრს, ხოლო რაც შეეხება პრეზიდენტის მოხსენებას, მართალია, მან „რაღაც ცვლილებებზე ისაუბრა, მაგრამ სინამდვილეში ჩემთვის საქმიანი ნაწილი არ არსებობდა“. ეს იყო გამოსვლა შოუს ელემენტებით, – ამბობს ფიქრია ჩიხრაძე„,თავს შევიკავებ იმისგან, რომ პრეზიდენტი ასე არ უნდა მეტყველებდეს და იქცეოდეს, არამედ დამოკიდებულების დონეზე უკულტურობას. არც ჟვანიასთან, არც შევარდნაძესთან და არც სააკაშვილთან, ოპონირების მიუხედავად, ეტიკეტი არ დაგვირღვევია და არასდროს არავისი ღირსება არ შეგვილახავს. როდესაც ადამიანს თვითონ აქვს ღირსების შეგრძნება, იგი სხვის ღირსებას იოლად არ ლახავს“, – ამბობს ფიქრია ჩიხრაძე.

შორენა თამარაშვილი.

◎ ინფორმაცია

ბაღაფშმა საპრეზიდენტო ფიცი დადო

**გუშინ სოხუმში თვითაღიარებული აფხაზე
რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდე
სერგეი ბაღაფშის ინაუგურაციის ცერემ
ალი გაიმართა, რომლის ფარგლებში მან „აფ
ზეთის ხალხისა და აფხაზეთის კონსტიტუ
ისადმი ერთგულების ფიცი“ დადო. სერგეი
ღაფში აფხაზეთის ახალი ხელისუფლების
თავრეს ამოცანად საერთაშორისო თანამე
რობის მიერ „აფხაზეთის დამოუკიდებლო
აღიარებას მიიჩნევს“.**

სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ცენტ
ლური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ
ტალ ტაბაღუამ ინაუგურაციაში მონაწილე
ზოგადოებას აფხაზეთში 12 იანვარს გამართ
საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები კიდევ
თხელ გააცნო. აფხაზეთის ექს-პრეზიდენტ ვ
დისლავ არძინბას დავალებით, აფხაზეთის
ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ სერგეი
ღაფშს ხელისუფლების ოფიციალური სიმბოლო
ასევე ხმალი და ნაციონალური სიბრძნისა
მამაცობის სიმბოლო „ალაბაშა“ გადასცა.

– ჩვენ გავაგრძელებთ აფხაზეთის რუს
თან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრ
ვების კურსს, – განაცხადა გუშინ ბაღაფშ

არ გადაიხდი, ვერ დალ

რუსთავში განსახლებულ ლტოლვილთა ე
თი ნაწილი გუშინ ქალაქის წყალმომარაგ
ბის სამსახურის თანამშრომლებს დაუპირ
პირდა. ლტოლვილების განცხადებით, საქა
თველოს ლტოლვილთა და განსახლების ს
მინისტრო „რუსთავწყალს“ სისტემატურ
ურიცხავს მათ მიერ მოხმარებული წყლის
ფასურს, რასაც წყალმომარაგების სამსახურ
კატეგორიულად უარყოფენ.

“რუსთავწყალის“ ხელმძღვანელობის გა
ცხადებით, სასტუმრო „რუსთავს“ რვა წლ
განმავლობაში „რუსთავწყალისადმი“ რა
დენიმეათასიანი დავალიანება დაუგროვდ

სასტუმრო „რუსთავის“ ადმინისტრაციის მტ
ცებით კი, სასტუმროს ანგარიშზე ლოლტოლვ
და განსახლების სამინისტრო არანაირ თანხ
არ რიცხავს. ამიტომ, ისინი ვერც „რუსთა
წყალთან“ ანგარიშსწორებას ახდენენ.

ინტერ-პრე

◎ ინფორმაცია

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ პარლამენტს უჩივის

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატებმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს.

ადვოკატები უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ „ადვოკატთა შესახებ“ კანონს აპროტესტებენ. მათი განცხადებით, აღნიშნული კანონი საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას ეწინააღმდეგება და კანონში მოცემული რამდენიმე მუხლი უშუალოდ ადვოკატთა უფლებებს ლახავს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის წარმომადგენელმა მანანა კობახიძემ განაცხადა, მათთვის კატეგორიულად მიუღებელია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 35-ე მუხლი, რომლის თანახმად, ადვოკატისთვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტა და საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას შეუძლია.

კობახიძის განცხადებით, ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა, რადგან კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ პიროვნების დამნაშავედ ცნობა და მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ საერთო სასამართლოების კომპეტენციას განეკუთვნება და მხოლოდ სასამართლოს აქვს დასჯის უფლება.

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ კანონი „ადვოკატთა შესახებ“ „საშიშ მუხლებს“ შეიცავს, რომლებიც იმის საშუალებას იძლევა, რომ სახელმწიფომ კონტროლი დაამყაროს თავისუფალი პროფესიის ადამიანებზე, ამ შემთხვევაში - ადვოკატებზე. ადვოკატები საკონსტიტუციო სასამართლოსგან კანონის შესაბამისი მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვენ.

ინტერ-პრესი.

◎ სათქმელი უნდა ითქვას

აშორდიას ნაკვალევზე

დროდადრო ჩამქრალი ვულკანივით, საზოგადოებას სხვადასხვა ასპექტში თავს შეახსენებს ხოლმე მივიწყებული პრობლემები „სამეგრელო“, „მაფალუ“, „მეგრული ნაციონალიზმი“ და, თურმე ნუ იტყვით, „მეგრული სეპარატიზმიც“ კი.

ამასთან დაკავშირებით, კალამი ამაღებინა ამას წინათ ტელევიზიით ნაკლებად ცნობილი „ტრიოს“ (ხელმძღვანელი – პარლამენტარი ბეჟან გუნავა) უგუნურმა გამოსვლამ მეგრული ენის აღორძინება-აღზევებაზე. ამას ქადაგებდა ერთი საუკუნის წინათ რუსეთის ცარიზმის აგენტი, სოფლის მასწავლებელი ვინმე აშორდია.

სანამ საქმის არსზე მოგახსენებდეთ, ამ „პრობლემის“ ავადსახსენებელ ისტორიაზე გაკვრით შეგახსენებთ, რათა ნათელვყოთ, თუ საიდან იღებს სათავეს ახლად გამოჩეკილი „აშორდიების“ ბრიყვული ნააზრევი.

შორიდან რომ არ დავიწყოთ, ამ პრობლემას მეცნიერული პოზიციიდან ეხება და საკმაოდ ობიექტურად აშუქებს უკანასკნელ პერიოდში (2004 წ.) დასტამბული „საქართველოს უახლესი ისტორია“ (ავტორები – საქმეში ჩახედული მეცნიერები მ. ნათმელაძე და ალ. დაუშვილი).

ფართო მკითხველისთვის ისედაც უცხო არ არის „მაფალუს“ სულისჩამდგმელის – ნაციონალისტ აშორდიას „ნამოღვაწარი“ და გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ზუგდიდის მაზრის პარტიული ხელმძღვანელის ისაკ ჟვანიას მცდარი პოზიციებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ისტორია, რომელიც სავსებით მართებულად დაგმო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ.

ისიც უნდა ვთქვა, რომ მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა, ვერ გავიზიარებ „უახლესი ისტორიის“ ავტორთა მიერ, ჩვენი აზრით, უთუოდ უნებლიეთ დაშვებულ უზუსტობას – „მაფალუელების“ „სეპარატისტებთან“ გაიგივებას. ისინი უდავოდ სრულიად სხვადასხვა ცნებისა და შინაარსის მქონეა. „მაფალუ“ გამგლილ კვირტს ნიშნავს, სეპარატიზმი კი – გამოყოფას, მთელისგან გამოცალკევებას.

ამდენად, წიგნის ავტორებისეული გაგება ნოყიერ ნიადაგს უქმნის პრობლემის მცდარ ინტერპრეტაციას, მის მავნე პოლიტიკურ გააზრებას. საუბედუროდ, სამეგრელოს ლამის სეპარატისტულ რეგიონად მონათვლას, საქართველოდან მისი გამოყოფის მცდელობას.

როგორც ცნობილია, ცარიზმი ასეთი მზაკვრული შინაარსის შემცველ „ნაღმს“ გვთავაზობდა, როცა მიზანმიმართულად აცხადებდა მეგრულ-ლაზური და სვანური ენების არაქართულ წარმომავლობას. ეს გათიშე და იბატონეს ცნობილი ფორმულაა.

კარგად მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორია ძირძველი კოლხეთის (საქართველოს 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის სათავის) მიწა-წყლის უდიდესი ნაწილია. ისმება კითხვა: ვის უნდა გამოყოფოდა ან უნდა გამოეყოს იგი, საკუთარ თავს?.. მით უფრო, რომ მეგრულ (უფრო სწორად სამეგრელოს ქართულ ეთნოსს, ძირძველ კოლხს) არასოდეს მოსვლია აზრად, არც ამჟამად ფიქრობს და მომავალშიც გამორიცხულია მისი სეპარატისტული განწყობილება. ამის გარანტია მისი ძვალ-რბილში გამჯდარი ქართული სისხლი, ქართული სული, ცხოვრების წესი და, რაც მთავარია, ეთნიკური წარმომავლობაა, ისევე როგორც ჩვენი განუყრელი ძმებისა და მეზობლების – გულზვიადი სვანებისა.

ეს ჩვენზე კარგად მოეხსენებოდათ და სჯეროდათ ჭკვიან ქუჯის და გონიერ ფარნავაზს, როცა წყვეტდნენ საქართველოს სამუდამო ერთიანობის მომავალს.

ი. ჟვანია და „მაფალუს“ მიმდევრები სამეგრელოს საქართველოსგან გამოყოფას იმ დროსაც არ ისახავდნენ მიზნად, როცა ავტონომიას ითხოვდნენ.

ჩვენი ღრმა რწმენით, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა არც სამეგრელოს, არც აჭარისა და, მით უფრო, არც ოსების ავტონომია. სხვა პრობლემაა აფხაზეთის ავტონომია და მასში ადრიდანვე ჩადებული შინაარსი.

მეგრული ენის პრობლემას და ამასთან დაკავშირებით ი. ჟვანიას მიუტევებელ შეცდომებს თავისი პრეზიდენტობის პერიოდში მეცნიერული ანალიზი და შეფასება გაუკეთა დიდმა ქართველმა პატრიოტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც, ცხადია, სრულიად საქართველოსთან ერთად, სამეგრელოს ღვიძლი შვილიც იყო.

„მაფალუსთან“ შედარებით, უფრო მტკივნეული და შორს გამიზნული შენათითხნი იყო გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში აგორებული „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმე“.

იხ. მე-7 გვ.

არშემდგარი რეპორტაჟი

სამნი ავტომანქანაში

ატომ „ჩაუვარდა“ ჟურნალისტს სარედაქციო დავალება და რამ გაახსენა მას კუსა და მორიელის არაკი

ი-ხაშურის საავტომობილო გზის
ი საფარი თვალსა და ხელს შუა
მ გვეცლებოდა, კი ვხედავდით,
რამ „მალხაზის წვერიდან“ ქვე-
თ რომ დავეშვით და რუისის სა-
ებს გავუსწორდით, ხვავრიელად
თოვლილმა გზამ და მინდორ-
ებმა მზის შუქზე თვალი მოგვ-
ა.

ეკემბერში მოსული თოვლი კარგა
ია მიწაში ჩავიდა, მას უკან ქარ-
ში ცივი და მშრალი ამინდებია
ა აი, აგერ, ზედ გაზაფხულის პი-
, ისევ გაგვიხსენა თოვლმა.

ამურთან ახლოს, ხცისის გადა-
ვევთან კიდევ ერთხელ დაგვაკ-
იანეს, როგორ უნდა მივსული-
ით ოსიაურის რეზერვისტთა ბა-
მი – მტკვრის მარჯვენა მხარეს
ა გადახვიდეთო.

ლმერთოდ თოვდა. მანქანაში სამ-
ვსხედით – „საქართველოს რეს-
ლიკის“ ფოტორეპორტიორი ამი-
ნ ადამიშვილი, ჩვენი გორელი მე-
ბარი მექანიკოსი რემ ქანანოვი
ლი მანქანით მიედიოდით და რე-
სამსახური არაერთხელ დაგვ-
რდა) და მე.

იდზე გადავედით და მტკვრის და-
ველ ნაპირზე აღმოვჩნდით. ას-

ლისა და კვრინჩხის ბუჩქები ერ-
ად დაეჭირხლა ყინვას. ამ უკაც-
ლ, თოვლით გადაპენტილ არე-
ში ჩვენდა გასაოცრად ღონი-
„ნივებიც“ გვხვდებოდა და მოხ-
ლი „ვოლგებიც“, მაგრამ ეს მან-
ანი მონადირეები ახლოსაც ვერ
დოდნენ მხარზე აბგამოგდებულ
თოფგადებულ მონადირეებთან,
თოვლილი გორაკებიდან ქორები-
რომ დასცქეროდნენ მტკვარს.
ებზე სანადიროდ თუ იყვნენ გა-
ულები.

– ქემხეთიდან მოვყვები ხეობას,
თ უფრო დიდი თოვლი დევს, –
თხრა გზაზე შემთხვევით გაცნო-
ლმა ტყაპუჭებში გამოკრულმა მო-
დირემ ნოდარ ნოზაძემ, – ყეფა ხომ
მით? ჩემი ძაღლებია. ეტყობა, კვა-
აიღეს, ვნახოთ, რას გამოდენიან
თ.

ამასობაში ჩვენი მანქანა თოვლში ჩავარდა და ბუქსაობა დაიწყო. ნოდარ ნოზაძემ, დევის ღონე რომ ჰქონდა, თოფი და აბგა ძირს დადო, მანქანის წინა თვლები გზაზე გადმოაყენა (ჩვენც, რაც შეგვეძლო, ვეხმარებოდით) და გვითხრა, შუა გზაზე იარეთო, თან დაინტერესდა, საით გაგიწევიათო.

– რეზერვისტებთან მივდივართ, საგაზეთო მასალა უნდა მოვამზადოთ, თუ კურდღელს მოინადირებ, გამოვლაზე ცეცხლი გავაჩაღოთ, შამფურები დავთალოთ, მწვადიც შევწვათ და თან დავილოცოთ-თქო, ვუთხარით.

– რეზერვისტებთან მიდიხართ? – გამოცოცხლდა მონადირე. – ამბობენ, ისეთი სნაიპერი ქალიშვილები ჰყავთ, სროლებზე, ვარჯიშის დროს, ტყვიას ტყვიაში სვამენო.

– კიდევ რას ამბობენ? – ახლა ჩვენ დავინტერესდით.

– კიდევ იმას, რომ თბილისიდან, ერთი ცნობილი რესტორნიდან, კვირაში ერთხელ მაინც ჩამოდიან, რომ როგორმე ამათი შეფი-მზარეული გადაიბირონ.

– მერე?

– ის კი უარზეა. არ წავალო, ამბობს. ძლივს ქართულმა ჯარმა მოიხედა და აქ სამსახური ჩემთვის მთავარიაო.

ნოდარ ნოზაძე კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ შორიახლო ძაღლებმა ყეფა ატეხეს და ჭალაში რამდენჯერმე დაიქუხა კიდეც.

ბოდიში მოგვიხადა მონადირემ და ძუნძულით გაუყვა მტკვრის ნაპირს. ჩვენ კვრინჩხის ბუჩქებს შემოვუარეთ და, გეგონება, ჯიბრზეო, ისევ ღრმა თოვლში ჩავჯექით და მწარედაც ვინანეთ, რომ ნოდარ ნოზაძეს არ დავუჯერეთ. „კოლხოზნიკი“ მოგვადგა.

დაბერებულიყო რკინაც და ტენტიც, მაგრამ მანქანას, ეტყობა, კვლავაც ერჩის ჯანი და „რქებით“ მოარღვევს თოვლს. ჩვენს წინ გაჩერდა, სამხედროფორმიანი მძღოლი კაბინიდან გადმოხტა, არც არაფერი უკითხავს, ჩვენს მანქანას ხელდახელ ფოლადის გვარდი ჩააბა და რეზერვისტების ბანაკის შესასვლელთან მიგვიყვანა...

სამხედრო ფორმაში გამოწყობილი აკვალთული, ავტომატიანი გუშაგები ჩვენთან მოვიდნენ, მხედრული სალამი მოგვცეს და მოსვლის მიზეზიც იკითხეს.

გამახსენდა, ამ ერთი თვის წინათ რკინიგზის სადგურის ჩიხში შემთხვევით რომ წავადექი თავს მატარებლის ვაგონებში შეყრილ მაზარადაგლეჯილ, ფეხსაცმლის ლანჩამორღვეულ, გასაცოდავებულ ჯარისკაცებს. „ქუთაისელები ვართ, მაღალი ძაბვის ანძებზე საყარაულოდ დავყავართო“, მითხრეს.

... რეზერვისტების ბანაკის შესასვლელში ვიდექით. გუშაგებმა თავიანთი უფროსები მობილური ტელეფონით გამოიძახეს, ისინიც სასწრაფოდ მოვიდნენ, ჩვენ მოვახსენეთ, ვინ და საიდან ვიყავით.

ერთ-ერთმა მასპინძელთაგანმა გვითხრა:

– გვიხარია, რომ პრესა დაინტერესებულია ჩვენი რეზერვისტების ცხოვრებითა და საქმიანობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მიგიღებთ: თქვენ არ გაქვთ საშვი თავდაცვის სამინისტროდან.

რის წვალებით მივაღწიეთ რეზერვისტების ბანაკამდე და ახლა უკან უარით გვიშვებენ?!

მაგრამ მოულოდნელად ჩინებულ ხასიათზე დავდექი:

– ბარაქალა, ბიჭებო, თუკი თავდაცვის სამინისტროს მეტ-ნაკლებად გასაიდუმლოებულ უწყებაში კი არა, ჩვეულებრივი, რეზერვისტების ბანაკში ჟურნალისტებს უსაშვოდ შესვლაზე უარს ეუბნებიან, კარგად კი არა, ძალიან კარგად მიდის ჩვენში ქართული ჯარის მშენებლობის საქმე და ამის გამო მადლობის მეტი რა გვეთქმის. ამაზე უკეთეს საგაზეთო მასალას, ბანაკში რომც შეგვეშვით, მაინც ვერ ვიშოვიდით.

რის წვალებით მანქანა შემოვაბრუნეთ და ცხვირი საპირისპირო მიმართულებით ვუქენით. გუშაგი ყმაწვილები მოგვეხმარნენ.

– ახლა სწორ გზას ადგახართ, – გვითხრა ერთმა.

– თქვენც სწორ გზას ადგახართ, – ვუთხარით ჩვენც. მანქანა დაიძრა.

გამოვიარეთ ქაცვის ბუჩქნარი და ხცისის გზაზე რომ გამოვედით, რემმა თქვა:

– რადიომიმღები ჩავრთოთ. დღეს პარლამენტის საგაზაფხულო სესია იწყება.

რადიომიმღები ჩავრთეთ. პრეზიდენტის გამოსვლა, სამწუხაროდ, დამთავრებულიყო. სიტყვას ამბობდა „საქართველოს მთავარი ოპოზიციონერი“. ზურგზე ბოლს აღენდა ხელისუფლებს იმის გამო, რომ ქართული ჯარის მშენებლობა ბედის ანაბარადაა მიტოვებული. ბევრ სხვა ცოდვაშიც გაურია ხელი.

კუს და მორიელის არაკი გამახსენდა...

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

უმაღლესი განათლება

ისმინე, სწავლის მძებნელო...

ინსტიტუციური აკრედიტაციის საბოლოო შედეგები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების საკრედიტაციო საბჭოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა ბრიფინგი გამართა, რომელზეც „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაციის საბოლოო შედეგების შესახებ ისაუბრა.

დადგენილ ვადებში ინსტიტუციური აკრედიტაციის გასავლელად განაცხადი (2004 წლის 24 ნოემბრამდე) 227 სასწავლებელმა გააკეთა. მათგან საკრედიტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ინსტიტუციური აკრედიტაცია გაიარა 110 უმაღლესმა სასწავლებელმა. წლეულს მხოლოდ მათ ეძლევათ სტუდენტთა მიღების გამოცხადების უფლება.

მათ შეუძლიათ მიიღონ მაქსიმუმ 17228 სტუდენტი, როგორც სახელმწიფო დაფინანსებით, აგრეთვე – თვითდაფინანსებით. აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები განლაგებული არიან ახალციხეში, ახალქალაქში, ბათუმში, ცაგერში, ფოთში, გორში, ლაგოდეხში, მარნეულში, ოზურგეთში, ქუთაისში, რუსთავში, სენაკში, სიღნაღში, თბილისში, თელავსა და ზუგდიდში.

ინსტიტუციური აკრედიტაციისთვის გამოყენებული ძირითადი კრიტერიუმებია: პროფესორ-მასწავლებელთა შორის სამეცნიერო ხარისხის მქონეთა პროცენტული რაოდენობა; სტუდენტთა რაოდენობასთან შეფარდებული სააუდიტორიო ფართი; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა, უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა და ვებგვერდის არსებობა.

საკუთრების ფლობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო აკრედიტებული 110 უმაღლესი სასწავლებლიდან კონტინგენტის მიღების უფლება არ მიეცა ოთხს.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 ოქტომბრის № 470 ბრძანებულებით შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის საბჭო, საბჭოს წევრების მიერ მომზადებული თვითშეფასების კითხვარი ყველა ლიცენზირებულ უმაღლეს სასწავლებელს დაეგზავნა, ხოლო წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე კონკურსის წესით შერჩეულმა 113 ექსპერტმა უმაღლეს სასწავლებლებში გასვლებით შეამოწმა.

ნათელა ფაილოძე.

გვწერენ

შესარჩევი კონკურსი უკვე ჩატარდა

პატივცემულო რედაქცია, თქვენი გაზეთის 10 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია ბათუმის მერიაში მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ ეს ინფორმაცია ძველია და, გთხოვთ, მოსახლეობაში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოთ შესწორება:

ბათუმის მერიის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი 28 იანვარს დაიწყო და 2 თებერვალს დასრულდა. 50 ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა 464-მა პრეტენდენტმა მიიღო. კონკურსში გამარჯვებულთა შორის დაახლოებით ნახევარი მერიის ძველი თანამშრომლები არიან. კომისიის მიერ რეკომენდებული გამარჯვებულები მერმა რამდენიმე დღეში უნდა დანიშნოს.

ბათუმის მერიამ კონკურსის მეტი საჯაროობისა და ობიექტურობის მიზნით 9-წევრიან კომისიაში ორი ადგილი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს დაუთმო. აღსანიშნავია, რომ ამას სახელმწიფო სტრუქტურებს კანონმდებლობა სულაც არ ავალდებულებს. შესაბამისად, არასამთავრობო სექტორის მიერ არჩეული ორი კანდიდატი კომისიის წევრი გახდა. მეტიც, ჟურნალისტებსა და არასამთავრობოებს ნება დაერთოთ, დასწრებოდნენ არა მარტო გასაუბრების პროცესს, არამედ კომისიის წევრთა მიერ გამარჯვებულთა გამოსავლენად ჩატარებულ კენჭისყრასაც. ამდენად, გასაუბრება და კომისიის მუშაობა მთლიანად გამჭვირვალე იყო.

ნიშანდობლივია ისიც, რომ პირები, რომლებმაც კონკურსში ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ კომისიას კარგი შედეგები აჩვენეს, მერიის რეზერვში ჩაირიცხებიან. ხოლო მათ, ვისაც კონკურსის თაობაზე შენიშვნები აქვთ, შეუძლიათ მიმართონ მერიაში შექმნილ საპრეტენზიო კომისიას, შემდეგ კი – სასამართლოს.

ბათუმის მერიაში კონკურსის ჩატარების სტრუქტურაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად გადაწყდა: კანონმდებლობა სახელმწიფო უწყებებისგან შტატების კონკურსის წესით დაკომპლექტებას ითხოვს. ეს საუკეთესო სპეციალისტების მოზიდვის, ობიექტურობისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

თავად, რეორგანიზაციის მიზანი კი თვითმმართველობის ორგანოს სტრუქტურის რეფორმა იყო, რათა იგი მეტად ეფექტური და ქმედითი გახდეს. რეფორმის შედეგად, ქალაქის მთავრობის რამდენიმე რგოლი გაერთიანდა და რამდენიმე კი ახალი სამსახური შეიქმნა. რეორგანიზაციის შედეგად ძველი ხელისუფლების მიერ ბათუმის მერიის გაბერილი შტატების ოპტიმიზაცია მოხდა და 120-კაციანი აპარატი 66 ერთეულამდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ მალე ბათუმის მერია კონკურსების გამოცხადებას საქალაქო სამსახურების დასაკომპლექტებლადაც გეგმავს.

ქ. ბათუმის მერიის
საზოგადოებასთან
და მასმედიასთან
ურთიერთობის სამსახური.

ინფორმაცია

205 ათასი ლარი მიითვისეს და გაფლანგეს

ფინანსურმა პოლიციამ ავიაკომპანია „აბავიაში“ მძიმე დანაშაული გამოავლინა. თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ ავიაკომპანიის ხელმძღვანელების მიერ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არაერთგზის ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე მითვისება-გაფლანგვის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

როგორც „ინტერ-პრესს“ ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ავიაკომპანია „აბავია“ 1994 წელს სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ბაზაზე შეიქმნა და დევნილი სპეციალისტებით დაკომპლექტდა. ავიაკომპანიამ დღემდე სამი დირექტორი გამოიცვალა – გოგი ფაცაცია, იური ლავრინენკო, ამჟამად კი მას ზაურ ხაინდრავა ხელმძღვანელობს. „აბავია“ მგზავრების და ტვირთების გადაყვანა-გადაზიდვით არის დაკავებული.

შემოწმების შედეგად ავიაკომპანიაში სერიოზული ფინანსური დარღვევები და ეკონომიკური დანაშაული გამოვლინდა. ყველა საფინანსო ოპერაცია ბანკის გვერდის ავლით, ნაღდი ანგარიშსწორებით წარმოებდა. არ ხდებოდა ბუღალტრული აღრიცხვა, არ არსებობს ფინანსური ანგარიშები, ბალანსები და ა.შ., რაც ავიაკომპანიიდან თანხების დატაცებას და მითვისებას უწყობდა ხელს.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, თანხების გაცემა ხდებოდა ისე, რომ მის მიმღებს ხელსაც კი არ აწერინებდნენ. მათი უმრავლესობის დადგენა კი, ვისაც ხელი აქვს მოწერილი, ვერ ხერხდება. რამდენიმე შემთხვევაში თანხები გარდაცვლილ პირებზე იყო გამოწერილი. ბევრია ასევე საეჭვოდ შედგენილი ფინანსური დოკუმენტი.

„აბავია“ არც დღგ-ს იხდიდა და არც საშემოსავლო და სოციალურ გადასახადებს აღრიცხავდა. ამავდროულად, ავიაკომპანიას მუშა-მოსამსახურეების დიდი სახელფასო დავალიანება აქვს. იმ ფონზე, როდესაც ხელფასს ვერავინ იღებდა, მომატებული ხელფასებია გაცემული ბუღალტრებზე ლალი თურქიაზე და სვეტლანა მარკოვაზე. რა კრიტერიუმებით მოხდა ეს, ჯერჯერობით გაურკვეველია.

დააკავეს სიგარეტის კონტრაბანდისთვის

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ აფხაზეთიდან კონტრაბანდის შემოტანის მცდელობა აღკვეთა. დაკავებულია ლეილა შენგელია, რომელსაც აფხაზეთიდან რუსული წარმოების 5 180 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადმოჰქონდა.

გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის მცდელობისას ორი მოქალაქე დააკავა. მალხაზ ხურციძეს – უცხოური წარმოების 1 080 კოლოფი სიგარეტი, მაყვალა სურმავას კი ასევე უცხოური წარმოების 1 000 კოლოფი სიგარეტი გადაჰქონდათ.

სამივე კანონდამრღვევის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მარკირებას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის მუხლით აღიძრა.

კიდევ ერთი აფეთქება

თბილისში, საბურთალოს რაიონში გუშინწინ მომხდარი აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამართალდამცველებს არავინ დაუკავებიათ. ამის შესახებ ახალი ამბების სააგენტო „რეგნუმს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ განუცხადა. მან დაადასტურა, რომ აფეთქება ლვოვის ქუჩაზე, კერძოდ, „ერთ-ერთი უცხოელის საცხოვრებელი სახლის ეზოში მოხდა“.

ამასთანავე, დონაძემ არც დაადასტურა და არც უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საუბარია საქართველოში აშშ-ის საელჩოს თანამშრომელზე, კერძოდ, აშშ-ის სამხედრო ატაშეზე.

რუსული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გურამ დონაძემ „რეგნუმის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ „აფეთქდა გაზის მილი“, თუმცა ცოტა ხანში ეს ინფორმაცია უარყო.

ინტერ-პრესი.

პოზიცია

ჯალათი და მსხვერპლი...

ელი წლის ბოლოს „საქართველოს რესპუბლიკის“ ორმა პუბლიკაცი-
მიიპყრო ჩემი ყურადღება. ორივე მათგანი ძეგლის დადგმის საკითხს
ება. ძეგლი, როგორც ამა თუ იმ პიროვნების ან მოვლენის შესახებ
ვნის მარადიულობის ნიშანი, განსაკუთრებული, მრავალმხრივი დატ-
თვის (პოლიტიკურისაც!) მქონეა და, ამდენად, ყოველთვის დიდი განსჯისა
დაფიქრების საგანი უნდა იყოს. ჩვენში ეს საკითხი, ზოგი გამონაკ-
სის გარდა, სათანადო ყურადღების გარეშე წყდებოდა, არცთუ იშვი-
ად, ემოციურ ტალღაზე, სუბიექტურობის აშკარა ნიშნებით. ეს წერი-
ც ამის რეციდივის შიშით არის ნაკარნახევი.

ველი წერილის („თბილისი ელის
ელ ჯავახიშვილის ძეგლს“! 2004
ის 14 დეკემბერი, №289) ავტო-
ცნობილი პოეტი ემზარ კვიტაიშ-
ლია, რომელიც მისთვის ჩვეული
ეწყილი სტილით გვახსენებს მრა-
ლი წლის აუხდენელ დანაპირებს
ელ ჯავახიშვილისთვის თბილის-
ძეგლის დადგმის თაობაზე. თქვენც
ელიათ, ალბათ, „ბუკიას ბაღთან“
დგმულ ქვასთან და გაგლვივები-
იმედი, რომ აღსრულდებოდა მას-
ამოკვეთილი დანაპირები ამ ად-
ლას მიხეილ ჯავახიშვილის ძეგ-
ს დადგმის თაობაზე. ახლა კი, რო-
ც ბატონი ემზარი გვამცნობს,
ხებობს შეთანხმება“ ძეგლის გან-
სხებაზე მტკვრის მარჯვენა სანა-
როზე (მიაქციეთ ყურადღება, ამას
ნციპული მნიშვნელობა აქვს!), ვე-
(ელბაქიძის, ჯავახიშვილის) აღ-
თის დასაწყისში, პატარა ბაღში,
სადაც 30-იან წლებში ცირკის ხის
ობა იდგა, შემდეგ კი ბევრჯერ
ველა მისი ბინადარი. უკვე ის
ტი, რომ ძეგლი არ აიგება დათ-
ლ ადგილზე, ბევრ კითხვას ბა-
ს, თუნდაც ასეთს: თუ იგი შეუ-
ბელი იყო ძეგლისთვის, სად იყ-
ნ თავის დროზე ამ საქმის პრო-
ონალები? მე კი უფრო იმის ეჭვი
მაქვს, რომ „ლურჯი ცირკის“ – „ნიკალას“ (ვეება კაფეს) უკანონოდ თუ კანონიერად ჩადგმამ „ბუკიას ბაღში“, მემორიალური ქვის გვერდით, სამუდამოდ დაასამარა ამ მშვენიერ პატარა სკვერში რაიმე მოკრძალებული მონუმენტის აღმართვის ან ძეგლის დადგმის შესაძლებლობა.

მეორე წერილში, რომელიც ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, ბატონ თოლანი ქარდავას ეკუთვნის და რომელსაც უყოყმანოდ გასაზიარებელი სათაური აქვს – „წარსულის ცოდნა ახალგაზრდობის გონებას აფხიზლებს“ (2004 წლის 17 დეკემბერი, №292), „ვეტერანთა სახელით“ შემოთავაზებულია წინადადება „გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (! – ი.მ.), დაიდგას იოსებ სტალინის ძეგლი“. ამ მინიშნებისას იგულისხმებოდა, ალბათ, ის ადგილი, სადაც თავის დროზე სტალინის ძეგლი იდგა და რომელიც ქართველ ახალგაზრდებთან ანგარიშსწორების ერთ-ერთ ადგილად იქცა 1956 წლის მარტში. იგი სულ რამდენიმე ასეულ მეტრშია იმ ადგილიდან, სადაც მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლის დადგმაა განზრახული.

„კერპთა მსხვრევა“, ანუ დეფეტიშიზაცია უმტკივნეულესი პროცესია და ვაგლახ, რომ ჩვენ, უფროსი თაობა, ამის რამდენიმე პრეცედენტის მომსწრენი გავხდით. მეც მაქვს ამის ჩემეული, გარკვეული თვალსაზრისით სპეციფიკური, გამოცდილება. საქმე ის არის, რომ 50-იან წლებში მუშაობა მომიწია შორეულ ჩრდილოეთში ნავთობისა და გაზის გეოლოგიურ-საძიებო საწარმოში, რომლის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოური პოლიტიკური ტერორის მსხვერპლი იყო და სასწაულებრივ სიკვდილს გადარჩენილები, უკვე სასჯელმოხდილნი, თითქმის თავისუფალნი (ე. წ. „вольное поселение“) აგრძელებდნენ შრომით საქმიანობას იმ იმედით, რომ ოდესმე მიეცემოდათ უფლება მშობლიურ კუთხეში საბოლოოდ დაბრუნებისა.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი თავს განუკითხაობის ან, უკეთეს შემთხვევაში, გაუგებრობის უდანაშაულო მსხვერპლად თვლიდა, პარტიის მეოცე ყრილობის შედეგები, რომელიც მთლიანად სტალინის კულტის საკითხს მიეძღვნა, მათი უმეტესობისათვის, და ეს მე ჩემი თვალით ვიხილე, თავზარდამცემი შოკის მომგვრელი აღმოჩნდა – მათ თვალწინ წამიერად დაინგრა ჩვეული სამყარო, მოიშალა ამ სამყაროს საფუძვლები და მთელი სიმწვავით წამოიჭრა საკითხი: რისთვის? ვისთვის? უფრო მეტიც – ნუთუ არაფრისთვის? თურმე არაფრისათვის ყოფილა გატარებული ციხე-ბანაკების არაადამიანურ პირობებში ორ ათეულამდე წელი მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო ერთპიროვნული გადაწყვეტილება პროლეტარიატისა და გლეხობის სახელით (განა მათ ჰკითხა ვინმემ?) მოქმედი კომუნისტური პარტიის, ამ უკანასკნელის სახელით მოქმედი ცენტრალური კომიტეტის (განა მას ჰკითხა ვინმემ?), მისი სახელით მოქმედი პოლიტბიუროსი (ვი-

თომ მას კი ჰკითხა ვინმემ?), ამ უკანასკნელის სახელით მოქმედი რამდენიმე პირისა, რომელთაც თავის ნებაზე მართავდა ერთადერთი კაცი – სტალინი! იმდროინდელი თაობის ჯერ კიდევ შემორჩენილ წარმომადგენელთა წინაშე დღეს კიდევ უფრო მეტი სიმწვავითა დადგა ეს კითხვა – რისთვის? რადგან მათ თვალწინ საბოლოოდ დასამარდა ის სისტემა, რომლის შენებასაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა.

ჯალათი და მსხვერპლი...

სიტყვათა ეს თანაწყობა დღემდე მოჰყვება კაცობრიობას უხსოვარი დროიდან და ხშირად საბედისწერო ზიგზაგებს აკეთებინებს მას განვითარების გზაზე. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი წყობის თანამიმდევრული ცვლა, როგორც ჩანს, კანონზომიერი იყო. დასაშვებია იმის ვარაუდიც, რომ მისი განვითარების შემდეგი ეტაპი შეიძლება სოციალიზმიც იყოს. უფრო მეტიც, – პროგრესის დამაგვირგვინებელ ეტაპად, იქნებ, კომუნიზმიც კი მოგვევლინოს ოდესმე (ოღონდ, რასაკვირველია, არა ლენინურ-სტალინური გაგებით). მაგრამ ის, რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციით კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბების დაწყების მცდელობა უდროო (იქნებ, უადგილოც) იყო, დღეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. და არც ის, რომ ეს გზა მცდარი იყო, რაც შემადგენელ ნაწილებად საბჭოთა კავშირის ელვისებურმა დაშლამ დაამტკიცა. ამის შედეგად დედამიწის ერთ მეექვსედზე მოსახლე ერები თითქმის 80 წლით ჩამორჩენილი აღმოჩნდნენ კაპიტალისტური სამყაროს მოწინავე ქვეყნების განვითარების დონეს – ბევრი მათგანის ისტორია, ფაქტობრივად, ახლებურად არის დასაწყები!

ამრიგად, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული „ექსპერიმენტი“ არ შედგა, თუმცა ამის საფასურად კაცობრიობამ ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე გაიღო. ბუნებრივად ისმის კითხვა – ვის მიუძღვის ამაში ბრალი, უფრო სწორად კი – ვის როგორი ბრალი მიუძღვის ამაში? მეოცე საუკუნის კატაკლიზმები ბევრი ჩვენგანის თვალწინ მოხდა, ბევრი ისტორიული პიროვნება ჩვენი თანამედროვე იყო და მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი, რასაკვირველია, სტალინსაც ეკუთვნის. მაგრამ მის მიერ დანერგილი ავტორიტარული სისტემა იმდენად სასტიკი, მისი იდეოლოგიის შესაბამისად განხორციელებული ადამიანების ზომბირების პროცესი იმდენად მასშტაბური, პიროვნების კულტი კი იმდენად დამკვიდრებული იყო ადამიანთა ცნობიერებაში, იმდენად ძლიერი ზეგავლენა იქონია ამან მათ მენტალიტეტზე, რომ სტალინის როლის შეფასებისას დღემდე პრევალირებს „რკინის ხელის“ ნოსტალგიაზე დაფუძნებული იდეალიზაცია.

ეს ტენდენცია იმაშიც ვლინდება, რომ თითქმის ყველა გაზეთი დღემდე პერიოდულად უთმობს ადგილს პუბლიკაციებს სტალინის შესახებ, რომელთა უმეტესობაში, როგორც წესი, მისი ისტორიული როლი ცალმხრივად არის გაშუქებული. არადა, ობიექტურად შეფასებისას თვალნათლივ გამოჩნდებოდა, რომ იგი, თუმცა უდავოდ ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ, ამავე დროს, უსასტიკესი პიროვნება, უბრალოდ – ჯალათიც იყო. თუ ლენინისათვის ხალხი იყო „быдло“ (გახსოვთ, ალბათ, როგორ მოიხსენიებდა ის ინტელიგენციას), სტალინისათვის იგი იყო საზარბაზნე ხორცი, მოწოდებული მისი იდეების განსახორციელებლად. კომპეტენტურ მკვლევართა აზრით, სტალინის მმართველობის პერიოდში მარტო რუსეთის ფედერაციის მასშტაბით ციხე-ბანაკები გაიარა 40 მილიონამდე ადამიანმა! რამდენი იყო მათ შორის დახვრეტილი და დაღუპული, ეს ზუსტად ცნობილი დღესაც არ არის. სამაგიეროდ საკმაო სიზუსტით არის ცნობილი, რამდენი ადამიანის ბედია გადაწყვეტილი უშუალოდ სტალინის ხელმოწერით. საქმე ის არის, რომ ბოლო წლებში მოძიებულია 383 სია 44 ათასზე მეტ პიროვნებაზე, რომელთა მიმართ სასჯელი გამოტანილია უშუალოდ სტალინისა და მისი უახლოესი გარემოცვის ხელმოწერით. ისინი, როგორც წესი, მხოლოდ ადასტურებდნენ შინსახკომის მიერ სასჯელის წინასწარ განსაზღვრულ ზომებს და ეს, მოქნეული მახვილის შხუილივით მოკლე სიტყვა – „За“ – უმეტესწილად სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. აღნიშნული სიებიდან სტალინის ხელმოწერა და ვიზა „ამშვენებს“ 357-ს, მოლოტოვისა – 372, ჟდანოვისა – 176, კაგანოვიჩისა – 188, ვოროშილოვისა – 185, მიქოიანის – 8, შემდგომში თავად დახვრეტილი კოსიორისა კი – 5 სიას.

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ვულოცავთ!

„მე ყოველ დილით ვიბადები"

კოლორიტული პიროვნებანი არასდროს აკლდა ქართულ მწერლობას. ზოგი დღესაც ჩვენს გვერდითაა და ამ მინაველულ ყოფა-ცხოვრებას სიცოცხლესა და ელფერს მატებს. აი, მაგალითად, ჯემალ ჩახავა – კოლხი კაცი, ფოთში დაბადებული და გაზრდილი – ქართული ლექსით „ტვინდასეტყვილი", მოლხენი და სუფრის ავან-ჩავანი.

პოეზიის მოყვარულები კარგად იცნობენ ტერენტი გრანელისა და აკაკი წერეთლის პრემიების ლაურეატის ჯემალ ჩახავას ლექსებს – სადა, ჭეშმარიტად გულიდან წამოსულ პოეტურ სტრიქონებს, რომელთაგან, ზოგი, სიმღერებადაც კი ქცეულა. აბა, გავიხსენოთ:

ჩემო საყვარელო მიწავ ნამიანო,
მინდა, ტკივილები ისევ დამიამო.
შენი სიხარული ჩემად გამხდომია,
შენი სიგრძე-განი ირმის ნახტომია.
უნდა მაცოცხლო და უნდა დამაბერო,
ჩემო თვალისჩინო, ჩემო საქართველო,
ჩემი დაბადების დიდო წყაროსთავო,
ჩემო ტაძარო და ჩემო სალოცავო!

კარგია არა?..

ამასობაში, ჩვენი ძვირფასი ჯემალი – სიცილსა და ტირილში, ქეიფსა და სევდაში – 65 წლისა გამხდარა და, სასიამოვნოა, რომ ამ თარიღს ახალი ლექსების კრებულით შეხვედრია.

კრებულში პოეტის რჩეული ნაწერებია თავმოყრილი, გაცხადებულია გულისთქმა, საფიქრალ-საწუხარი კაცისა, რომელიც მაინც იმედიანად დააბიჯებს ამ მუხთალ წუთისოფელში.

გილოცავთ, ჯემალ, ძმაო, 65 წლისთავს და ამ კარგი წიგნის გამოცემას, ამაზე მეტი სიხარული, აბა, რა უნდა იყოს პოეტისთვის, მით უმეტეს დღეს, როდესაც, ჩვენს ირგვლივ, სასიხარულო ძალიან ცოტაა, სევდის მომგვრელი კი – ზომაზე მეტი. სევდა ახლავს შენს ლექსებსაც, რომლებსაც ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველებს. რა გასაკვირია, პოეტი ხომ დროის შვილია.

ვილენ მარდალეიშვილი.



ჯემალ ჩახავა

ჩემს ძმებს — 18 თებერვლის გამო

ე, ძმაო, მიდი, დამისხი ღვინო
და სადღეგრძელო მითხარი რამე,
მიდი, ჯიგარო, არ მოიწყინო,
წელში გავტეხოთ თებერვლის ღამე.

საოცარია ცხოვრება ჩემი
და ეს ცხოვრება მე ასე მესმის,
აქ ყოველ დილით მაღვიძებს გემი
აქ ყოველ დილით მაწუხებს ლექსი.

მე გუშინ ჩუმად თქვენზე ვილოცე,
ძმები ხართ ჩემი და მიხარია
და აქ მალთაყვის სანაპიროზე
ქარს მოაქვს ზღვიდან რაღაც არია.

წლები მიფრინავს, უკვე დავბერდი
და მოგონების ფიქრით დავცურავ,
დღითი დღე სხეულს ხრავს დიაბეტი
ჩასახლებული ჩემში მაცდურად.

დაასხით ღვინო, ამივსეთ თასი
და სამშობლოზე მითხარით რამე,
რაა ამ ქვეყნად სიცოცხლის ფასი,
გავტეხოთ წელში თებერვლის ღამე.

ვოვა ბაბუს

ჩემს მეგობარ ვოვა შელიას ვულოცავ ტყუპი შვილიშვილის – ქალ-ვაჟის შეძენას

სიხარული მოფრენილი
სათქმელადაც ძნელია,
დაგილოცავ შვილიშვილებს
ჩემო ვოვა შელია.

გაგეზარდოთ სასახელო,
გეფერები ამ ლექსით,
უნაზესი ქალი ნინო
და ვაჟკაცი ალექსი.

ეს ცხოვრება, ჩემო ძმაო,
არასოდეს გეძნელოს,
ასე ახალგაზრდა კაცი
ბაბუ გახდი, შე მგელო!

სიხარული მოფრენილი
ყველა ტკივილს ამთელებს,
გაუმარჯოს სამშობლოში
ცით მოფრენილ ქართველებს!

ჩემო შუმერო ძმაო!

ზურაბ ქაფიანიძეს

რა სიამაყით ავივსე
როს ჩავამთავრე წიგნი,
ო, როგორ გავითავისე
შენი დარდი და ფიქრი.

დღეს დავიბადე მგონია
და ვჭვრეტ წარსულის სურათს,
რა ისტორია გვქონია,
ეს ვინ ვყოფილვართ ზურაბ!

აუ, რამდენჯერ ვემიეთ
ჩვენი ჯიში და გენი,
და მრავალ ვაი-მეცნიერს
დროი დაუდგათ წვენის.

ჩვენი წარსული დიდი,
როგორ დაგვაჯდა მხარზე,
ჩემი ცხოვრება მიდის
უკვე შუმერულ გზაზე.

რამდენი ერი დამიხვი
ძმად და მოყვარედ ზურაბ,
ჰოდა, ძვირფასო, ამისთვის,
ვადიდებ მე შენ სურათს.

არ მეშინია ავის
და ხარ მომქნევი ხმლისა,
იმ არაკაცთა კნავილს
ნუღარ მიიჩნევ ღირსად.

ნამუსის ქუდი გხურავს
სიმართლისათვის დავობ,
ეს ვინ ყოფილხარ ზურაბ,
ჩემო შუმერო ძმაო!

მე ვიცი შენი ფასი

გერმანე ფაცაციას

ბევრჯერ მესროლა ლაფი
ჩასაფრებულმა მტერმა,
სურვილი არ მკლავს დაფნის
შენ კარგად იცი, გერმან.

წინ სიმღერაა გედის
გადავირიო ლამის,
მსურს სიახლოვე დედის
ჩემი ძმისა და მამის.

სიმი მოვზიდე საზის
და ვერ ვიკავებ სიცილს,
მე ვიცი შენი ფასი,
შენც ჩემი ფასი იცი.

ბედთან, იღბალთან ვდავობ,
ჩემი ბებერი კალმით,
მომინახულე ძმაო,
რა დაშავდება ამით,

ისე, კარგად თუ ავად
მიგვყავს ცხოვრება ძნელი,
ნუ მივენდობით მავანთ
ეს მეგობრები მგელი.

დრო და ადამიანი

«პირველი ფრთებიდან» — პეტრე დიდამდე...

ამქვეყნად ყველა გონიერი ადამიანი საკუთარი ბიოგრაფიით, რწმენითა და მსოფლმხედველობით ცხოვრობს, მოღვაწეობს და ბოლომდე იხარჯება ქვეყნის სამსახურში. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება დაბა ჩხოროწყუს მცხოვრები ვარლამ როდონაია.

დაიბადა 1923 წელს. 1940 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ბედნიერება ჰქონდა, მოესმინა ივანე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, სერგი დანელიას, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის და სხვათა ლექციები.

1941 წლის ივლისში ჯარში გაიწვიეს. იყო მოსკოვისა და სტალინგრადის დაცვის აქტიური მონაწილე, იბრძოდა უკრაინის ფრონტზე, ქ. ვერხოდნეპროვსკის მისადგომებთან სატანკო ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა (მკვდარი ეგონათ და კინაღამ ცოცხლად დამარხეს დაღუპულ თანამებრძოლებთან ერთად). მონაწილეობდა რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ავსტრიის განთავისუფლებაში, ბრძოლებში ხუთჯერ დაიჭრა.

1952 წელს თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და პარალელურად მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალი.

მუშაობდა უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგად, პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებზე, ჩხოროწყუს განათლების განყოფილების გამგედ, სკოლა-ინტერნატის დირექტორად. ამჟამად მექანიკური ტექნიკუმის დირექტორია.

1968 წელს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა. რესპუბლიკურ და უცხოეთის პრესაში ორმოციამდე სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, 6 წიგნის ავტორია. მიღებული აქვს 21 ორდენი და მედალი, მათ შორის – ღირსების ორდენი.

ბატონმა ვარლამმა პარიზის, ვარშავის, ლენინგრადის, ბაქოს, ყაზანისა და თბილისის არქივებში მოძიებული მასალების საფუძველზე 1969 წელს გამოსცა მონოგრაფია. „პირველი ფრთები", რომელიც პირველი ქართველი მფრინავის ბესარიონ ქებურიას ცხოვრებასა და საავიაციო მოღვაწეობას ეძღვნება. ბ. ქებურიამ 1911 წლის დასაწყისში შექმნა საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავი, რომლის ტვირთზიდვა 700 კილოგრამს შეადგენდა და საათში 150 კილომეტრს ავითარებდა. ბესარიონმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო ავიაციის ისტორიაში.

2000 წელს ქუთაისში დაისტამბა ვ. როდონაიას 500-გვერდიანი წიგნი „რაც დავიწყებით არ იბინდება". ნაშრომი ხანგრძლივი დროის მანძილზე იქმნებოდა ისტორიული ფაქტების და სამახსოვრო შეხვედრების საფუძველზე. სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარულითაა გამთბარი, ხატოვნადაა გადმოცემული ავტორის მიერ ნანახი, ნაფიქრი და განცდილი.

განსაკუთრებით ფასდაუდებელია ვ. როდონაიას ახლო ურთიერთობა და მეგობრობა ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, ქართველ მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან როგორებიც იყვნენ: კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები, გრიგოლ აბაშიძე, ხუტა ბერულავა, რევაზ ჯაფარიძე, გიორგი ნატროშვილი, ბესარიონ ჟღენტი, ელგუჯა მაღრაძე, რევაზ ინანიშვილი, ალეკო შენგელია, ილია ვეკუა, შალვა დადიანი, აკაკი ხორავა, კოტე მახარაძე, გურამ საღარაძე, ბადრი კობახიძე, ალ. ყორყოლიანი, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი...

ვარლამ როდონაიამ შესანიშნავი ისტორიულ-ფილოსოფიური ნარკვევები გამოაქვეყნა კონსტანტინე გამსახურდიაზე, ბერლინის უნივერსიტეტის კათედრის გამგე კირილე ვეკუაზე, მედეა ჩახავაზე, ილია ვეკუაზე, აკაკი ხორავაზე...

2003 წელს ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა გამოსცა ვ. როდონაიას ხუთასგვერდიანი წიგნი „წარსული ფოლიანტებში". განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი თავი „ღმერთის არსობისა და სულის უკვდავების რაობა", რომელშიც სამყაროს გენიოსთა ნაფიქრ-ნააზრევია შეჯერებული. ესენი არიან: სოკრატე, პლატონი, პითაგორა, სენეკა, არისტოტელე, დიოგენე, მარკუს ავრელიუსი, ბლეზ პასკალი, ნიუტონი, აინშტაინი, კანტი, გოეთე, ნაპოლეონ ბონაპარტე და მრავალი სხვა.

მეორე თავი საინტერესოდ გადმოგვცემს სასიყვარულო ისტორიებს, ათასეული წლების სიღრმიდან ამოზიდულა ნეფერტიტის, ეხნატონის, პერიკლეს, ასპაზიას, იულიუს კეისრის, ალექსანდრე მაკედონელის, ანტონიუსისა და ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას, რუსთა იმპერატრიცა ეკატერინე მეორისა და სხვათა აჩრდილები...

წიგნი ბატონ ვარლამ როდონაიას მრავალწლიანი მოღვაწეობის ერთგვარი შეჯამებაა.

ამ ორიოდე თვის წინათ, მკითხველმა მიიღო აგრეთვე ვარლამ როდონაიას ახალი წიგნი „ვარიაციები პეტრე დიდისა და ალექსანდრე ბოროდინის ნამდვილ მამათა რაობაზე".



რუსულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს თემა „არ ახალია, ძველია". პეტრე დიდი მსოფლიო ისტორიის ავანსცენაზე ერთ-ერთი სახელოვანი პერსონაა. მან, ფაქტობრივად, რუსეთის ვეება იმპერია შექმნა, რომელიც შიშის ზარს სცემდა ევროპის ქვეყნებსა და მუსულმანურ სამყაროს...

პეტრე დიდის ქართულ ჩამომავლობაზე არა ერთი წიგნი და მეცნიერული ნაშრომი დაწერილა და დაიწერება კვლავაც. წიგნში მოტანილი ფაქტებიდან ცხადად ჩ რომ პეტრე ბაგრატოვანთა ჩა მავალი და რუსეთის კარზე მ ფი ერეკლე პირველის ნაშიერ

წიგნში საგულისხმო ფაქტე დამტკიცებულია, რომ პეტრე დი შესანიშნავად იცოდა თავისი ქ თული ჩამომავლობის შესახებ. ძალიან გულთბილად ექცეო ალექსანდრე ბატონიშვილს, რ მელიც პეტრეს ღვიძლი მამი ვილი იყო. მეფე გრძნობდა ბ რატოვანთა სისხლის ყივილს ამას მოქმედებით ამჟღავნებ

წიგნის ავტორი გვარწმუნ პეტრეს ქართულ ჩამომავლ ში (მეფე არჩილ მეორის მეუ პეტრე დიდის ნამდვილი მ ერეკლე პირველის ღვიძლი და ლდათ).

ყველაზე მეტად სარწმუნოა ნში მოტანილი რომანოვთა და ბ რატიონების პორტრეტების სი საიდანაც ცხადად ჩანს პეტრე დის თვალსაჩინო მსგავს ძირძველ ბაგრატიონებთან. ავ რი თემის რეალობის დასამ ცებლად პეტრეს ქართული ჩა მავლობის შესახებ ქართველი მ ნიერების მიერ მყარ მტკიცებ იშველიებს.

საინტერესოდაა გაშუქებ ჟამთა სიავის გამო შორე უცხოეთში გადახვეწილი კ ერთი ბედკრული ქართველ ნაშიერის, მსოფლიოში ა რებული კომპოზიტორისა გამოჩენილი ქიმიკოსის ალ სანდრე პორფირეს ძე ბორ დინის ცხოვრებისეული ეპი დები. ისტორიაში სრულ განსხვავებული და სინამ ლისგან შორს მდგომი აზრი სებობდა ალექსანდრე ბორ დინის გენიალოგიაზე. ე დროს მას თათართა ჩამომ ლად მიიჩნევდნენ, მაგრამ გ მოდგინე კვლევამ მაინც ადგინა ჭეშმარიტება.

ვ. როდონაიამ, დოკუმენტე დაყრდნობით, სავსებით გა თილა ალ. ბოროდინის თათ ლი ან რუსული წარმოშობის ვერ

„მიუხედავად წელთა სიმრა სა და ჟამთა სიავისა, ბატონი ვ ლამ როდონაია ახალგაზრდ შემართებით იღვწის, თავს კიდევ მხნედ გრძნობს, კალ მარჯვედ უჭირავს და, ყოვე ლიურად, საინტერესო წიგნ სთავაზობს მკითხველს.

იოსებ გოგე
„სრ" საკ. კ
ჩხორო

პოზიცია

ჯალათი და მსხვერპლი...

(მესამე გვერდიდან)

რევოლუციების ასეთი ლაპიდარობა სტალინისთვის დამახასიათებელი სტილის ამსახველია, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც. მაგალითად: „Разстрелять всех поименованых в записке"; „т. Берия. По первой группе дать от 10 до 25 лет, по второй группе _ разстрелять всю восьмерку"; „За разстрел всех 128 человек". (როგორც ეხედავთ, ენათმეცნიერების მომავალი კორიფე მისთვის უსაყვარლესი სიტყვის დაწერილობაშიც კი უშვებდა, თურმე, ელემენტარულ შეცდომებს!).

უშუალოდ სტალინის სახელთან არის დაკავშირებული შინსახკომის ორგანოებში ფიზიკური ზემოქმედების ზომების დამკვიდრება, რამაც ამ ავადსახსენებელი ორგანოს ერთგული თანამშრომლების თავედადებული მცდელობით, წამების „დახვეწილი", წარმოუდგენლად არაადამიანური ფორმები მიიღო. საქართველოს შინსახკომში დამკვიდრებულ, წამების დოკუმენტურად დადასტურებულ ფაქტებს მრავლად იპოვის მკითხველი პროფ. ავთანდილ ქურხულის წიგნში – **„... და რომ გახსოვდეს"**. აი, ამ წიგნის შესახებ კი ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ „წარსულის ცოდნა ახალგაზრდობას გამოაფხიზლებს", რადგან წიგნის მთავარი ადრესატი სწორედ ახალგაზრდობაა); სტალინი არ სჯერდებოდა ზოგად მითითებას ფიზიკური ზემოქმედების შესახებ – ერთ-ერთი დაპატიმრებულის გვარის გასწვრივ მან, მაგალითად, მიაწერა – „Бить, бить"! თავდაპირველად სტალინი ფორმალობისთვის მაინც „იშველიებდა" თავისი დამქაშების ხელმოწერას (უფრო საგარაუდოა, რომ საჭირო შემთხვევაში გამოსაყენებელი „კომპრომატების" შექმნის მიზნით, ვიდრე ვინმეს წინაშე თავის გასამართლებლად), შემდგომში კი ხშირად ერთპიროვნულად იღებდა ბევრისათვის ესოდენ საბედისწერო გადაწყვეტილებებს. ამის მაგალითია, თუნდაც, ზემოთ მოყვანილი სამი ვრცელი რეზოლუციიდან პირველი ორი, რომლებითაც ასე ცინიკურად, ხელის ერთი მოსმით გადაწყდა 150 უდანაშაულო ადამიანის მოკვლა. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისი ძალაუფლება აბსოლუტური, ადამიანთა ბედის გადაწყვეტაში მისი სიტყვა – პირველი, აზრი – გადამწყვეტი, ხოლო მისი ხელდასხმით დამკვიდრებული სამართალწარმოება კი წმინდა წყლის ფარსი იყო.

ზემოთ დეჟეტიზმაციის სიძნელეებზე მოგახსენეთ. ამ სიმპტომის დაძლევის გასაადვილებლად მკითხველს შეუძლია თავად გაეცნოს აქ მოყვანილი ყველა ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტს ინტერნეტის მეშვეობით: http: (stalin. memo. ru). ძნელია ირწმუნო, რომ უშუალოდ სტალინის მიერ არის დასახვრეტად განწირული ქართველი ერის მშვენება, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტი ჯიუტია: სწორედ მისი ხელმოწერით არის დადასტურებული ჩვენი საზოგადოების უთვალსაჩინოესი წარმომადგენლების დახვრეტა. დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ (შესაბამისი დოკუმენტის მოძიების გასაადვილებლად მოგვყავს იმ გვერდის ინტერნეტ-მისამართი, სადაც ნახსენები პიროვნების გვარი ფიგურირებს. მისამართის საერთო ნაწილი – http:/stalin. memo. ru/spiski/pg, მას მოჰყვება გვერდის აღმნიშვნელი ციფრი და მუდმივი ინდექსი – „htm"): მუშედ აბაშიძე (pg02203.htm), სერგო ამაღლობელი (05014), სანდრო ახმეტელი (01150), პეტრე ბაამოვი? (11075), ერიკ ბედია (05015), ნიკოლოზ ბეჟანიშვილი (06442), გრიგოლ გეგეჭკორი (05017), იოსებ დევდარიანი (05018), გიორგი ელიავა (01226), ვახტანგ კოტეტიშვილი (05021), გერმანე მგალობლიშვილი (02210), ევგენი მიქელაძე (05023), დავით ონიაშვილი (01225), ბიძინა რამიშვილი (02212), ტიციან ტაბიძე (05026), გიორგი ყურულაშვილი (01225), დიმიტრი შევარდნაძე (02216), შალვა ცინცაძე (01226), გრიგოლ წერეთელი (11083), პარმენ წულუკიძე (05028), ვალოდია ჯიქია (01151); მთელი ოჯახები – მდივნების, ოკუჯავების, ორახელაშვილების და მრავალი სხვა – აღნიშნული 383 სიიდან 13 სია საქართველოს ეხებოდა და მათში 3 600-მდე გვარი იყო მოხსენიებული. ამჯერად აღარაფერს ვამბობთ ათასობით ადამიანზე, პოლიტბიუროს უშუალო განხილვის გარეშე, მაგრამ მისი მითითებებისა და დადგენილებების შესაბამისად რომ განადგურდა. ამის შემდეგ განა შეიძლება მკრეხელობად არ ჩაითვალოს სტალინის ზოგიერთი მეხოტბის მტკიცება, რომ მან, თითქოს, არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა სისხლიანი კალო ტრიალებდა მისი ხელმძღვანელობით ქვეყანაში და რომ, თითქოს, „როგორც ღმერთს, ისე სტალინსაც არა აქვს დანაშაული".

და ბოლოს... სტალინის ხელმოწერით არის დადასტურებული მიხეილ ჯავახიშვილის დახვრეტაც (http://stalin. memo.ru/spiski/ pg03077.htm.) 1937 წლის 15 სექტემბრით დათარიღებულ იმ სიას, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილი 92-ეა, ამჯერად მხოლოდ სტალინისა და მოლოტოვის ვიზები „ამშვენებს". სხვებზე არანაკლებ (თუ მეტად არა!) პირსისხლიან მოლოტოვს, შეიძლება, არც არაფერი სმენია მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია სტალინს არაფერი გაეგონოს მასზე. მაშინ როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი? ძალიან მარტივად – სტალინს, ყველა დიდი თუ პატარა დიქტატორის მსგავსად, ხელს აძლევდა მხოლოდ მონა-მორჩილი გარემოცვა, მონობას იგი სისხლიანი რეპრესიებით აღწევდა, მორჩილებას კი – მოაზროვნე ადამიანების განადგურებით, მათ შორის საკუთარი სისხლისა და ჯილაგისაც. სტალინს ხშირად უყვარდა რუსული ანდაზებისა თუ სხვა სახის გამონათქვამების მოშველიება, აშკარად, იქნებ, არც გაუმჟღავნებია, მაგრამ ერთ-ერთი, ასეთიც იყო, ალბათ – „Бей своих, чтобы чужие боялись!".

ჯალათი და მსხვერპლი...

ახლა თქვენ განსაჯეთ – უნდა იდგეს თუ არა მათი ძეგლები გვერდი-გვერდ, ორასსამას მეტრში ერთმანეთისაგან.

სხვათა შორის, იმ ადგილის მოპირდაპირე მხარეს, სადაც, როგორც ჩანს, სტალინის გულშემატკივრები მისი ძეგლის აღდგენას იმედოვნებენ, დედაენის ძეგლი დგას. იმ ენისა, რომლის ბევრი ერთგული მსახური, და მათ შორის, უპირველესად, მიხეილ ჯავახიშვილი, ვინც – „ვინ იცის, კიდევ რამდენ უკვდავ ქმნილებას შესძენდა მშობლიურ მწერლობას" (ე. კვიტაიშვილი), სტალინის უშუალო მონაწილეობით გამოასალმეს სიცოცხლეს.

დავფიქრდეთ ამაზეც...

ილამაზ მიწიშვილი.

გამარჯვების 60 წლისთავისათვის

ჩემი სტალინ

სანქტ-პეტერბურგში უკვე ჩამოასხეს მოქანდაკე ზურაბ წერეთლის ახალი სკულპტურული ნამუშევარი. ეს არის ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერების „დიდი სამეულის" – რუზველტის, ჩერჩილის, სტალინის ძეგლი. ხელისუფლებას სურდა ეს მონუმენტი დაედგა პოკლონნაიას გორაზე, თუმცა, შემდეგ რატომღაც გადაიფიქრეს და ახლა შესაძლოა, რომ ძეგლმა დაამშვენოს ყირიმი. ზურაბ წერეთელმა ასეთ მეტამორფოზას გაუკეთა კომენტარი ჟურნალ „ოგონიოკის" კორესპონდენტის თხოვნით.

– დავიწყოთ იმით, რომ მოსკოვში ამა თუ იმ ძეგლის დადგმა-არდადგმის საკითხს დედაქალაქის მთავრობა წყვეტს. მე მხოლოდ შემიძლია შევქმნა ძეგლი. მონუმენტი, რომელზეც ვმუშაობდი ყირიმის მთავრობის შეკვეთით, განკუთვნილია ლივადიის სასახლისთვის, სადაც 1945 წლის თებერვალში გაიმართა ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერთა კონფერენცია. ძეგლის შექმნის იდეა მიკარნახა „დიდი სამეულის" ცნობილმა ფოტოსურათმა, რომელიც გადაღებულია ლივადიის სასახლის იტალიურ ეზოში. შევქმენი რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ჯერჯერობით მე თვითონაც არ ვარ კმაყოფილი: ნედლი, დაუსრულებელი სამუშაოა. საჩვენებელი დიდი არაფერი არ არის. შეიძლება თქვან, რომ „წერეთელმა ხეირიანი ნამუშევარი ვერ შექმნა", და ლანძღვაც კი დამიწყონ. და საერთოდ, ჩემი საქმე არ არის ბელადების სკულპტურების ძერწვა.

სტალინი კი, წესით, საერთოდ არ უნდა მიყვარდეს. ბიძაჩემი ზურაბი – მის პატივსაცემად დამარქვეს მე ეს სახელი – 1937 წელს დახვრიტეს, დედაჩემს კი სიცოცხლის ბოლომდე ძაძები არ გაუხდია. ჩემი მეუღლის მშობლებიც რეპრესირებული იყვნენ, ისევე როგორც მრავალი სხვა ადამიანი. მაგრამ, როცა ვმუშაობდი, მე ამაზე კი არა, ისტორიაზე ვფიქრობდი. ისტორიიდან ვერაფერს ამოიღებ. სტალინი იყო ამ „სამეულის" თანასწორუფლებიანი წევრი, ყველაზე მთავარი ფიგურა თუ არა. რატომ უნდა ამოვაგდოთ ეს ადამიანი ჩვენი ისტორიიდან? ხან ვაღმერთებდით მ ხან კი ისე ვიქცეოდით, თითქოს იგი ერთოდ არ ყოფილა. ისტორიისადმი ა თი დამოკიდებულება კარგს არაფერს მ ვიტანს.

დიახ, მე ძეგლების აღების წინააღმ გი ვარ. რა თქმა უნდა, არ ვარ იმის მ ხრე, რომ ყოველ კუთხე-კუნჭულში ნინის, სტალინისა და სხვათა ბიუსტები გეს, მაგრამ კარგი ძეგლები – ხელო ბის ნიმუშები – უნდა შევინარჩუნოთ. ა ძერჟინსკის ძეგლი ლუბლიანსკის მო ნიდან და იქაურობაც დაცარიელდა. ახ, ეს ადამიანი ჩეკისტი იყო, მაგრამ ჩ შვილები და შვილთაშვილები მას ა ვამენ მხოლოდ როგორც „მონუმენტს", ტორიაზე ამ თაობას სულ სხვა შეხე ლება აქვს, რადგან მათ არაფერი იც არც ძერჟინსკის საქმეებისა და არც სი პიროვნების შესახებ. საფრანგეთშიც პოლეონი ბოროტ გენიად გამოაცხადეს დროს, მაგრამ ამ იმპერატორთან და შირებული რელიკვიები, ძეგლები მაინც მონახულია. ხომ დგას თავისთ კარლ მარქსი თეატრალურ მოე ზე... მარქსიზმი და „კაპიტალი" ლას დაავიწყდა, სამაგიეროდ, მოგვრჩა კარგი სკულპტურა.

რაც შეეხება პოკლონნაიას გ რას, გამარჯვების 60 წლისთა თვის იქ აღიმართება ანტიჰიტ რული კოალიციის ჯარისკაცთა გურები, რომლებიც ვლადიმერ რესლავცევმა შექმნა. მე კი პ ლონნაიას გორასთვის ვამზა სტელებს, რომლებიც უნდა გახდ თორმეტი ფრონტის, სამი ფლო სახალხო ლაშქრისა და პარტი ნული მოძრაობის სიმბოლოებ

P. S. რუსეთის სამხატვრო ა დემიის პრეზიდენტმა შექმნა რ დენიმე ბელადის სკულპტურა. ჯ ჯერობით რუსეთს ამშვენებს მ ლოდ ერთი ასეთი ძეგლი – პ რე პირველის. დანარჩენები კი ე ან თავიანთ რიგს ავტორის სა ლოსნოში.

სურათზე: ზურაბ წერეთელს უყვარს სტალინი, მაგრამ, უყვა ძეგლები.

მოკლედ

აყში მრავალეროვანი ძალების რდლობას აქვს ინფორმაცია იმის ობაზე, რომ სადამ ჰუსეინის პირ- ლი მოადგილე რევოლუციური

რდლობის საბჭოში იბრაჰიმ იზათ -დური აპირებს სირიაში ან იორ- ნიაში გადასვლას. ად-დურის შეპყ- ბის მიზნით დაიხურა ერაყის ზღვრები ამ ორ ქვეყანასთან.

* * *

ოკითხულ ბრიტანელთა ნახევარს ჩნია, რომ ხელახალი ქორწინება შეუშლის ხელს ჩარლზის გამე- ბას. ამასთან, ბრიტანელთა 43 ოცენტი დარწმუნებულია, რომ

ინცმა ჩარლზმა გადადგა სწორი ბიჯი, როცა გადაწყვიტა დაქორ- ნებულიყო თავის დიდი ხნის მე- ბარზე კამილა პარკერ-ბოულზ- ამას არ იწონებს გამოკითხულთა პროცენტი, 30 პროცენტი კი ამ ქტს არანაირ მნიშვნელობას არ ჭებს.

* * *

რაში დაუდგენელმა ნიღბიანმა რებმა ცეცხლი გაუხსნეს ქალაქის ავარი მოსამართლის ავტომან- ნას, რის შედეგადაც, მოსამარ- ე დაიღუპა, მისი მძღოლი კი მძი-

დ დაიჭრა. როგორც ცნობილია, რაში მანამდე მოკლეს „ალ- რას" ტელეარხის კორესპონდენტი. ანიშნავია, რომ ამ სატელევი- არხს ამერიკის შეერთებული ტები აფინანსებს.

* * *

ონეთში ბევრს კამათობენ იმაზე, ირობა თუ არა ქვეყნის მეთაუ- ს ჩასვლა მოსკოვში 9 მაისს ფა- ზმზე გამარჯვების 60 წლისთავი- მი მიძღვნილ საზეიმო ღონის- ებებზე დასასწრებად. თვით ეს-

ნეთის პრეზიდენტმა არნოლდ რი- ტელმა კი განაცხადა: „ჩვენი მა- ბი იბრძოდნენ ქვეყნის დამოუკი- ბლობისთვის და არა ფაშიზმის ნააღმდეგ. ჩვენ უნდა განვუმარ- თ როგორც რუსეთის, ისე ევრო- შირის საზოგადოებრიობას, თუ ხდებოდა სინამდვილეში".

ამერიკელ დემოკრატებს შესაძლოა, ჰოვარდ დინი ჩაუდგეს სათავეში

როგორც მოელიან, ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტია თავის ახალ თავმჯდომარედ აირჩევს პრეზიდენტობის კანდიდატს ჰოვარდ დინს.

ამ ადამიანს ჰქონდა კარგი შანსები იმისთვის, რომ გასულ წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებზე გამხდარიყო კანდიდატი დემოკრატთაგან, მაგრამ დამარცხდა სენატორ ჯონ კერისთან ბრძოლაში.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ დინის უნარს, მიიზიდოს სახსრები დემოკრატთა პარტიის ხაზინაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, სხვები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ დინის შეხედულებები განსხვავდება დემოკრატთა უმრავლესობის შეხედულებებისგან, რამაც, შესაძლოა, პარტიას მიაყენოს ზიანი მომავალ არჩევნებში.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა დინი, როგორც იტყვიან „აღდგა ფერფლიდან".

ვერმონტის შტატის ყოფილი გუბერნატორი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, პრეზიდენტის პოსტისთვის აპირებდა ბრძოლას, თუმცა, საბოლოო ანგარიშით წარმატებას ვერ მიაღწია.

ახლა მას შეუძლია გაზარდოს პარტიის თავმჯდომარის პოსტის მნიშვნელობა, რადგან არ მიეკუთვნება ტექნოკრატებს, რომლებიც მანამდე მუშაობდნენ ამ თანამდებობაზე. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, დემოკრატებისთვის ძალზე სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ის, რომ დინს აქვს პარტიის სპონსორებთან მუშაობის დიდი ნიჭი. სამაგიეროდ, სხვები შეშფოთებას გამოთქვამენ მისი გადაჭარბებული ლიბერალიზმის გამო, რამაც, შესაძლოა დააშინოს მრავალი დემოკრატი, ეს კი, თავის მხრივ, გაართულებს პარტიის ბრძოლას კონგრესში ადგილების მოპოვებისთვის.



ყველაზე ცხელი ზაფხული გველის

2005 წელი შეიძლება გახდეს ყველაზე ცხელი ჩვენი პლანეტის საშუალო-წლიურ ტემპერატურაზე დაკვირვების მთელი ისტორიის მანძილზე, განაცხადეს ნასას მეცნიერებმა.

ასეთი დაკვირვებები დაიწყო XIX საუკუნის დამლევიდან, და ჯერჯერობით ყველაზე ცხელ წლებად ითვლებოდა 1998, 2002 და 2003 წლები.

ნასას ჰოდარდის სივრცის კვლევის ინსტიტუტის მეცნიერის ჯეიმს ჰანსენის აზრით, 2005 წელს ტემპერატურის მატებისთვის გადამწყვეტი ფაქტორები გახდება ელ-ნინიოს კლიმატური ფენომენის შესუსტება და ადამიანის აქტიურობა – აირები, რომლებიც იწვევენ, ეგრეთ წოდებულ, სათბურის ეფექტს.

„ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა ტემპერატურის მატების მტკიცე ტენდენცია", – აღნიშნა ჰანსენმა რეიტერის სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

მაგალითად, გასულ წელს საშუალო ტემპერატურამ ცელსიუსით 14 გრადუსი შეადგინა, რაც 1,5 გრადუსით აღემატება XX საუკუნის შუა ხანების მაჩვენებელს.

საყოველთაო დათბობაზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორებიც, როგორიც არის ვულკანების მძლავრი ამოფრქვევა, რომლის დროსაც ატმოსფეროში ხდება უზარმაზარი რაოდენობის წვრილ-წვრილი ნაწილაკებისა და გოგირდმჟავას ორთქლის გამოფრქვევა (როგორც ეს მოხდა 1963, 1982, 1991 წლებში). ამ ფაქტორს შესაძლოა ჰქონდეს საკმაოდ ხანგრძლივი ეფექტი, რომელიც შეიძლება ერთი თვიდან რამდენიმე წლამდე გაგრძელდეს.

როცა ელ-ნინიოს ფენომენი ძლიერად ვლინდება, დედამიწაზე ცხელი კლიმატი დგება, აღნიშნავენ ნასას სპეციალისტები. ასე მოხდა, მაგალითად, 1998 წელს, როცა რეკორდული სიცხე დაფიქსირდა. მეორე მხრივ, სუსტ ელნინიოსაც მოაქვს დათბობა – მაგალითად, 2002 და 2003 წლებში.

ჯეიმს ჰანსენის თქმით, დედამიწის ზედაპირი ამჟამად კოსმოსში ნაკლები რაოდენობის მზის ენერგიას აირეკლავს, ვიდრე ეს წინათ ხდებოდა, რაც ასევე, უწყობს ხელს დათბობას.

ძალადობის ახალი ტალღა ერაყში

ძალადობის ახალმა ტალღამ გადაუარა ერაყს. ბაღდადის შიიტური მეჩეთის მახლობლად, ერაყის დედაქალაქის იმ უბანში, სადაც, ძირითადად მუსლიმანი-შიიტები ცხოვრობდნენ, განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 23 კაცი.

ბაღდადში მომხდარ აფეთქებას ასევე შეეწირა ერთი ამერიკელი ჯარისკაცი.

ძალადობის ამ ფაქტების ფონზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი მოულოდნელად ეწვია ბაღდადს ამერიკელი სამხედროების მზადყოფნის შემოწმების მიზნით.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ძალადობის ეს ბოლო აქტები მიზნად ისახავენ ერაყში რელიგიათშორისი შუღლის გაღვივებას.

ბომბი აფეთქდა ასევე ქალაქ ბალად-რუზის მეჩეთის მახლობლად მაშინ, როცა მორწმუნეები გამოდიოდნენ მეჩეთიდან ლოცვის შემდეგ. აფეთქების შედეგად დაიღუპა 13 და დაშავდა – 40-მდე ადამიანი.

მოლაპარაკება მოთარეშეებთან

ლესტინის ავტონომიის მეთაური მუდ აბასი აპირებს ღაზის სექტორ- გამართოს მოლაპარაკება მოთა- შეებთან, რათა დაარწმუნოს ისინი ამაში, რომ აუცილებელია შეუერთ- ნ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ის- ელთან მიღწეულ მორიგებას.

ღაზის სექტორში ებრაელთა და- ლებებზე განხორციელებული თავ- სხმების სერიის შემდეგ, მაჰმუდ ბასი შეხვდება შეიარაღებული დაჯ- უფების ლიდერებს.

მოთარეშეთა ლიდერებმა განაცხა- ს, რომ მზად არიან მოუსმინონ ასს, თუმცა, აღნიშნავენ, რომ ებ- ელების მიერ განხორციელებულ ავდასხმებს თავდასხმებითვე უპა- ხებენ.

როგორც ცნობილია, ისრაელისა პალესტინის მხარეების მაღალი ნამდებობის წარმომადგენლები პარასკევს განიხილავდნენ დაზავების შესაძლებლობებს.

ისრაელის ვიცე-პრემიერი შიმონ პერესი და პალესტინის მინისტრი მოლაპარაკების საკითხებში საებ ერექათი ერთმანეთს შეხვდნენ თელ-ავივში და განიხილეს ის ღონისძიებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ეგვიპტის საკურორტო ქალაქ შარმ-აშ-შეიხში მიღწეული მორიგებების განხორციელებას.

ისრაელს ჯერჯერობით არ გაუცია პასუხი მოთარეშეთა ამ ბოლო თავდასხმაზე, თუმცა, დაიმუქრა, რომ გააკეთებს ამას, თუ აბასი ვერ შეძლებს ძალადობის აღკვეთას.

პალესტინელთა ლიდერმა დაითხოვა სპეცსამსახურების სამი მაღალი თანამდებობის თანამშრომელი მას შემდეგ, რაც „ჰამასის" დაჯგუფებამ დაუშინა რაკეტები ებრაელთა დასახლებას.

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შეევ ბოიმმა დიდი შეფასება მისცა აბასის გაბედულ მოქმედებას, თუმცა, მოუწოდა მას, მიმართოს უფრო გადამჭრელ ზომებს უშუალოდ მოთარეშეების წინააღმდეგ. ბოიმმა აგრეთვე აღნიშნა: „ჩვენ ჯერჯერობით ვახორციელებთ თავშეკავებული და მეგობრული ჟესტების პოლიტიკას, რათა დავუჭიროთ მხარი აბასს, მაგრამ ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. აბასმა, უფრო გაბედულად უნდა იმოქმედოს", – მიაჩნია ბოიმს.

„ჰამასის" წარმომადგენლები კი, აცხადებენ, რომ ეგვიპტეში სამშაბათს დადებული შეთანხმება მათ არანაირ ვალდებულებებს არ აკისრებს.

როგორც საებ ერექათმა აღნიშნა, აბასი აპირებს განუცხადოს მოთარეშეებს, რომ „მათ უნდა დაიცვან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მორიგების პირობები, და განუმარტოს „ჰამასის" წარმომადგენლებს, რომ არსებობს ერთი ხელისუფლება და ერთი ხელმძღვანელი".

მოლაპარაკების დაწყებამდე „ჰამასის" წარმომადგენელმა მუშირ ალმასრიმ თქვა: „ჩვენ მოველაპარაკებით აბასს, მოვისმენთ მის შეფასებებს და მხოლოდ ამის შემდეგ განვსაზღვრავთ ისეთ საბოლოო პოზიციას, რომელიც შეესაბამება ჩვენი ხალხის ეროვნულ ინტერესებს".

აბასის მოსასმენად მზად არიან უფრო მცირე დაჯგუფების – „ისლამის ჯიჰადის" წევრებიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ აბასთან საუბრის შემდეგ გამართავენ კონსულტაციებს ცეცხლის შეწყვეტის საკითხებზე.

◎ ფეხბურთი

იწყება ახალი სეზონი

ხვალ ზესტაფონში ახალი საფეხბურთო სეზონის საპრემიერო მატჩია – დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ რაუნდს გამართავენ „ზესტაფონი" და თბილისის „დინამო" (შეგახსენებთ, რომ პირველი შეხვედრა შარშან დინამოელებმა მოიგეს – 2:1), ამ წყვილში გამარჯვებულს კი შემდეგ ეტაპზე „ბათუმი" ელოდება.

რამდენიმე დღე დარჩა XVI ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდეც – მესამე წრეს გუნდების უმეტესობა გადახალისებული შემადგენლობით ხვდება. სატრანსფერო სიახლეებზე საუბრის საშუალება მალე მოგვეცემა, ახლა კი კლუბების მონაგარი გავიხსენოთ: „დინამო", „ტორპედო" – 39-39, „თბილისი" – 34, „ვიტ ჯორჯია", „ლოკომოტივი" – 28-28, „ბათუმი" – 23, „ზესტაფონი", „კოლხეთი" – 19-19, „სიონი" – 14, „დილა" – 8 ქულა.

XVI ეროვნული ჩემპიონატის III წრის კალენდარი

XIX ტური
18 თებერვალი, 14 საათი.
„ტორპედო" – „ლოკომოტივი",
„კოლხეთი" – „ვიტ ჯორჯია",
„დილა" – „ბათუმი",
„ზესტაფონი" – „თბილისი",
„დინამო" – „სიონი".

XX ტური
25 თებერვალი, 14 საათი.
„თბილისი" – „კოლხეთი",
„ლოკომოტივი" – „ბათუმი",
„სიონი" – „დილა",
„ტორპედო" – „ზესტაფონი",
„ვიტ ჯორჯია" – „დინამო".

XXI ტური
1 მარტი, 14 საათი.
„ზესტაფონი" – „ლოკომოტივი",
„კოლხეთი" – „ტორპედო",
„ბათუმი" – „სიონი",
„დინამო" – „თბილისი",
„დილა" – „ვიტ ჯორჯია".

XXII ტური
5 მარტი, 14 საათი.
„ვიტ ჯორჯია" – „ბათუმი",
„ლოკომოტივი" – „სიონი",
„ზესტაფონი" – „კოლხეთი",
„ტორპედო" – „დინამო",
„თბილისი" – „დილა".

XXIII ტური
12 მარტი, 14 საათი.
„კოლხეთი" – „ლოკომოტივი",
„დილა" – „ტორპედო",
„დინამო" – „ზესტაფონი",
„ბათუმი" – „თბილისი",
„სიონი" – „ვიტ ჯორჯია".

XXIV ტური
16 მარტი, 14 საათი.
„ლოკომოტივი" – „ვიტ ჯორჯია",
„ტორპედო" – „ბათუმი",
„ზესტაფონი" – „დილა",
„კოლხეთი" – „დინამო",
„თბილისი" – „სიონი".

XXV ტური
20 მარტი, 14 საათი.
„დილა" – „კოლხეთი",
„ბათუმი" – „ზესტაფონი",
„სიონი" – „ტორპედო",
„ვიტ ჯორჯია" – „თბილისი",
„დინამო" – „ლოკომოტივი".

XXVI ტური.
2 აპრილი, 15 საათი.
„ლოკომოტივი" – „თბილისი",
„კოლხეთი" – „ბათუმი",
„ზესტაფონი" – „სიონი",
„დინამო" – „დილა",
„ტორპედო" – „ვიტ ჯორჯია".

XXVII ტური
10 აპრილი, 15 საათი.
„სიონი" – „კოლხეთი",
„ვიტ ჯორჯია" – „ზესტაფონი",
„დილა" – „ლოკომოტივი",
„ბათუმი" – „დინამო",
„თბილისი" – „ტორპედო".

◎ ჭიდაობა

„რევოლუციის" უკუშედეგი, ანუ ბაკურ გოგიტიძე გადააყენეს

ბოლო დღეებში, მოგეხსენებათ, ძალიან დაიძაბა სიტუაცია საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში, რაც ახალი პრეზიდენტის – ბაკურ გოგიტიძის ერთპიროვნულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (სამივე ასაკი) მთავარი მწვრთნელების გადაყენების თაობაზე.

ბაკურ გოგიტიძემ „თავისუფლებს" ზაზა ტყეშელაშვილი ჩაუყენა სათავეში, ხოლო „კლასიკოსების" უფროსად დროებით კობა ჭიჭეიშვილი დანიშნა. „ბერძნულ-რომაულის" ნაკრების წევრები არ დაეთანხმნენ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას და ბაკურიანში გასავლელ საწვრთნელ შეკრებაზე უარი განაცხადეს. მდგომარეობა ვერც გუნდის წევრებთან შეხვედრამ განმუხტა, ამიტომ გუშინწინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმი შეიკრიბა. პრეზიდენტთან მოლაპარაკება უწინდელი პოზიციების შეცვლის თაობაზე უშედეგო გამოდგა, მაშინ პრეზიდიუმმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: ბაკურ გოგიტიძეს უფლებამოსილება შეუჩერა და რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა 4 მაისს დანიშნა. მანამდე ფედერაციას ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი უხელმძღვანელებს. საგულისხმოა ისიც, რომ პრეზიდიუმმა გოგიტიძის მიერ გათავისუფლებულ ყველა მთავარ მწვრთნელს უფლებამოსილება აღუდგინა.

თავიდან მოვალეობის შესრულებაზე უარი თქვა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელმა ვლადიმერ ადეიშვილმა: არაფრად ჩამაგდო იმ კაცმა, რომელიც მე გავზარდე, ვაჭმევდი და ვასმევდი, პურის ფულს ვაძლევდი (გოგიტიძეზეა ლაპარაკი), ამიტომ თანამდებობაზე არ დავბრუნდებიო, მაგრამ პრეზიდიუმის წევრებმა ადეიშვილი ბოლოს მაინც დაითანხმეს.

სხდომაზევე სახელოვანი მოჭიდავეებით დაკომპლექტდა შეიდკაციანი სათათბირო, რომელსაც ყრილობამდე გურამ სალარაძე უხელმძღვანელებს.

გუშინ ბაკურიანში შეკრებაზე მყოფ ორგზის მსოფლიო ჩემპიონს ლუკა (ელდარ) კურტანიძეს შევეხმიანე და ვკითხე, როგორ აღიქვეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების წევრებმა ფედერაციის პრეზიდიუმზე მომხდარი ამბები.

– ფრიად არასასიამოვნო ფაქტია, – მითხრა მან, – ჭიდაობის სამყაროში სალაპარაკოდ გავიხადეთ საქმე. ერთპიროვნულად თუ ვირჩევდით ბაკურ გოგიტიძეს პრეზიდენტად, მაშინ ასევე ერთხმად უნდა დაგვეჭირა მხარი მისი გარდაქმნებისთვისაც, არადა, თავის დროზე გაგვეთვალისწინებინა მთავრობის წევრთა რჩევა და ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიგველო საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე. ქართველი კაცი ხომ ყოველთვის თავისი აწონილი სიტყვა-პასუხით ფასობდა.

ევროპის ჩემპიონატი კარს მოგვადგა, ამიტომ სპორტსმენებს ამდენი ეიფორიისთვის არ გვცალია. უფროსებმა ისე უნდა მოაგვარონ საქმე, რომ მზადებაში ხელი არ შეგვეშალოს. აქ, ბაკურიანში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მწვრთნელებთან ერთად ჯერჯერობით ჩვეულებრივ განვაგრძობთ ვარჯიშს. ვერ გეტყვით, ხვალ რა იქნება.

მართლაც, საინტერესოა, რა მოხდება ხვალ?

ლექსო ცინცაძე.

◎ ჭადრაკი

ერთობლივი ინიციატივით

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი, რომელიც დედაქალაქის ჭადრაკის ფედერაციისა (პრეზიდენტი მარინე მილორავა) და მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (უფროსი გია უდესიანი) ერთობლივი ინიციატივით გაიმართა.

შეჯიბრებაში 8-დან 14 წლამდე გოგონები და ვაჟები მონაწილეობდნენ შვეიცარიული სისტემით 7 ტურად. თითოეულ მოჭადრაკეს პარტიისთვის 25 წუთი ეძლეოდა.

გაუწყებთ ამ საინტერესო ტურნირის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

რვაწლიანები. 1. რეზო აბესაძე, 2. ნიკა ქუმსიაშვილი, 3. სულხან კიკნაძე.

ათწლიანები. გოგონები: 1. დეა გოგიშვილი, 2. ნატო იმნაძე, 3. ნანი უნაფქოშვილი. ვაჟები: 1. ილია ზუმბულიძე, 2. გიორგი ლომიძე, 3. შალვა ნადირაშვილი.

თორმეტწლიანები. გოგონები: 1. მარიამ დანელია, 2. ნანი უნაფქოშვილი, 3. ნატო ქველაძე. ვაჟები: 1. სალომე ხაჟომია, 2. ელგუჯა ლაგიაშვილი, 3. აჩიკო ამირხანაშვილი.

თოთხმეტწლიანები. გოგონები: 1. თინათინ სამნიაშვილი, 2. ანუკი ხაჟომია, 3. მარი ბაიაძე. ვაჟები: 1. გიორგი ნიკოლაშვილი, 2. ნიკა ვოლკოვი, 3. ლაშა კაჭარავა.

პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებთან ერთად დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, რომლებიც მათ გია უდესიანმა გადასცა.

გიორგი გაგუა.

◎ ჭრელაჭრულა

ზღვას გადარჩენილი...

მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი ავტორალის – პარიზი-დაკარი – ოთხგზის გამარჯვებული, რუსეთელი ვლადიმერ ჩაგინი აბუ-ზაბიში შეიარაღების საერთაშორისო გამოფენაზე Aigekc – 2005 – კინაღამ სადემონსტრაციო ჩვენებას შეეწირა – მისი სპორტული სატვირთო „კამაზ-4911" ძალზე დამრეც ფერდობებიანი გორაკის წვერიდან გადმოვარდა და მის ძირში დაეცა. მძლავრი დარტყმისას წინა ღერძი გატყდა, ხოლო მომწყდარი წინა ბორბალი მიწამ აისხლიტა და კაბინის მარცხენა ნაწილი შეანგრია, თავად ჩაგინი უსაფრთხოების ღვედებით იყო მიბმული, რამაც, საბედნიეროდ, ის გადაარჩინა, თუმცა კლინიკაში სპეციალური რეანიმობილით მაინც გადაიყვანეს. სამედიცინო შემოწმების შემდეგ კი ჩაგინი სასტუმროში დაბრუნდა.

აღსანიშნავია, აბუ-ზაბიში დამსხვრეულმა სპორტულმა ავტომანქანამ „კამაზს" უამრავი გამარჯვება მოუპოვა პრესტიჟულ უგზო-უკვლო საერთაშორისო რალებში. ის აღჭურვილია 730 ცხენისძალიანი ძრავით, შეუძლია საათში 165 კილომეტრი სიჩქარის განვითარება, ადგილიდან 16 წამში ანვითარებს 100 კმ/საათიან სიჩქარეს. უბადლოა უღაბნოს ქვიშნარის გადასალახავად.

„ტრავმირებული" მანქანის აღდგენამდე, არაბეთის გაერთიანებული საამიროების დედაქალაქში კიდევ ორი „კამაზი" დაიცავს თავიანთი ფირმის ღირსებას.

ისე, ვგონებ, სწორედ ამაზეა ნათქვამი, ზღვას გადარჩენილი წვეთმა დაახრჩოო.

ტაისონს ისევ ცემა „მოუნდა"?

კრივის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, შარშან, 30 ივლისს ბრიტანელმა დენი ვილიამსმა როგორ „გაუშვა" ნოკაუტში პოპულარული მსოფლიოს ექსჩემპიონი, სუპერმძიმეწონოსანი ამერიკელი მაიკ ტაისონი.

ახლახან კი „რკინის მაიკის" მრჩეველმა ბელი ფინკელმა სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი აწარმოებს მოლაპარაკებას მატჩ-რევანშის გამართვის თაობაზე.

ფინკელის თქმით, ისა და ვილიამსის წარმომადგენლები „ძალზე ახლოს არიან კონტრაქტის გაფორმებამდე".

„მაიკი ვარჯიშობს. ის მზადაა დასაბრუნებლად, – აღნიშნა ფინკელმა, – როგორც მაიკს, ისე დენის სურთ ეს ბრძოლა და ალბათ, ის გაიმართება".

არ ვიცით, სად და როდის გაიმართება ეს ორთაბრძოლა, ან როგორ დამთავრდება, მაგრამ ის კი გვახსოვს, რომ შარშანდელი შეხვედრის წინ თავად ტაისონი ბევრს ტრაბახობდა აუცილებელ გამარჯვებაზე.

ქორწილისთვის – ციხე-დარბაზი

ადრე უკვე გაცნობეთ, რომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, ესპანეთის სამეფო კლუბ „რეალის" თავდამსხმელი, ბრაზილიელი რონალდო 14 თებერვალს, წმინდა ვალენტინის ანუ შეყვარებულთა დღეს აპირებს ქორწინებას ტოპ-მოდელ დანიელა ჩიკარელთან, რისთვისაც პარიზის მახლობლად, შანტიის ციხე-დარბაზი დაიქირავა. ის არის საფრანგეთის ისტორიული, კულტურული და არქიტექტურული მემკვიდრეობის უძვირფასესი ნაშთი.

ამბობენ, რომ ამ, ეგრეთ წოდებულ, „კერძო მიღებას" (ასე უწოდეს ამ საქორწინო წვეულებას, რადგან შეყვარებულებს შანტიის მერიაში ქორწინებაზე ოფიციალური განცხადება არ შეუტანიათ) უამრავი ცნობილი ვარსკვლავი დაესწრება, ასახელებენ რონალდოს პარტნიორებს „რეალიდან" დევიდ ბექჰემსა და ზინედინ ზიდანს, აგრეთვე მსოფლიო შეიდგზის ჩემპიონს ავტორბოლაში „ფორმულა-1" მიხაელ შუმახერს.

მართალია, ოფიციალურად არ ამბობენ, თუ რა დაუჯდება ეს წვეულება სახელოვან ფეხბურთელს. შანტიის ინტერნეტ-საიტში მითითებული ტარიფების მიხედვით, ერთ საღამოს მარტო ციხე-დარბაზის დაქირავება 20 ათასი ევრო ჯდება, მაგრამ რონალდომ მიმდებარე უზარმაზარი პარკიც დაიქირავა, რისთვისაც კიდევ 27,5 ათასი ევრო უნდა გადაიხადოს. აქ არ შედის პურ-მარილისა და მომსახურე პერსონალისთვის საჭირო ფული.

სხვათა შორის ციხე-დარბაზში აკრძალულია მოწევა და ცეკვების მოწყობა, სამაგიეროდ თავისუფლად შეიძლება ჰერცოგ კონდეს კუთვნილი აპარტამენტების და შუა საუკუნეების მხატვრობის უმდიდრესი კოლექციის ხილვა.

წვეულება ორშაბათს საღამოს დაიწყება და გვიან ღამემდე გასტანს.

კლიისტერსი ბრუნდება

ჩოგბურთის მოყვარულებს ნამდვილად მოენატრათ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანოსანი ქალის, ბელგიელი კიმ კლიისტერსის თამაშის ხილვა.

ის ხომ ბოლო თვეებში პრაქტიკულად აღარ მონაწილეობდა დიდ ტურნირნებში ხელის ტრავმის გამო. ახლა ის აპირებს მე-2 კატეგორიის ტურნირში – WTA Tour – მონაწილეობას. ტურნირის საპრიზო ფონდი 585 ათასი დოლარია და ორშაბათს ანტვერპენში დაიწყება. მისი მოსალოდნელი მეტოქეები იქნებიან ფრანგი აბელი მორესმო, რუსეთელი ანასტასია მისკინა, ამერიკელი ვინუს უილიამსი, ავსტრალიელი ალისია მოლიკი.

ვინძლო, კიმის დაბრუნება მარტინა ჰინგისის დაბრუნებასავით უიღბლო არ გამოდგეს.

ყველაფერი ყველაფერზე

ლენონი თავს უნიჭოდ მიიჩნევდა

„ბითლზის" ლეგენდარული წევრი ჯონ ლენონი ორიოდე გაკვეთილის შემდეგ შეეშვა გიტარაზე მეცადინეობასო, – იგონებს მისი მეგობარი სასკოლო ანსამბლიდან. ამ ინსტრუმენტზე დაკვრა ძნელი სასწავლიაო, – ამბობდა თურმე. ლენონმა თავისი თავისა მხოლოდ მას შემდეგ იწამა, რაც გასული საუკუნის შუა ხანების სახელგანთქმული მუსიკოსი ლონი დონეგანი ნახა. ამ უკანასკნელმა დაამტკიცა, რომ გიტარაზე დაკვრა ყველას შეუძლია.

სწორედ მაშინ გაიცნობიერეს ჯონ ლენონმა და მისმა მეგობარმა ერიკ გრიფიტსმა, რომ რაიმე მელოდიის შესრულებას არ სჭირდება განსაკუთრებული უნარიანი მუსიკალური ნიჭიერება. მათ პიტ შოტონი დაიმატეს და დააარსეს ანსამბლი „კუორიმენი". საეკლესიო დღესასწაულზე ჯგუფის გამოსვლა რომ ნახა, პოლ მაკარტნიც შეუერთდა. როდ დევისი, რომელიც ერთ დროს „კუორიმენში" უკრავდა, ამბობს: აფსუს, რომ არ მახსოვს, როგორ შედგა პოლ მაკარტნისა და ჯონ ლენონის შეხვედრა, ეს ხომ უდიდესი მომენტი იყო როკ-ენ-როლის ისტორიაშიო..

თამაში დაწევაზე

ბრიტანეთის დაზვერვის სპეცაგენტზე, ჯეიმს ბონდზე მორიგ ფილმში პირს ბროსნანი აღარ ითამაშებს. ასეთმა ხმებმა დიდი დავა გამოიწვია მისი შესაძლო შემცვლელის შესახებ. ბრიტანულმა საბუკმეკერო კანტორებმა თავიანთი საფუძვლიანი სიტყვა ავსტრალიელ მსახიობზე ჰიუ ჯეკმანზე ფსონების დაწევით თქვეს – ორიდან ერთზე. ამგვარად, მან ახლანდელ „აგენტ-007-ს" პირს ბროსნანს გადაუსწრო და ეგებ მეორე ავსტრალიელი გახდეს ჯორჯ ლეიზენბის შემდეგ, რომელიც სუპერგმირს ითამაშებს.

ბუკმეკერებმა აგრეთვე დაუწიეს ფსონებს კლაივ ოუენზე მას აქეთ, რაც მან „ოქროს გლობუსი" მიიღო ფილმში „უფრო ახლოს" ნათამაშევი როლისთვის; ოღონდ ოუენი მესამე ადგილზე აღმოჩნდა პრეტენდენტთა შორის, „მულენ რუჟისა" და „ვარსკვლავური" ომების გმირის იუენ მაკგრეგორის შემდეგ, რომელზეც ფსონებიც აგრეთვე შემცირდა.

ბრიტანელი ბუკმეკერები აღიარებენ, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მსახიობს ვარაუდობდნენ ბროსნანის ადგილას ბონდის როლში და ბოლომდე ვერ იქნებიან იმაში დარწმუნებული, თუ ვინ გახდება „აგენტი 007". ამაში დარწმუნებულნი, როგორც ჩანს, არც კინოეპოპეის შემქმნელები არიან...

მას მთელი მონდომებით დაიცავენ

მიქელანჯელოს დიდებული ქმნილება „დავითი" მალე იმ ჰაერის ნაკადებისგან შემდგარ უხილავ კონვერტში შეიხვევა, რომლებიც მსოფლიო ხელოვნების შედევრს მტვრისა და კოროზიისგან დაიფარავენ. 1504-დან 1873 წლამდე ქანდაკება ღიად იდგა, მერე კი ფლორენციაში, გალერეა „აკადემიში" გადაიტანეს. აქ „დავითს" მილიონზე მეტი ტურისტი ნახულობს ყოველწლიურად და ჰაერის კედელი მხოლოდ ერთია რამდენიმე „დაცვითი მიჯნიდან", რომლებსაც მუზეუმის დირექცია სტატუის დასაცავად განიხილავს.

ერთი ვარიანტია გასანიავებელი დერეფნის მოწყობა სპეციალური ხალიჩის საფარით, რათა „დავითთან" ტურისტების მისვლამდე მათი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მტვერი და ჭუჭყი აიცილონ. ფიქრობენ, რომ ქანდაკებისთვის მინის ხუფი პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

გასული წლის მაისში დასრულდა ქმნილების სარესტავრაციო სამუშაოები, რომლებმაც საკმაო დებატები და კრიტიკა გამოიწვიეს. ზოგიერთის აზრით, დაზიანების პროცესი ერთობ შორს წავიდა და შედევრის მხატვრული ღირებულების გაუფასურების მიზეზი შეიძლება გახდეს...

მენაგვეები ხელოვნებათმცოდნენი გახდებიან

თანამედროვე ხელოვნებასთან დაკავშირებული აყალმაყალის ცენტრში მოექცნენ ფრანკფურტელი მენაგვეები. მათ ადგილობრივი მხატვრის 10 ნამუშევრიდან ერთ-ერთი – ქუჩის სკულპტურა გაანადგურეს.

ფრანკფურტის გზებისა და ტროტუარების გაწმენდით დაკავებული სააგენტოს მეთაურმა მომხდარის გამო მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. მისი სიტყვებით, ქანდაკება რომ დაინახა, ცემენტის ტომრების გროვად ეჩვენა, ეგონა, თითქოს მშენებლებმა პირდაპირ ქუჩაზე დაყარეს ნარჩენებიო და მენაგვეები გამოიძახა. მათაც ხელოვნების ნაწარმოები სანაგვეზე გაიტანეს და დაწვეს.

... ახლა მეეზოვეებს წინადადება მისცეს – თანამედროვე ხელოვნების საფუძვლების შესწავლის კურსი გაიარონ ფრანკფურტის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში..

მობილური - მკვლელი?

რუსეთელი მეცნიერები არ ეთანხმებიან ჯმო-ის სტანდარტებს

ჩვენი გაზეთის 6 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ისევ მობილურია დამნაშავე?" ფიჭური ტელეფონი, რასაკვირველია, ტექნიკური პროგრესის მორიგი სასწაულია, მაგრამ ყოველგვარ ტექნიკურ სიახლეს, თუ გნებავთ, ტექნიკურ წინსვლას, როგორც ცნობილია, ახლავს ნეგატიური, გვერდითი მოვლენები (წამლებისა არ იყოს), თავისი მინუსები აქვს, რაც მუდამ უნდა გვახსოვდეს. ის პუბლიკაციაც ამ გარემოებით იყო განპირობებული...

„ლამის სახლში შემოვიდეს თუთა, ლამის წელზე შემომხვიოს ხელიო" – მოეფერენ თუ უსაყვედურეს ერთხელ თუთის ხეს. მობილურსაც ასე დაემართა: სახლშიც შემოვიდა და წელზეც დაიმკვიდრა ადგილი... რუსეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარია, თურმე, ფიჭური ტელეფონებით აღჭურვილი (საქართველოში შესაბამის სტატისტიკაზე ვერაფერს გეტყვით...). ანალიტიკოსთა პროგნოზებით, 2005 წლის ბოლოსთვის ეს ციფრი იქ 65-70 პროცენტამდე გაიზრდება. ამასობაში ქვეყნის მთავარი სანიტარიული ექიმი გ. ონიშჩენკო საჯაროდ აცხადებს, რომ მობილურებით ენებენ ადამიანის ჯანმრთელობას, ზოგიერთი მონაცემით კი კიბოს გამოწვევაც შეუძლიათ.

უცხოელ მკვლევართა უმეტესობა კი დაახლოებით ერთნაირად მსჯელობს: „უშუალოდ ფიჭური ტელეფონის მავნეობა არ არის დამტკიცებული და სინამდვილეში ყველაფერი ნორმის საზღვრებში ჯდება".

ვიმეორებთ, მობილური დიდი სიკეთეა და ფრიად სასარგებლო ინსტრუმენტიც და თუ მას მაინც „ვაკრიტიკებთ", არა იმიტომ, რომ ვინმეს შეშინება გვინდა – ჩვენ მხოლოდ ფაქტები მოგვყავს და „ფიჭურისტების" მთელ არმიას საფრთხილისკენ მოვუწოდებთ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (ჯმო) რომ ჰკითხოთ, გამოშვებული ტელეფონების პარამეტრები მისგან დამტკიცებულ დასაშვებ ნორმებთანაა შეთავსებული, არადა, რუსეთელ სპეციალისტებს, რომლებიც საერთაშორისო კონფერენციაში „ფიჭური კავშირი და ჯანმრთელობა" მონაწილეობენ, სწორედ ეს ნორმები ეეჭვებათ. არც იმას გამორიცხავენ, რომ უცხოელი კოლეგები ფიჭური ტელეფონების მწარმოებელი კომპანიებისგან იყვნენ ანგაჟირებულნი...

რუსეთელი მკვლევარები ყურადღებას მობილურის ელექტრომაგნიტურ შემოქმედებაზე ამახვილებენ და შეისწავლიან მის გავლენას ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ეს ზემოქმედება გამოიხატება დაღლილობით, მეხსიერების გაუარესებით, არტერიული წნევის აწევით, გულის ფუნქციონირების დარღვევით, უძილობით, ორგანიზმის ნაადრევი დაბერებითა და არაერთი სხვა უსიამოვნო ამბით.

სანკტ-პეტერბურგელი ექიმები დიდხანს აკვირდებოდნენ იმ პაციენტებს, ვინც სამუშაოს ხასიათის მიზეზით ელექტრომაგნიტური ველების (ემ-ველების) ზემოქმედებას განიცდიდნენ. დადგენილია, რომ დროთა განმავლობაში მათ უყალიბდებათ ნეიროზების კლინიკური ფორმები, ფსიქიკური ფორმები, ფსიქიკური დეზადაპტაცია – თვით ნერვულ-ფსიქიკურ მოშლილობებამდე.

ფიჭურ ტელეფონებზე გადასვლით კაცობრიობამ ნებაყოფლობით შერგო თავი ექსპერიმენტში, რომელიც ეგებ კატასტროფითაც დამთავრდეს. ექსპერიმენტის შედეგებმა შეიძლება წლების შემდეგ იჩინოს თავი.

გავრცელებულია აზრი, თითქოს მობილური უწყინარია, როცა არ ლაპარაკობ. ჰოდა, ჩამოგვიკონწიალებია მილები მკერდზე ან წელზე მიგვიმაგრებია. ასეთი შეხედულება უწყინარობის თაობაზე მცდარი ყოფილა: თურმე როცა გირეკავენ და ზარი გაისმის, სწორედ იმ მომენტში იღებს ჩვენი ორგანიზმი დასხივებას „სრული პროგრამით". ეს მერეა, რომ მობილური სადგურს აეწყობა და სიმძლავრეს ამცირებს, შეერთებისას კი სიგნალი მაქსიმალურია.

არადა, რა ექნათ? სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს ხომ ვერ შეაჩერებ! სწავლულები ფიქრობენ, რომ უმობილურებოდ ახლა, ცხადია, ვერ ვიცხოვრებთ, მაგრამ უნდა ვისწავლოთ მათი რაციონალური გამოყენება. ჯერ ერთი, საუბრები ხანმოკლე უნდა იყოს და მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ითქვას: მოვიდა, წავიდა, აქა და აქ შევხვდეთ, ამა და ამ დროს და სხვა მისთანანი; მეორე, უნდა მაინც ძვირადღირებული ტელეფონები ვიყიდოთ, რამდენადაც მათ უკეთესი დაცვა-დაზღვევა აქვთ; მესამეც და, ყველაზე ოპტიმალური – სასმენები შევიძინოთ და ტელეფონი ჩანთაში გვქონდეს, იმიტომ, რომ 30-40 სანტიმეტრის მანძილზე ემ-ველის ზემოქმედება გაცილებით ნაკლებია.

ბანგლადეშში კანონი მიუღიათ, რომლის მიხედვითაც ისჯებიან ფიჭური ტელეფონებით მოსარგებლე შვილების მშობლები: ემ-ველის ზემოქმედება მოუმაგრებელ ბავშვურ ორგანიზმზე განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს...

ჩემი ვოკალით სულ რამდენჯერმე ვიყავი კმაყოფილი

მოსკოვური ბინის სასტუმრო ოთახი თანამედროვედ არის მოწყობილი. კედელზე ჯამბაზის პორტრეტია ლეონკოვალოს ოპერიდან. კანიო თეთრებშია ჩაცმული, მხოლოდ ყელთან შემოხვეული შავი პელერინა გამოკვეთს გრიმიან სახეს, ლოყაზე რომ ცრემლი მოუგორავს...

მასპინძელი ბადრი მაისურაძე, მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერალი, იშვიათი ობერტონებითა და მგრძნობელობით მდიდარი ტენორის პატრონი, დიდი თეატრის სოლისტი, რომელიც ამ სეზონში შემოქმედებითი კარიერის თხუთმეტ წელს აღნიშნავს. მას რუსი ჟურნალისტი ლიდია ნოვიკოვა ესაუბრება (გაზეთი „კულტურა", 3-9 თებერვლის ნომერი).

– ბადრი, რატომ მაინცდამაინც ჯამბაზი გახდა თქვენი საიუბილეო ემბლემა? რა არის თქვენში „კანიოური"?

– მიყვარს ლეონკოვალოს ეს ოპერა. მისი შესრულება ავსტრალიაში დავიწყე. სურათიც იქიდან ჩამოვიტანე. კანიოს პარტია ჩემი პირველი ნამუშევარია, ჩემს საკუთარ და ჩემი მასწავლებლების მოთხოვნებს მორგებული.

გახსოვთ, როგორი მხიარული და უზრუნველია ჯამბაზი ოპერის დასაწყისში? მეც ასეთი გახლდით; მაგრამ როგორც ოტელოს, ისე კანიოს ცხოვრებაში, გამოჩნდება იაგო და აქ ინგრევა ყველაფერი. ჩემს ხასიათში, ეტყობა, ბევრი რამ ისეთია, რაც ჯამბაზისაშიც, ეჭვიანობისა და კაცის მოკვლის უნარის გარდა. წლებთან ერთად მსოფლმხედველობა, რა თქმა უნდა, იცვლება.

– როდის დაიწყეთ სიმღერა?

– ძალიან ადრე, წლინახევრისამ. არ დაიჯერებთ, რომ მაშინ თბილისის ტელევიზიით გამოვედი და მას აქეთ იქ ყოველ კვირას სამჯერ ვასრულებდი საბავშვო სიმღერებს.

– არაფერი მსგავსი არავიზე არ მსმენია. გინესის წიგნში შესატანი ამბავია... ვინ მიგიყვანათ ტელევიზიაში?

– დედამ. მღეროდა და მეც მამღერებდა. როცა წამოვიზარდე, საოპერო არიებს ვსწავლობდი და სულაც არ მომწონდა ეს პროცესი... იმ წლებში სამი ოქროს მედალი მოვიპოვე საკავშირო ოლიმპიადებზე. ძალიან კარგად მახსოვს ფინალური კონცერტი სვეტებიან დარბაზში.

– ვინ არიან თქვენი მშობლები?

– დედა, ციალა ქადაგიძე, ფილარმონიის მომღერალია. ძალიან კარგი ხმა ჰქონდა. ახლა თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლის. საქართველოში, ეს ალბათ თქვენც იცით, ყველა მღერის. ასეა ჩვენს ოჯახშიც – ბებია, ძმა. მამას, პროფესიით ინჟინერს, ლამაზი ტენორი აქვს.

– როდის მიხვდით, რომ პროფესიული საოპერო მომღერალი გახდებოდით?

– ძალიან გვიან, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, როცა უკვე ცოლიანი ვიყავი. ელისო და მე თანაკურსელები ვართ, ის პიანისტია; ასპირანტურაში შევიდა, მოსკოვს დააპირა წასვლა, ვაჟა ჩაჩავასთან, სტაჟირებაზე. აბა, მე, ქართველი კაცი, როგორ გავუშვებდი ცოლს მარტო, თანაც სხვა ქალაქში? ერთად წავედით.

– როგორ შეგხვდათ დედაქალაქი?

– სტუმართმოყვარულად... არის ასეთი შესანიშნავი მომღერალი და პედაგოგი – ლარისა ნიკიტინა. მომისმინა, როგორ ვმღეროდი და მკითხა – დიდ თეატრში თუ გყავს ნაცნობებიო. მყავს, ზურაბ სოტკილავასთან ვცხოვრობ-მეთქი... გასაოცარი დრო იყო. მოსკოვში ჩამოდიოდნენ საუკეთესო საოპერო თეატრები – ლა სკალა, სტოკჰოლმის სამეფო ოპერა, მიუნხენის თეატრი, ჰამბურგის ოპერა... ვსწავლობდი ცხოვრებას, ყველაფერს უმალვე ვითვისებდი, ბევრს ვმუშაობდი.

– სცენაზე როდის შედგა თქვენი დებიუტი?

– 1989 წელს თბილისში წავედი. ოპერაში ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას" დგამდნენ. მთავარი პარტია უნდა შემესრულებინა, რომელიც ყველაზე რთულია ქართულ რეპერტუარში. ზურაბ ანჯაფარიძე მომეხმარა მის მომზადებაში.

– ახლა ვხვდები, საიდან მოდის ეს ციფრი – შემოქმედებითი მოღვაწეობის 15 წელი... დიდ თეატრში თქვენი პრემიერა როგორღა გაიმართა?

– პაატა ბურჭულაძის ხელშეწყობით, – ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ – ჩემით დაინტერესდნენ ევროპის თეატრალური აგენტები... 1994-ში ბარსელონაში გავიმარჯვე ვინიასის სახელობის კონკურსზე. ცნობილმა მომღერალმა ნატალია ტროიცკაიამ ჯერ ესპანეთში მოაწყო ამ კონკურსის ლაურეატების კონცერტი, მერე მოსკოვში გაიმეორა. ამის შემდეგ მიმიწვიეს დიდ თეატრში მოსმენაზე და დასში ჩამრიცხეს.

– პირველი გამოსვლა გახსოვთ?

– რასაკვირველია. ძალიან ვღელავდი. საკონცერტო შესრულებით ვიმღერე ედგარის პარტია „ლუჩია დი ლამერმურში". ცხოვრებამ მომცა შესაძლებლობა იმაში დარწმუნებისა, რომ დიდი თეატრის სცენაზე უკეთესს მსოფლიოში ვერსად ნახავთ. არც ასეთი ლამაზი თეატრია სადმე. აქ თავს კომფორტულად ვგრძნობ.

– როდის იგრძენით, რომ ხმა ლაღად და თავისუფლად გიჟღერთ?

– ზუსტად მახსოვს, როდის მოხდა ეს – 1995 წელს. მელბურნში პირველად შემომთავაზეს „აიდაში" სიმღერა. უკვე სიმსუქნეში წასულმა, ვიგრძენი, რომ მარტო რომანტიკული პარტიებით შორს ვერ წახვალ. მსოფლიოში ბევრი მომღერალი ჰყავს ასეთ პარტიებს, მეტი, ვიდრე დრამატულს. ვრისკავდი, როცა რადამესის შესრულებაზე დავთანხმდი – ეს პარტია ხომ სატენორო ვოკალის მწვერვალია. მაინც გავფრინდი ელისოსთან ერთად – ჩვენ ყველგან ერთად ვმოგზაურობთ. 28-საათიანი ფრენა, მელბურნში ჩასვლა და მაშინვე დირიჟორთან შეხვედრა, „შესამღერებლად". მივიხედ-მოვიხედე – ირგვლივ სულ ვარსკვლავებია. ვითარება სამუშაოა; და უცებ ვგრძნობ ენერგიის არაჩვეულებრივ მოზღვავებას. პარტიტურით ხელში ვზივარ სავარძელში, ჩემს რიგს ველოდები. სიმღერა რომ დავიწყე, ვხედავ, ყველა მე მიყურებს. ელისოსაც გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა. რომელიღაც სხვა ხმამ გაიჟღერა ჩემში, თითქოს რაღაც გამეხსნა...

– რეცენზიები როგორი იყო მელბურნში?

– გაზეთები წერდნენ – **„მაისურაძე ახალგაზრდა მარიო დელ მონაკოაო"**; ვიღაცამ ისიც კი დაწერა – **„ისე მღერის, კარუზოს შვილიშვილი გეგონებაო"**. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ გაოცებისგან შოკში ჩავვარდი. ამის შემდეგ ავსტრალიაში ერთობ პოპულარული გავხდი, იქ ბევრი მაქვს ნამღერი.

– ბადრი, რა არის ვოკალი?

– ღვთით ნაბოძები საჩუქარი. უამისოდ ვერ გახდები მომღერალი. ოღონდ ბუნების ძღვენს წესიერი მოვლა უნდა. არ დაიჯერებთ, მაგრამ ჩემი ვოკალით სულ უკმაყოფილო ვარ. ეს ისეთი პროფესიაა, როცა გამუდმებით უნდა აკრიტიკებდე საკუთარ თავს...

ვფიქრობ, ჩემს კარიერაში ჩემი ვოკალით მხოლოდ რამდენჯერმე ვიყავი კმაყოფილი: „აიდათი" გრანდ ოპერაში, პარიზში; „ერნანით" მადრიდში; „ბალ-მასკარადით" დიდ თეატრში; რა დამავიწყებს „მანონ ლესკოს" ტორონტოში, სადაც 1997-ში ვიმღერე. თავის დასაკრავად რომ გამოვედი, დარბაზში მყოფი ოთხი ათასი კაცი ფეხზე წამოდგა. გამახსენდნენ ჩემიანები, თვალწინ ბებია და ბაბუა დამიდგა, რომლებიც ამას ვერ ხედავდნენ. სცენაზე ავტირდი კიდეც.

ყველაზე წარმატებული კი ჩემს კარიერაში ვერდის „ოტელოა". ეს გახლავთ ბარიტონულ-ტენორული პარტია, საოპერო სიმღერის მწვერვალი. აქამდე არ მჯერა, რომ ოტელო ვიმღერე სტოკჰოლმში, კოპენჰაგენში, მალმეში... თუმცა ეს გენიალური პარტია საზიანოა იოგებისთვის, მაინც ვიმღერებ – წინადადებები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქიდან მოდის.

– მომღერალი ქალებიდან ვისთან ერთად გიყვართ გამოსვლა?

– ბედნიერებაა, როცა გულისხმიერ პარტნიორთან მღერი. მაგალითად, მაყვალა ქასრაშვილთან. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ დღეს ის დიდი თეატრის ოპერის დირექტორია. მასთან ერთად როცა ვმღერი, ვგრძნობ, როგორ მიზიდავს თავისკენ. იგივე მსმენია ზურაბ სოტკილავასგანაც.

– სახელგანთქმული იტალიელი ტენორებიდან ვინ არიან თქვენი კერპები?

– ჯილი, პერტილე, კორელი, მონაკო, ჯაკომინი... მრავალ წელს ვეთაყვანებოდი პავაროტის. შეყვარებული ვიყავი ამ კაცში, გაფაციცებით ვუსმენდი როგორც მომღერალს, როგორც მასწავლებელს, როგორც „ტექნარს". სულს უხაროდა. დღეს კი ის აღარ არის ძველებური პავაროტი...

– ჯერაც ასე ახალგაზრდა ხართ და უკვე, როგორც ვიცი, ასწავლით. ეს როგორ მოხდა?

– ყოველთვის სიამოვნებით გადავცემ სხვებს იმას, რაც ვიცი და შემიძლია. ჩემი მოწაფეები მღერიან ლონდონში, პარიზში, ციურიხში, მიუნხენში...

– როგორი სიტყვებით დაარიგებდით თქვენს შვილებს?

– „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია". ეს შოთა რუსთაველმა ბრძანა...

ქრონოგრაფი

14 თებერვალი, 1967 წელი

მეხიკოში, ტლ ლოლკო-პლას მექსიკის საგა საქმეთა სამინ როს შენობ თოთხმეტმა სახ მწიფოს მეთაუ ხელი მოაწერა ტორიულ ხელმ ლებას – ლათინ ამერიკისა და კ ბის ზღვის აუზში ბირთვული იარაღის გამოყენების აკრძალვის შესა ეს ხელშეკრულება „ტლატელოლკოს ხელშეკრულებითაა" ცნობილი. ვიანებით შეთანხმებას კიდევ ათი ქვეყანა შეუერთდა, თუმცა ხელ რულებას მხარი არ დაუჭირა ლათინური ამერიკის სამმა უძლიერესმა ქვეყ – არგენტინამ, ბრაზილიამ და ჩილემ.

15 თებერვალი, 399 წელი ჩვ. წელთაღრიცხვამდე

ათენში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ცნობილ ფილოსოფოსს სოკრატეს. ხანდაზმულ ფილოსოფოსს ახალგაზრდათა მორალურ გარყვნაში და რელიგიურ არესში ადანაშაულებდნენ. მას სიცოცხლე ციხის საკანში თვითმკვლელობით უნდა დაესრულებინა – შეესვა „სახელმწიფო შხამად" მონათლული ციკუტა, რომლის მიღების შემდეგ ადამიანს კრუნჩხვა ემართება და იგუდება. სოკრატეს ერთ-ერთმა მეგობარმა სასჯელის გამოტანისას აღშფოთებით მიმართა ფილოსოფოსს: „ჩემთვის განსაკუთრებით მძიმეა, სოკრატე, შენ რომ უსამართლოდ მოგისაჯეს სიკვდილი". ფილოსოფოსმა მშვიდად უპასუხა: „შენთვის რა, ბედნიერება იქნებოდა ის, რომ სამართლიანად დავესაჯე მათ?!"

16 თებერვალი, 1945 წელი

ვენესუელამ გერმ ასა და იაპონიას ციალურად გამოუ და ომი. აღსანიშ ვია, რომ მეო მსოფლიო ომის საწყისიდან 19 წლის თებერვლის წურულამდე და ს მარი მოქმედებ შეწყვეტამდე ამგვ განცხადებით გა ვიდნენ ფაშისტ გერმანიის წინაა დეგ პარაგვაი, ეკვადორი, პერუ, ჩილე, ურუგვაი, ხოლო ომის დამთ რებამდე რამდენიმე კვირით ადრე თურქეთი, ეგვიპტე, ლიბანი, სირია საუდის არაბეთი.

17 თებერვალი, 1864 წელი

ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ატლანტიკის სანაპიროსთან ქალაქ ჩარლსტონის მახლობლად საზღვაო ომების ისტორიაში პირველად განხორციელდა წყალქვეშა ნავისა და სამხედრო ხომალდის ორთაბრძოლა, რომლის დროსაც 13 მეტ სიგრძის სამხრეთელთა წყალქვეშა ნავმა „ხანლიმ" ჩაძირა ჩრდილ თელთა სამხედრო ხომალდი „ჰაუსატონიკი", რომელიც ჩარლსტონის სადგურს ბლოკირებდა. აფეთქებისგან ორივე ხომალდი ჩაიძირა. წყ ქვეშა ნავის ეკიპაჟის რვავე წევრი დაიღუპა. 1994 წელს თხუთმეტწ ნი ძებნის შემდეგ „ხანლი" ოკეანის ფსკერზე ერთი მეტრის სისქის მ მის ქვეშ აღმოაჩინეს.

18 (02.03) თებერვალი, 1591 წელი



წმინდა ნიკოლოზ კათალიკოს-პატრიარქის გ დაცვალებისა და ხსენების დღე. იგი დაახლო 1510-15 წლებში დაიბადა. გახლდათ ძე კ თის მეფის ლეონ პირველისა. სიყრმიდა მიდრეკილება ჰქონდა მონაზვნური ცხოვ ბისა და ამიტომაც მონასტერში წავიდა მოღვაწეოდ. ღვთის განგებით იგი 1584 წ კათალიკოსად იქნა დადგენილი. ათონის ივ თა მონასტერში სატრაპეზოში განისვენე წმინდა ნიკოლოზ კათალიკოსის ხატი. გ მოცემით წმინდა კათალიკოსი ივერთა ნასტერში მიცვალებულა.

19 თებერვალი, 1674 წელი

ლონდონში ხელი მოეწერა ვესტმინსტერის ხელშეკრულებას, რომლი დასრულდა XVII საუკუნეში ინგლის-ჰოლანდიას შორის გაჩაღებული ო ამ დროს ჰოლანდია იბრძოდა საფრანგეთის წინააღმდეგაც, სადაც მარცხი განიცადა. ხელშეკრულებით ინგლისს საბოლოოდ გადაეცა ნ იორკი, რომელიც ერთი წლის წინათ ჰოლანდიელებთან ბრძოლაში დაკარგეს. უნდა აღინიშნოს, რომ 1624 წელს ჰოლანდიელებმა კუნძულ მანჰეტენზე დააარსეს ქალაქი ახალი ამსტერდამი, 1664 წელს ქალაქი ინგლისელებმა დაიპყრეს და მას ნიუ-იორკი უწოდეს ინგლისის მეფის ძმის იორკის საპატივცემლოდ.

20 თებერვალი, 1970 წელი

ათასობით სტამბულელი შეიკრიბა ბოსფორის აზიურ სანაპიროზე, რა დასწრებოდნენ სრუტის ორივე ნაპირის შემაერთებელი ხიდის საძირკ ლის ჩაყრის ცერემონიალს. ულამაზესი დაკიდული ბაგირებიანი ხიდი, რო მელსაც ინგლისელი ინჟინრის ბრაუნის პროექტის მიხედვით აგებდნენ გე მანული, ამერიკული, ინგ სური, ფრანგული და იტა ური კომპანიები, 1973 წლ 29 ოქტომბერს გაიხსნა მიეძღვნა თურქეთის რესპ ლიკის დაარსების 50 წლ თავს. ბოსფორის ხიდი, რო მელიც მაშინ მეოთხე ა გილს იკავებდა თავისი სიგ რძით (1560 მ.), დღესაც გრან დიოზულ დაკიდულ ხიდ შორის საპატიო ათეულ

ჯანმრთელობა

არიკას უძღვება გაზეთ „საოჯახო ექიმის“
დაქტორი ციცინო მჭედლიშვილი

ოლიტი და ბუასილი

**ითგან ცნობილი დაავადებაა, რო-
იც დღევანდელი ჩვენი ცხოვრე-
ეული წესის გამო უფრო ფართოდ
ელდება და მეტადაც რთულდე-
მოკლედ, ბუასილი ნებისმიერ
ამი შეიძლება განვითარდეს.**

აავადება ძირითადად კუჭის ქრო-
ული შეკრულების დროს ვითარ-
ბა. პაციენტს ისეთი შეგრძნება
ს, თითქოს სწორ ნაწლავში რაღაც
სკდა და იმწამსვე ძლიერი ტკი-
ი დაეწყო.

კივილი — დაავადების გაჩენის
რველი სიმპტომია. ზოგს მკვეთ-
და აუტანელი აქვს დეფეკაციის
ოს, ზოგს კი — დეფეკაციიდან რამ-
ნიმე წუთის ან საათის შემდეგ.
ით ტკივილის ხასიათი სხვადას-
ვარია — მუდმივი ან შეტევითი,
რავი ან ჩხვლეტითი და გადაე-
ა ზურგს, ფეხებს, სასქესო ორ-
ოებს ან შარდის ბუშტს. სწორ ნაწ-
ვში კი ისეთ ტკივილებს იწვევს,
ამ ადამიანს გარკვეულ ხანს შრო-
უუნაროს ხდის და ხანდახან მძიმე
როტიკულ მოშლილობასაც იწვევს.
აწლავზე ახალი, სულ პატარა ნა-
ქიც კი უფრო მტანჯველია, ვიდრე
ლი და მოზრდილი. ჩნდება სის-
ანი გამონადენიც. პაციენტებს
ნიშნებათ სწორი ნაწლავის სპაზ-

როულად დაწყებულ თერაპიულ
რნალობას ადვილად შეუძლია
ღომი გართულებების თავიდან
ლება და სრული განკურნება.

ა უნდა ვიღონოთ?

არგია გამწმენდი ოყნა ისეთი ბა-
ჩეულის ნაყენებით, რომლებიც
ს მეუწყობს ნახეთქების შეხორ-
ას, აგრეთვე, სამკურნალო მიკ-
ოუნები. დილით, დეფეკაციის შემ-
მ და საღამოს გაიკეთეთ თბი-
მჯდომიარე აბაზანები „მარგან-
ვით“, გვირილის ან სხვა ბალა-
ლის ნახარშით. მთავარია — სით-
ის ხსნის სპაზმებს და ასუსტებს
ილს. ზოგიერთს კი ფიზიოთერა-
ლი პროცედურები, ნემსორეფლექ-
თერაპია ანდა ლაზეროთერაპია
რდება. კარგია ადგილობრივი და
ადი ზემოქმედების ტკივილგამა-
ბელი პრეპარატი, რექტალური
თლები. ამას ექიმი შეგირჩევთ.

* * *

ილებელია, რომ გამწვავების პე-
ოდში სრულად გამორიცხოთ მწა-
მჟავე, მარილიანი საჭმელი, საკ-
ები, მათ შორის წიწაკა და მდოგვი
ასნი აღიზიანებს სწორი ნაწლავის
რწოვან გარსს. არც ერთი წვე-
ალკოჰოლი, მათ შორის ლუდიც!
ეიძლება დაავადების თავიდან
ლება?

დიახ, და ამის გაკეთება უფრო ადვილია, ვიდრე მკურნალობა, რეკომენდაციებიც უბრალოა: დაიცავით შრომისა და დასვენების რეჟიმი, იმოძრავეთ ბევრი, გაკაჟდით.

● ფიზკულტურა, სეირნობა, ბაღში მუშაობა, ნებისმიერი აქტიური მოძრაობა დაავადებას წინ აღუდგება. დიდხანს ყოფნა თამბაქოს კვამლში, მჯდომარე ცხოვრების წესი, მავნე ჩვევები (ალკოჰოლის, ყავის უზომო მიღება, სიგარეტი) მიგიყვანთ ნაწლავების მოდუნებამდე, კუჭის შეკრულობამდე, რაც შემდგომ სწორ ნაწლავზე ნახეთქების გაჩენას იწვევს.

● გამოიმუშავეთ ჩვევად, რომ კუჭნაწლავი ერთსა და იმავე დროს დაცალოთ, უმჯობესია — დილით. საწოლიდან როგორც კი ადგებით, მაშინვე დალიეთ ერთი ჭიქა ცივი წყალი, ხილის წვენი ან მინერალური წყალი. ეს კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკას ააქტიურებს. საუზმის დროს ის უფრო ძლიერდება. ამიტომ, საუზმიდან ნახევარი საათის შემდეგ, ეცადეთ გამოიწვიოთ კუჭის მოქმედება. ფეხქვეშ პატარა სკამი დაიდგით და ისე დაჯექით, რომ ფეხები მუცელზე მიიჭიროთ. არარეგულარული ტუალეტი სხვადასხვა დროს არღვევს კუჭ-ნაწლავის მოქმედების ნორმალურ რიტმს.

● კუჭის შეკრულების წინააღმდეგ კარგია მცენარეული ბოჭკოთი მდიდარი საკვები. ამიტომ მიირთვით ქატოიანი პური, მოხარშული ჭარხალი, უმი კომბოსტოს, სტაფილოს, ვაშლის სალათები — მცენარეული ზეთით შენელებული; ჩირი, ლეღვი, ფინიკი, ფორთოხალი; დალიეთ ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის წვენები.

● შავი ქლიავის, ლეღვის, ჭერმის ჩირი გარეცხეთ, დაასხით მდუღარე. როგორც კი გაფუვდება, შეჭამეთ 5-6 ცალი დღეში 2-3-ჯერ.

● ღამე დალიეთ ერთი ჭიქა კეფირი ან მაწონი. თუ რაიმე გართულება არ გაქვთ, ნუ შეზღუდავთ სითხეს. თქვენს რაციონში წყალი, დაახლოებით 6-8 ჭიქა უნდა იყოს. წყალი და ხილის წვენი დალიეთ უზმოზე, ჭამის დროს ან კვებათა შორის ინტერვალებში.

ყველაფერი ყველაფერზე

ნაპოვნია ლეონარდოს სტუდია

ფლორენციაში მიაგნეს აღორძინების ეპოქის დიდი იტალიელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის მივიწყებულ სტუდიას, სადაც თავმოყრილი იყო 500-წლიანი ფრესკები; აქვე აღმოჩნდა ოთახი ადამიანების ცხედართა პრეპარირებისათვის. მოულოდნელი აღმოჩენა წმინდა ანუნციატის ქალთა მონასტერში მოხდა, რომლის წინამძღვარნიც ოთახებს მხატვრებზე აგირავებდნენ. „ეგებ აბსურდულად გვეჩვენოს, რომ 2005 წელს ვიპოვეთ მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მხატვრის სტუდია, მაგრამ სწორედ ასეა“, — განაცხადა ერთ-ერთმა მკვლევარმა რობერტო მანესკალჩიმ.



ფრესკები, ვინ იცის, თვით ლეონარდოს მიერ კედლებზე დახატული, ხელუხლებელი რჩებოდა ასწლეულების მანძილზე და მათი არსებობა სწავლულებმაც არ იცოდნენ. მანესკალჩიმ ჟურნალისტებს ზოგიერთი ფრესკის ფოტოსურათები ანახვა, სავარაუდოდ, ლეონარდოს შექმნილებისა. ერთ-ერთ ფერსკაზე გამოსახული იყო მთავარანგელოზის გაბრიელის თეთრი სილუეტი, რომელიც საოცრად მიაგავს ლეონარდოს დახატულ სახეს სურათიდან „ხარება“ (ეს სურათი უფიცის გალერეაში იმყოფება)“.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მხატვართან ერთად სტუდიაში მუშაობდნენ მისი თანაშემწეები. ამას გარდა, ისინი, ალბათ, საიდუმლო ოთახს ცხედრების პრეპარირებისათვის იყენებდნენ — ადამიანის სხეულის ანატომიურად სწორი გამოხატულების მისაღწევად.

გენიოსის ბარტერი

პიკასო ზოგჯერ სახელდახელოდ შესრულებული ნახატებით იხდიდა რესტორანში დანახარჯს. ასეთია ამას წინათ 39 999 დოლარად აუქციონზე გაყიდული ნახატიც. ნამუშევარი ავტორის ხელითაა დათარიღებული და მოწერილი, თუმცა მისი ნამდვილობა მაინც შეამოწმა პიკასოს ქალიშვილმა. ქაღალდის ფურცელი დიდხანს იდო სურათებით მოვაჭრის ჯიმ ტუტვაილერის კოლექციაში, მაგრამ მან მაინც გადაწყვიტა გაყიდვა. კოლექციონერი დარწმუნებულია, რომ ნახატი ფულის ნაცვლად აიღეს. „პიკასოს უყვარდა ბარტერი, შესაბამისად ეჯავრებოდა ფულის ხარჯვა“, — ამბობს ის.

ეს უკვე პიკასოს მეორე ნაწარმოები გაყიდა ტუტვაილერმა. პირველი სან-ფრანცისკოელმა ხელოვნების დამფასებელმა იყიდა, მეორის შეძენა კი აღარ ისურვა. „მისი ცოლის სიტყვით, ეგ მეორე მაგრად წააგავს ადრე ნაყიდსო“, — აღიარა ვაჭარმა.

რუსული „პარალელური კინო“ როტერდამში უჩვენეს

როტერდამის 34-ე საერთაშორისო კინოფესტივალი ახალგაზრდა რეჟისორების სურათებსა და არატრადიციულ კინოს ეძღვნება.

ორგანიზატორთა განცხადებით, წლეულს აქ წარმოდგენილია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ რიცხვში რუსეთის რეჟისორების მიერ შექმნილი ასობით მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმი. საზღვარგარეთ პირველად უჩვენეს რუსეთელი რეჟისორის რენატა ლიტვინოვას ლენტი „როგორ შევიყვარე“ („ქალღმერთი“). ექვსი სრულმეტრაჟიანი და ხუთი მოკლემეტრაჟიანი რუსეთული სურათი ფესტივალზე გაუშვეს თემატური პროგრამის „რუსული პარალელური კინოს“ ფარგლებში. მაყურებლებმა ნახეს ევგენი იუფიტის „ბიპედალიზმი“ (პრემიერა), სვეტლანა ბასკოვას „მწვანე სპილუკა“ და სერგეი კოსიაგინის „ივანე-სულელი“.

ჰოლანდიელი რეჟისორის თეო ვან გოგის სახელობის პრიზი „ოქროს კაქტუსი“ (ეს ხელოვანი შარშან დაიღუპა ისლამის ფანატიკოსის ხელით) მიეკუთვნა რუსეთელი რეჟისორის ილია ხრჟანოვსკის ფილმს „4“ — „შემოქმედებითი გამბედაობისათვის“.

ბულგაკოვი ათენში

საბერძნეთის ეროვნულ თეატრში მიხეილ ბულგაკოვის „მოლიერი“ დადგეს. სპექტაკლი განახორციელა მოსკოვის „გიტისის“ კურსდამთავრებულმა, ანდრეი გონჩაროვის მოწაფემ სტაფის ლივაფინოსმა.

ბერძნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სახელგანთქმულმა მსახიობმა ნიკოს კურკულოსმა მას ექსპერიმენტული სცენა დაუთმო, სადაც ლივაფინოსმა შეძლო მსოფლიო დრამატურგიის შედევრების დადგმა ნიჭიერ მსახიობთა ერთიანი კოლექტივის შექმნა.

ახალი სპექტაკლი გამოირჩევა ზედმიწევნით ლაკონური სცენოგრაფიითა და დიდებული სამსახიობო ანსამბლით, რომელიც ახალგაზრდა „სოვრემენნიკის“ ხანას გახსენებს. შესაძლოა, პიესა რუსეთშიც უჩვენონ 2006 წელს, ეროვნული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში.

---

11 თებერვალი 2005 წელი ქ. გარდაბანი

გარდაბნის რაიონული სასამართლო
განჩინება

გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ლუაშვილმა, ერთპიროვნულად განიხილე სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველის თამაზ ბოლქვაძის განცხადება კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომის გადადების შესახებ.

გამოარკვია:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 6 იანვრის განჩინებით სს „თბილსრესის“ ქონების მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება, დაინიშნა გაკოტრების მმართველი, განისაზღვრა კრედიტორული მოთხოვნების წარდგენის ვადა და 2005 წლის 15 თებერვლისთვის დაინიშნა სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომა და კრედიტორთა პირველი კრება.

აღნიშნული განჩინება გამოქვეყნებულ იქნა კანონით დადგენილი წესით.

2005 წლის 10 თებერვალს სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველმა თამაზ ბოლქვაძემ განცხადებით მომართა გაკოტრების სასამართლოს და მოითხოვა სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომის გადადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „კრედიტორულ მოთხოვნათა მნიშვნელოვანი ნაწილი გაკეთებულია სასამართლოს მიერ განჩინებით განსაზღვრული მოთხოვნების წარდგენის ვადის ბოლო დღეებში, რის გამოც შესასწავლი მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილის კვლევა, მათი წარმოშობის საფუძვლიანობის დადგენა და ცალკეულ საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო საქმის მასალების შესწავლა მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე ფაქტობრივად შეუძლებელია“.

გაკოტრების მმართველმა მიუთითა, რომ „ცალკეული კრედიტორული მოთხოვნების სრულად შესწავლის მიზნით შესაძლებელია აუცილებელი გახდეს წერილობითი მიმართვა სახელმწიფო დაწესებულებებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებთაგან მისაღები პასუხები უშუალო სამართლებრივ კავშირშია ცალკეული მოთხოვნების დადგენილად ცნობაზე ან დადგენილად ცნობის შესახებ უარის თქმაზე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა 2005 წლის 15 თებერვალს დანიშნული სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომის გადადება „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევის მიზნით.

გავეცანი რა სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველის თამაზ ბოლქვაძის განცხადებას სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომის გადადების შესახებ და საქმის მასალებს, მიმაჩნია, რომ იგი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელ სხდომაზე ყოველი წარდგენილი მოთხოვნა განიხილება ცალ-ცალკე მისი მოცულობისა და რიგის მიხედვით და გაკოტრების ყოველ კრედიტორს და გაკოტრების მმართველს ეძლევათ თავისი აზრის გამოხატვისა და დავის შესაძლებლობა. ამისათვის კი გაკოტრების მმართველს ესაჭიროება თითოეული გაცხადებული მოთხოვნის საფუძვლიანი შესწავლა, რადგან „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გაკოტრების მმართველი თავისი მოვალეობის შესრულებაზე პასუხისმგებელია გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის წინაშე, ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ გაკოტრების მმართველი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, ეკისრება მისი სრული ოდენობით ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაკოტრების მმართველი ვალდებულია გაკოტრების მასის დაცვის, კრედიტორთა ინტერესების გათვალისწინების და მოსალოდნელი პასუხისმგებლობის აცილების მიზნით ჯეროვნად შეისწავლის და გამოიკვლიოს თითოეული კრედიტორული მოთხოვნა.

საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ კრედიტორული მოთხოვნების უმრავლესობა სასამართლოში გაცხადებულია მათი წარდგენის ვადის ბოლო დღეებში, რის გამოც შესაძლებელია გაკოტრების მმართველმა ვერ მოასწროს მათი შესწავლა და გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველის თამაზ ბოლქვაძის განცხადება სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომის გადადების შესახებ დაკმაყოფილდეს.

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია გადაიდოს სს „თბილსრესის“ კრედიტორთა პირველი კრებაც, ვინაიდან მისი ჩატარება, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება დამოკიდებული კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომის შედეგებთან.

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285 მუხლებით.

დავადგინე:

1. 2005 წლის 15 თებერვალს დანიშნული სს „თბილსრესის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომა გადაიდოს 2005 წლის 15 მარტს 12 საათისთვის, ხოლო სს „თბილსრესის“ კრედიტორთა პირველი კრება გადაიდოს 2005 წლის 15 მარტს 15 საათისთვის;
2. აღნიშნული განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ და გამოცხადდეს ქვემო ქართლის რეგიონალურ ტელევიზიაში; გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას;
3. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა მისი გამოქვეყნებიდან 12 დღის განმავლობაში.

მოსამართლე: **ხელმოწერილია ქ. ლუაშვილი;**

ასლი დედანთან სწორია კანც. გამგე ნ. სვანი.

ასეც ხდება

„მემკვიდრეები“

**ორც ჩანს, სახელოვან დიზაი-
რებს ბუნებრივი სიკვდილი არ უწე-
ათ. ალბათ გახსოვთ, თუ როგორ
ღუპა ერთ-ერთი უდიდესი მოდე-
ორი ჯანინ ვერსაჩე — ის მოახ-
ო შემთხვევითმა საყვარელმა, 25
წლის ერაყელმა ლტოლვილმა ხერიშმა. ახლახან კი, წლის დასაწყისში მიუნჰენში ძალზე ხმაურიანი მკვლელობა მოხდა. მისი მსხვერპლი გახდა საყოველთაოდ ცნობილი გერმანელი მოდელიორი რუდოლფ მასჰამერი, რომლის კლიენტები იყვნენ არნოლდ შვარცენეგერი, ხოსე კარერესი, შვედეთის მეფე კარლ გუსტავი, მაგრამ იცით, ვინ გახდა მისი უამრავი ქონების მემკვიდრე? ციცქნა იორქშირული ტერიერი დეიზი.**

დეიზი „მის ბუნებრივ სიკვდილამდე“ იცხოვრებს მიუნჰენის ყველაზე ძვირადღირებულ ქუჩაზე — მაქსიმილიანშტრასზე. მისი სადგომი „ხუხულა“ რამდენიმე მილიონი ევრო ღირს. ოთხფეხა მდიდრის მზრუნველი იქნება პატრონის ყოფილი მძღოლი ანდრეასი, რომელიც არ დაუჩაგრავთ — მას სამუდამო პენსია და 100 კვ. მეტრიანი ბინა დაუტოვეს.

ასე რომ, „ძაღლური ცხოვრება“ ბევრს შეშურდებოდა. თუმცა მასჰამერს ისინიც არ დავიწყებია. თავად ობოლმა, სიკვდილის წინ ბრძანა, რომ გაეყიდათ მისი მაღაზიები და ლიმუზინები, ხოლო აღებული ფული ბავშვებისთვის და ღარიბ-ღატაკებისთვის დაერიგებინათ. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ახირებული მილიონერის კუბოს ათასობით მიუნჰენელი ბომჟი მიაცილებდა.



სხვათა შორის, როგორც ამბობენ, კარდინალმა რიშელიემ მთელი თავისი სიმდიდრე თავისივე 14 კატას დაუტოვა. თურმე ასევე მოიქცა ინგლისური ჯგუფის Queen სოლისტი მერკური — მანაც თავისი მრავალმილიონიანი ქონების „მემკვიდრედ“ თავისი „მოკნავილე“ ოთხფეხა მეგობრები დატოვა.

სათქმელი უნდა ითქვას

ამორდიას ნაკვალევზე

(მეორე გვერდიდან)

ღნიშნულ საკითხსაც გვერდს არ
ლიან და კეთილგანწყობით აშუ-
ენ „საქართველოს უახლესი ის-
რიის“ ავტორები, სადაც ნათქვა-
, რომ სკკპ ცენტრალურმა კო-
ეტმა განიხილა საკითხი „საქარ-
ელოს პარტიულ ორგანიზაციაში
ებული მდგომარეობის შესახებ“,
მედეგადაც მეგრელ ხელმძღვა-
მუშაკთა ჯგუფს წაუყენეს ად-
ლობრივი — მეგრული ნაციონალიზ-
ბრალდება, რაც საკადრო პრობ-
მას უკავშირდებოდა.

უმცა აქაც შევნიშნავთ, რომ ეს
ღვენილება მხოლოდ კადრების
ობლემას არ შეეხებოდა, იგი ბევრ
მტკივნეულ საკითხსაც მოიცავდა
კუთხის საზიანოდ.

ოლედ თუ შევაჯამებთ — ბრძენი
როვნება თავის ამ საბედისწერო
დომას თვითონაც ემსხვერპლა და
აც ამ პროვოკაციას უმიზნებდა,
ი გადაიყოლა...

ამ შემთხვევაში მე უფრო მაინტე-
ებს ამ პროვოცირების მავნე, პო-
ტიკური შედეგები სამეგრელოს
თხისათვის. მგელაძისა და რუ-
ის მიერ ხელოვნურად შეთითხ-
ლმა ბრალდებებმა კვლავ შეარ-
რეგიონის აღდგენილი ნდობა და
თხისადმი დამოკიდებულება, ერის
მამას, დიდ ილიას რომ ათქმევინა „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახეო“.

დღეს, ამ ნახევარი საუკუნის შემდეგაც, ბევრია მოწმე, მონაწილე და თვითმხილველი იმ დამცირებების, შევიწროების, უნდობლობის, შეურაცხყოფისა და, თუ გნებავთ, დაუმსახურებელი დაჩაგვრის, რაც ამ ერთგული კუთხის უდანაშაულო მოსახლეობამ და განსაკუთრებით მისმა ინტელიგენციამ იწვნია. რა დასამალია, რომ იგი შევარდნაძისეულ „ქაოსურ ეპოქაში“ შურისძიებაშიც კი გადაიზარდა და ე.წ. სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომის პერიოდში არაერთგზის დარბევისა და გადათელვის ობიექტი გახდა.

დღეს, როცა, როგორც იქნა, დადგა ჟამი სიმართლემ იზეიმოს, ვითარება განიმუხტოს, როდესაც ამ გულწრფელ ხალხს (რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებაში) მიეცა საშუალება აჩვენოს მისი ნამდვილი ბუნება და სახე, მთელი ძალა და ენერგია მოახმაროს ქვეყნის გამთლიანებისა და აღორძინების კეთილ საქმეს. მთელ ქართველ ხალხთან ერთად შეეჭიდოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საშვილიშვილო საქმეს, შინაურმა „ყორღანაშვილებმა“ კვლავ გამოაჩინეს ბინძური სახე, ცეცხლზე ბენზინი დაასხეს და შეთხზეს ახალი ნაცოდვილარი მეგრული ენის აღზევების თაობაზე.

ისმება კითხვა, ღირს კი ამის გაზვიადება? ერთი შეხედვით, არა. არა იმდენად, რამდენადაც კოლხეთის ქვეყნის ისტორიის უტყუარი შეფასებები მოგვცეს ჩვენმა სასიქადულო ისტორიკოს-კორიფეებმა ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა და მათმა ღირსეულმა მოწაფეებმა. ქართული (მეგრულ-ლაზური და სვანური) ენის კვლევას უშურველი ამაგი დასდეს დიდმა ქართველმა ენათმეცნიერებმა, მათმა დღევანდელმა სახელგანთქმულმა მემკვიდრეებმა. ყოველივე ამის შემდეგ ამ უმწიფარ გზააბნეულთა ნაბოდვარზე ყურადღების გამახვილება დროის კარგვაა. თუმცა, დღევანდელი ვითარება, ისევ და ისევ გვკარნახობს, რომ ასე უთავბოლოდ პარპაშიც დაუშვებელია. სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია როდია ზღვარგადასული, საზოგადოების აზრთან შეუთავსებელი ლაყბობა და მავნე მოსაზრებათა თავს მოხვევა ფართო მასებისათვის. ეს ანარქია და ქაოსია, რასაც, როგორც იტყვიან, „კეისარსა კეისრისა“ უნდა მიეზღოს.

უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, ამ ძირშივე მცდარი „მოსაზრების“ მასაზრდოებელი ფესვები, მიზნები და ამოცანები. თუ მას პოლიტიკური მიზანდასახულობა აქვს, იგი უმალვე აღსაკვეთია, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ამ შეუწყნარებელ „მოთხოვნათა“ უკან ბეცი და წინდაუხედავი, უბრალოდ უჭკუო ავტორები იდგნენ. მაგრამ, ვინაიდან ეკალზე მხოლოდ ეკალი ხარობს, ის ამოსაძირკვია, რათა „მაფალუს“ ნერგმა არ იხაროს.

უნდა გაიცნობიერონ, რომ პარლამენტარის ტიტული, რაც საზოგადოებამ მიანიჭა, მათი დამსახურება კი არაა, „ვარდების რევოლუციის“ ნაამაგარია, რომელმაც ზოგიერთი შემთხვევით დასვა პარლამენტარის სავარძელზე. ხალხი ბრძენია და ის შეცდომას ადვილად ასწორებს. ერთი მინიშნებაც საკმარისია ხალხთა წარმომადგენლობიდან უღირსთა გამოსაწევად.

თუ ჩემთვის პირადად უცნობი ახალგაზრდები კეთილ რჩევას მიიღებენ, იქნებ ცოდვების მონანიება სჯობდეს და თავიანთი მოჭარბებული ენერგია იმ პრობლემათა გადაჭრას მოახმარონ, რომლებიც მთლიანად ქვეყანაშიც და სამეგრელოშიც არც ისე ცოტაა. მით უფრო, რომ შეუთავსებელ ქმედებათა გამო ზოგიერთი მათგანის მიმართ ტელევიზიით სხვადასხვა ბრალდება უხვად ისმის. სჯობს იმას მიხედონ.

იოსებ ჩიქავა,
პროფესორი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს 35-ე გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ფეხბურთის პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მინისაფეხბურთო მოედნების თანამედროვე ხელოვნური საფარით მოწყობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია ქავთარაძის ქუჩაზე № 35 სპორტული სკოლის ხელოვნური ბალახიანი საფარის № 2 და № 3 (ზომით 22X42 მ) და № 1 (ზომით 91X54 მ) მინისაფეხბურთო მოედნები.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 2 მარტის 11 სთ-დან 4 მარტის 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კონსტიტუციის № 6, ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას მსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სხვა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას მსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ლიცენზიას ხელოვნურ და ბუნებრივსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობის შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 7 მარტის 10 საათიდან 2005 წლის 9 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კონსტიტუციის № 6, ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ზაზა დოლიძე — სატენდერო კომსიიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი **95-87-48**, ა. არველაძე — სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი: **22-12-22; 22-14-22 მისამართი:** ქ. თბილისი, კონსტიტუციის № 6, ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 35. კვირა. 15 თებერვალი. 2005 წე

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ცოლ-ქმარი ევგენი მოსეშვილი და ლუბა ვამაკიძე. გადაღებულია გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს.

მოგვაწოდა კახა მოსეშვილმა.

გიხაროდეთ!

თამარი მეორე ვაჟის დედა გახდა

— ჩემი დედისერთა ქალიშვილი მუდამ დედმამისშვილს იყო მონატრებული, მრავლად არც ბიძაშვილ-მამიდაშვილი თუ დეიდაშვილი ჰყავდა. ერთი კვირის წინათ ის მეორე ვაჟის დედა გახდა, ასე რომ, ირაკლის დათოც მიემატა. თქვენი გაზეთი მეზობლებმა მიჩვენეს, მის კვალს გამოვყევი. დედმამისშვილებს აბა რა სჯობია, თავს არავის დააჩაგვრინებენ, — გვითხრა რედაქციაში რუსთავიდან მოსულმა ამ ამბის მახარობელმა თათია ხომასურიძემ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

სპეციალისტთა მონაცემებით ადამიანების მხოლოდ შვიდ პროცენტს აქვს არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია. მაშ, საიდან გაჩნდნენ ისინი ასე ბლომად საჭესთან?

* * *

მიმდინარეობს გამოცდები. აუდიტორიიდან გამოდის გატანჯული სტუდენტი.

— როგორ ჩააბარე? — ეკითხებიან ყველანი.

— როგორც ეკლესიაში.

— ეს როგორ?

— ის მეკითხება, მე პირჯვარს ვიწერ. მე ვუპასუხებ, ის იწერს პირჯვარს.

* * *

დირექტორი გვიან ღამით თავის დაწესებულებაში მომუშავე თანამშრომელს წააწყდა.

— რას აკეთებთ აქ? — ეკითხება.

— ვმუშაობ, — უპასუხებს თანამშრომელი, რომელსაც ჰგონია, რომ გულმოდგინებისთვის წაახალისებენ.

— გათავისუფლებული ხართ, — ეუბნება დირექტორი, — სამუშაო დროულად უნდა შეასრულოთ, თქვენ კი, როგორც ჩანს, ამას ვერ ახერხებთ.

მეორე დღეს დირექტორი ასევე გვიან ღამით დაწესებულებაში მომუშავე კიდევ ერთ თანამშრომელს პოულობს.

— თქვენც გათავისუფლებული ხართ, — ეუბნება, — სამუშაო ამისთვის დაწესებულ დროში უნდა შეასრულოთ.

— მე ჩემი სამუშაო დროულად შევასრულე. ახლა კი იმ თანამშრომლის საქმეს ვაკეთებ, გუშინ რომ გაათავისუფლეთ.

* * *

— სად მუშაობს მამაშენი? — ეკითხება მასწავლებელი მიხოს.

— ზოოპარკში.

— ჰო? მე კი მეგონა, რომ იგი სავაჭრო ფირმაში მუშაობდა.

— არა, ზოოპარკში მუშაობს. კარგად გავიგონე, როგორ ელაპარაკებოდა დედას, — ეს სამუშაო კი არა, სამხეცეთიაო.

— მაგრამ ეს ხომ ხატოვანი გამოთქმაა, ასე ამბობენ ხოლმე...

— მან თავის სამსახურზე კიდევ ასეთი რამე თქვა: დირექტორი ვირია, მისი პირადი მდივანი — გველი, ბუღალტერი — ნიანგი, გასაღების განყოფილების გამგე — ღორი, დირექტორის მოადგილე — ბატი... არა, მამაჩემი ნამდვილად ზოოპარკში მუშაობს.

ალიართალი — ბალიართალი

„სოფელო, ჩემო სოფელო...“

არსენ კობაიძე და კორიდა

„სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში ხშირად მოდიოდა ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე. წავიდა ერთხელ შორეულ ესპანეთში, გაეცნო იქაურ ფერმერთა საქმიანობას და კორიდის მონახულებაც გადაწყვიტა. გამოვიდნენ მატადორები, გამოუშვეს გაავებული ხარი. სანამ წითელ ქსოვილს აფრიალებდნენ, კიდევ არაფერი, მაგრამ როცა საცოდავ პირუტყვს ბეჭებში დაშნები ჩასცეს, მრავლის მხილველმა არსენმა ველარ გაუძლო — გული წაუვიდა...

— გონზე ხალხის ღრიალმა მომიყვანა. დღემდე ვერ გამიგია, რა სიამოვნებას ხედავენ ამაში? — უკვირდა, როცა ეს ამბავი გაგვიმხილა.

ვალი

მეზობელი გარდაიცვალა. ერთადერთი ბიჭი საზღვარგარეთ ქალაქში ჰყავდა „გაბარებული“. აცნობეს, სასწრაფოდ ჩამოდიო. ჩამოვიდა. ჭირის სუფრაზე, ვიდრე თამადას აირჩევდნენ, მეზობლებს ასე მიმართა:

— კაცნი ვართ და გეკითხებით: მამაჩემს ვისიმე ვალი ხომ არ წაჰყოლია?

— პაჭიჭებში ეტყობა, კარგი ბალღი როა, — გადაულაპარაკა მიხომ ვანოს.

მახინჯი ალენ დელონი

სამეგრელოში ვარ. სუფრაა — ჩიტის რძეც არ აკლია. თანამეინახე ხშირად ახსენებს ვიღაც წურწუმიას — კაი ბიჭია, პირდაპირ ალენ დელონი — დახატული, მაღალი, მარა, რად გინდა, მახინჯია, მახინჯი!

გვერდით მჯდომს მივუბრუნდი: — თუ მახინჯია, ალენ დელონი და ლამაზი როგორღაა-მეთქი. მახინჯი მეგრულად ქურდს ნიშნავსო, — მიპასუხა და გაიცინა.

ახია შენზე!

მთელი ვაგონი ქატო გაყიდეს, მერე ტანსაცმელი ჰაიჰარად ჩამოიფერთხეს და „პობედაში“ ჩასხდნენ. — საწყობის კარი მიკეტე, — ცივი მჭადის ნატეხივით გადმომიგდეს.

პირკატა მეცა: მთელი ნავაჭრი ხელუხლებელია!

მანქანას გამოვენთე, მაგრამ რას დაეწევი! ბედად, მეზობელი გამოჩნდა. მიხვდა, იმ „პობედას“ რომ მივდევდი და გააჩერებინა.

— ფული, ფული... — გული ყელში მებჯინება.

მანქანა მოაგრიალეს და თავში ხელი შემოიკრეს. კუპიურები მოხვეტეს და ტომარაში ჩაუძახეს. „ცოტა ამ ბალღსაც ვაჩუქოთ, — ამბობს ერთი.

— რა უნდა ვაჩუქოთ, თუ უნდოდა, აქ არა ჰქონდა? — შეუღრინა იმან, რომელიც ქატოს ყიდდა. ჩასხდნენ მანქანაში და აითესნენ.

— ახია შენზე! — ნიშნისგებით მითხრა სანაიამ.

„ხელს მიაფარებდი?“

იმ წელიწადს ახმეტაში ყურძნის უხვ მოსავალს ელოდნენ. აი, ზაფხულიც მიიწურა, ცოტაც და რთველი დაიწყება. რა ხანია, ქარხნებმა სამზადისი დაიჭირეს.

ერთ დღეს მოწმენდილ ცაზე პატარა, პაწაწკინტელა ღრუბელი გამოჩნდა, თანდათან გაიზარდა, გაიბერა და შიგთავსი თავზე გადმოგვასხა. უეცრად დაიჭექა და ჯერ ხოშკაკალა წამოუშინა, მერე უფრო მსხვილი და ხშირი მარცვლები გამოურია. როცა ყველაფერი მიწყნარდა, ვენახებში დასაკრეფიც აღარაფერი დარჩა...

პარტიის რაიკომში უკვე ანგარიშობდნენ ზარალს. გულშეღონებული იყო სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ალექსი ჭუნიაშვილი.

— როგორც კი სეტყვა წამოუშინა, მაშინვე ახმეტისკენ გამოვეშურე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, — მოიბოდიშასავით რაიკომის მდივანთან. „რას უნდა გამხდარიყავი, ხელს ხომ არ მიაფარებდი“ — დააწყნარა ალექსი ბაგიაშვილმა.

„ისეთი მამის შვილი ხარ...“

მე და გურამი პაპამ არაყი უნდა გამოგვეხადოთ, მაგრამ შეშა არა გვაქვს და ტყეში მოგვიწევს წასვლა. დაესხედით მოტობლოკზე და გავწიეთ. მჭედლიანთ საყდარს მივატანეთ, თავი ტყეში უნდა შევრგოთ და, რომ არ ველოდით, მეტყევე მამუკა არ გამოჩნდა? თოფი ბეჭებზე გარდიგარდმო გაედო. ტრაქტორი გავაჩერე. რა ვუთხრა, თავი რითი ვიმართლო? „გადმოილე და მესროლე“, — ნირწამხდარი ვეუბნები.

— შენ ისეთი მამის შვილი ხარ, რა უნდა დამიშაო, რომ გესროლო? — მპასუხობს და თავისი გზით მიდის.

— ხედავ, რა მითხრა, — შეცვლილი ხმით ვეუბნები გუმარი პაპას. — კიდევ მეტყვი, მოეჭრათო? ანასხეპს ავაგროვებთ, მორჩა და გათავდა!

„იქნებ ვაზია სამშობლო?“

ამას წინათ ტელევიზიით სეტყვით გადაჯეგილი თელავის ზვრები უჩვენეს. ნაღვლიანად ლაპარაკობ
ყელში ბურთგაჩრილი მევენახ
გული აგიდუღდებოდა!

ვაზი ქართველი კაცის სინდის-
მუსია. ვინ, როდის, რომელ სა
ნეში ამოხეთქა გულიდან: „ვაზო,
უნდა ამიმაღლო ოჯახის ჭერი,
მიპატიოსნო მიცვალებული, გამ
ჩინო მტერ-მოყვარესთან, შენ უ
დამადგა ავკარგიანი კაცის გვ
ვინი!“

„იქნებ ვაზია სამშობლო? აბა,
აკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქ
მა უნდა დაკრიფო, თუ მაღლა
— ცაში ხელაპყრობილმა. ორივე
ჰგავს ლოცვას! ლოცვა კი ისე ა
ფერს უხდება, როგორც სამშობლ

და ყოველთვის, დიდი ბრძოლ
შრომა-გარჯის მერე ტახტზე მ
ჭმით დაბრძანდება ხოლმე ბუნ
საოცრება — მისი უდიდებულეს
შემოდგომა, რომლის შნო და
ზათი ქართული ვაზია.

...ბინდი ნახირის ბლავილთან,
ტომანქანების გუგუნთან და ურ
ჭრიალთან ერთად შემოდის სოფ

ში. ნელ-
ლა მუქდ
კავკასიო
რომელ
ისე ახლ
არის, გუ
ნება, ხე
გავიწვდ
შევეხებო
თავდავი
ბით მღერ
მწიფობე
ბი — ხვა
ნი შემოდგომის ერთგული თან
ზაერები. ხოლო როცა ყოველივე
ქათქათა მთვარეც ახლავს, ხომ ა
ფერი სჯობს კახეთს!

ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ვ
ძირში ჩაჩოქილ თუ მაღლარის
მარჯვენაშემართულ მევენახეს!

ელგუჯა ლებანი

15 თებერვალი
პრემიერა
ჯუზეპე ვერდი
აიდა
ოპერა ოთხ მოქმედებად

დამდგმელი დირიჟორი — ზაზა აზმაიფარაშვილი
დამდგმელი რეჟისორი — დავით საყვარელიძე
დამდგმელი მხატვარი — პოლინა რუდჩიკი
დამდგმელი ქორეოგრაფი — ირაკლი შენგელია

აიდა მაყვალა ასპანიძე
რადამესი თეიმურაზ გუგუშვილი
ამნერისი მზია ნიორაძე
ამონასრო ვანო გალუაშვილი
რამფისი ზია ასათიანი
მეფე ტარიელ ჰიჰინაძე
მლოცველი სოფიო ჯანელიძე
მაცნე თამაზ საგინაძე.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

კროსვორდი

თარაზულად:

4. ყბედობა, ლაქლაქი; 6. მდინარე კახეთში; 9. ო. თაქთაქიშვილის ოპერა; 10. რიცხვი; 11. სპეკულიანტი ჟარგონულ ენაზე; 12. ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი; 13. სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 14. ა. ყაზბეგის ნაწარმოები; 15. სოფელი მარნეულის რაიონში; 18. მაგარი მასალა, ფართოდ იყენებენ ელექტროტექნიკაში, რადიოტექნიკაში, საავიაციო და ქიმიურ მრეწველობაში; 20. სახელმწიფო ევროპაში; 23. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 24. რუსული ხალხური სამსიმიანი მუსიკალური საკრავი; 26. უბანი თბილისში; 28. სახელმწიფო აზიაში; 29. გამოუწვავი აგური; 31. მთიანი მხარე რუსეთში; 34. ერთწლოვანი ბალჩეული კულტურული მცენარე, აქვს დიდი ნაყოფი; 35. ქალაქი ჩეხეთში; 37. მთვარის, ცისა და მიწის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 38. მხარე, მიდამო, არემარე; 39. მბზინავი, მბრწყინავი, პრიალა; 40. ხის ალვირი; 41. უფერო ან მოყვითალო ზეთოვანი სითხე, იყენებენ სალებავებისა და სხვადასხვა წამლის დასამზადებლად.

შვეულად:

1. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 2. ქალაქი ესპანეთში; 3. ურმის ნაწილი, თავმსხვილი ჯოხი, საქონლის შესაბმელი; 5. პიპინიას საყვარელი შეილიშვილი; 7. დაბალი დიპლომატიური რანგი; 8. დედალოსის შვილი, რომელიც მამასთან ერთად გაფრინდა მისივე გაკეთებული ფრთებით; 15. საქართველოს ერთ-ერთი კუთხის ძირძველი მოსახლე; 16. თავაშვებული, წრეგადასული დროსტარება; 17. ამერიკელთა მეტსახელი; 18. მთვარის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთ მაჰმადიანურ ქვეყნებში; 19. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 20. მდინარის შესართავთან წარმოქმნილი მონალექი არე, დასერილი მდინარის ტოტების ქსელით; 21. სპორტული ინვენტარის დამამზადებელი ცნობილი ფირმა; 22. ნადაველი ანუ...; 25. ქალაქი რუსეთში; 27. მექანიკის ნაწილი, სწავლობს სხეულთა წონასწორობის პირობებს; 30. მსხვერპლად შესაწირი საკლავი; 32. ს. ს. ორბელიანის მშობლიური სოფელი; 33. ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა, იყენებენ საქონლის საკვებად; 35. ზღვაში შეჭრილი ნაგებობა, ორივე მხრიდან გემების მისადგომად; 36. ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა, უხალისობა.



6 თებერვალს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად:

7. გარინჩა. 8. სტანცია. 11. ლეი. 12. ენერგეტიკა. 13. ატა. 16. სინაი. 17. იდილია. 18. საუნა. 21. კიური. 22. მაკაო. 23. კრედო. 24. ანისი. 29. ტოკიო. 30. საფარი. 31. ოტელო. 34. ოდა. 35. აბასთუმანი. 36. არა. 39. არიზონა. 40. ევლოგია.

შვეულად:

1. ვალერია. 2. ჩია. 3. ოჩანი. 4. სტეკი. 5. ანა. 6. აცეტონი. 9. პრადო. 10. ატრია. 14. კალიფორნია. 15. მასაჩუსეტი. 19. არმადა. 20. მარანი. 25. კონდორი. 26. მაისი. 27. ურემი. 28. ალერგია. 32. აბანო. 33. წნევა. 37. ეზო. 38. ბოი.

მოდა

ინტელექტუალური მანეკენი – პოდიუმის ქალღმერთი

ჰელენ კრისტენსენი ის ერთადერთი ულამაზესი ტოპმოდელია, რომელმაც ყველას გასაოცრად, საკუთარი სურვილით დატოვა მაღალი მოდის სამყარო და წარმატებულ კარიერაზე უარი განაცხადა. ჰელენი, რომელიც რევლონის, შანელის, კენზოს, გუჩის, არმანის და სხვა დიდი დიზაინერების წამყვანი მოდელი იყო, ამის მთავარ მიზეზად ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ასახელებს და პოდიუმიდან წასვლას ჟურნალისტიკითა და ფოტოხელოვნებით გატაცებას აბრალებს. იგი, ძირითადად, ლამაზი ქალების ფოტოებს იღებს და როგორც თვითონ აღნიშნავს, „საინტერესო სილამაზე“ იზიდავს. მის შესანიშნავ ფოტონამუშევრებში შეხვდებით ძველი თაობის მოდელებს, მსახიობებს, კერძოდ, კარმენ კასს, ანდრია ლიბას, ფრენკი რაიდერს, ქიზელ ბანდჩენს, ნადია აუერმანს და სხვებს.

ჰელენ კრისტენსენი შარშან და უკანასკნელად შემოდგომა-ზამთრის ლონდონის მოდის კვირეულში მონაწილეობდა. მან იზაბელ კრისტენსენის მოდელები წარმოაჩინა. ჟურნალისტების შეკითხვას — რამ განაპირობა კვლავ მისი გამოჩენა პოდიუმზე, ჰელენმა მოკლედ უპასუხა: — მე და იზაბელის მეგობრობამო. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ერთ ჩვენებაში მოდელმა 80 ათასი დოლარი მიიღო.

ამჟამად ჰელენ კრისტენსენი ე
ერთი მოდური ჟურნალის გამო
მელია, მონაწილეობს სხვადასხვა
ლევადაცემაში, რომელსაც ხში
თვითონვე უძღვება, ამასთანავე
ტაცებულია ფოტოგრაფიით.

ხანმოკლე კარიერის მიუხედავ
ჰელენმა შეძლო, მისი სახელი მ
ლიო მოდის ისტორიაში სამუდამ
დაემკვიდრებინა.

ჰელენ კრისტენსენი, მაღალი მო
სამყარომ გასაოცარი, არაჩვეუ
რივი სილამაზის გამო, ვერ დაივ
და მას დღესაც პოდიუმის ქალღმ
თად მოიხსენიებენ.

ლელა დონა

სურათებზე: ჰელენ კრისტენს

დაიჯესტი

რადიაცია და იმუნიტეტი

ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორმა რუდი ბუნსტრამ და მისმა კოლეგებმა დაამტკიცეს, რომ მცირე დოზით რადიაციის ეპიზოდურმა ზემოქმედებამ შესაძლოა სასიკეთო ეფექტი მოახდინოს ჯანმრთელობაზე.

კანადაში განხორციელებული ექსპერიმენტი არის პირველი ისეთ ცდებს შორის, რომელთა დროსაც ძუძუმწოვრებზე გამა-რადიაციის ზემოქმედების ეფექტის შესწავლა ხდებოდა ძალზე მასშტაბურად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ცდისთვის გამოიყენეს მინდვრის თაგვები, რომლებიც ცხოვრობდნენ ბუნებრივ პირობებში (ღია ცის ქვეშ), რამდენიმე ექსპერიმენტულ იზოლირებულ „დასახლებაში“.

ოთხი წლის განმავლობაში ცხოველებმა რამდენჯერმე განიცადეს ხანმოკლე დასხივება, რომლის სიმძლავრე 50-200-ჯერ აღემატებოდა რადიაციის ბუნებრივი ფონის დონეს.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დასხივებული თაგვები ცოცხლობდნენ უფრო დიდხანს, გააქტიურდა მათი იმუნური სისტემის მუშაობა, შეიმჩნეოდა სხვა დადებითი ეფექტებიც.

წინათ, მღრღნელებში მსგავსი ეფექტები უკვე აღმოჩენილი იყო ლაბორატორიულ პირობებში, მაგრამ მრავალწლიანი ცდები აქამდე არ იყო განხორციელებული ღია ცის ქვეშ.

ჩასახვის საწინააღმდეგო აბები... მამაკაცებისთვის

გერმანიის „შერინგის“ კომპანია და მისი კონკურენტი — ჰოლანდიური „აკზო ნობელი“ იტყობინებიან, რომ მზად არიან გააერთიანონ ძალისხმევა სხვა ფირმებთან იმ მიზნით, რომ შეიმუშაონ ჩასახვის საწინააღმდეგო აბი მამაკაცებისთვის, რომელიც ბაზარზე უახლოეს 5-7 წელიწადში უნდა გამოჩნდეს.



ქალებისთვის განკუთვნილი ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების შემუშავებიდან 50 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, კომპანიების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ მიაგნეს მამაკაცის ჰორმონის საფუძველზე აბის შექმნის გზას, რომელსაც ისინი შეერთებულ შტატებსა და ევროპაში გაყიდიან.

მამაკაცისთვის განკუთვნილი ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტის შექმნა გაცილებით უფრო რთულია, რადგან საშუალო-სტატისტიკური მამაკაცი ყოველ წუთში აწარმოებს დაახლოებით ათას სპერმატოზოიდს, მაშინ, როცა ქალი ოვულაციის ციკლის დროს მხოლოდ ერთ კვერცხუჯრედს „უშვებს“.

ამის მიუხედავად, მეცნიერებმა უკვე შეიმუშავეს ეფექტიანი აბის საცდელი ნიმუში. მათ გამოიყენეს სინთეზური ჰორმონი, რომელიც ტესტოსტერონის მოქმედების შენელებით უშლის ხელს სპერმის წარმოებას.

მამაკაცის ტაბლეტები, ალბათ, ვერ შეცვლიან ქალისას, რომელსაც სადღეისოდ 40-ზე მეტი მარკით უშვებენ, თუმცა, მაინც ძალზე დიდ სარგებელს მოიტანენ მაშინ, როცა ქალები ვერ შეძლებენ „თავიანთი“ აბების მიღებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

თამბაქოს მოწევა ქალებისთვის უფრო მავნებელი ყოფილა

ჰოლანდიის სტატისტიკის სამთავრობო სააგენტომ გამოაქვეყნა მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ თამბაქოს მოწევა ქალს უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე მამაკაცს.

სააგენტო, რომელმაც გააანალიზა 2003 წლის განმავლობაში ფილტვის კიბოთი და თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებული სხვა დაავადებების შედეგად სიკვდილიანობის სტატისტიკა,
აღნიშნავს, რომ ეს მავნე ჩვევა
ლანდიაში ქალების სიცოცხლის
გრძლივობას ამცირებს 11 წლით
მაკაცებისას კი — სამი წლით.



„ფილტვის
ბოს შედეგად
დაცვლილი ქ
ბი უფრო ა
გაზრდები ოჯ
ვიდრე ამავე
ავადების შე
დაღუპული მ
კაცები. ეს კი ნიშნავს, რომ ნი
ნი ქალის ორგანიზმზე უფრო სერი
ნეგატიურ გავლენას ახდენს“, —
ნიშნულია სააგენტოს განცხადებ

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ
ლანდიელ ქალთა შორის 1970-იანი
ბის დამდეგიდან ფილტვის კიბოს
რცელების ზრდა უშუალოდ უკავ
დება იმას, რომ ქალები ეტანებიან
ბაქოს.

საშუალოდ, კიბოთი დასნეულებ
ქალები 70 წლის ასაკში კვდებიან, მ
როცა, ჰოლანდიაში სუსტი სქესის
მომადგენელთა სიცოცხლის საშუ
ხანგრძლივობა 81 წელს შეადგენ
მაკაცთა შორის კი ეს თანაფარდ
ასე გამოიყურება: 73-76 წელი.

როგორც ცნობილია, მეცნიერ
მა მანამდე უკვე დაადგინეს, რ
თამბაქოს წევა ადამიანს ართ
10 წლის სიცოცხლეს.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“
სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი
რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

რედაქცია მადლობას
უხდის ყველას,
ვინც გაზეთის ეს
ნომერი შეიძინა
და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respubli